

ISSN 1987-5789

ეკონომიკა **და ბიზნესი**



ECONOMICS and BUSINESS
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

სექტემბერი-ოქტომბერი
SEPTEMBER-OCTOBER
СЕНТЯБРЬ-ОКТЯБРЬ

2011

03ან ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი

**International refereed and reviewed scientific and practical journal
of the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University**

Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса
Тбилисского государственного университета
имени Ив. Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ

Published since January, 2008 once in two month

Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თბილისი ქორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 30-36-68, 899-10-38-16
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიკავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: იური ანანიაშვილი, რამაზ აბესაძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგბარ თოლევა, ირაკლი კოვანაძე, ეკა ლევაშვილი, მურთაზ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, იაკობ მესხია, ნუგბარ პაიჭაძე, მურმან ტურავა, მირიან ცუხაშვილი, ეთერ ხარაიძეშვილი, ელენე ხარაბაძე, რომან ხარბედია, ნოდარ ხადური, თემურ შენგელია, ემზარ ჯგურენაია.

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Eka Lekashvili, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili, Iakob Meskhia, Nugzar Paichadze, Murman Turava, Mirian Tukhashvili, Eter Kharaishvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Temur Shengelia, Emzar Jgerenaia.**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главный редактор доктор экономических наук, профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – **Владимер Папава, Автандил Силагадзе, Лео Чикава.**

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили, Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Нугзар Тодуа, Ираклий Ковсанадзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван Marshava, Злруджа Меквабишвили, Якоб Месхия, Нугзар Пайчадзе, Мурман Турава, Мириан Тухашвили, Етер Хараишвили, Элене Харабадзе, Роман Харбедия, Нодар Хадури, Темур Шенгелия, Эмзар Джгеренаия.**

სარედაქციო კოლეგიის უცხოული წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდენბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიძი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, გიორგი გორგაძე – ბარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Brandenburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг- Профессор Берлинского Университета (Германия),
Кунц Гаралд - зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир - Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид - декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма- декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

სარჩევი

ეპონომიკური თეორია და ეპონომიკური პოლიტიკა

| | |
|---|----|
| იაპობ (ზაშ) მშეხიბ. საერთაშორისო სარეიიტინგო ბიზნესი | 11 |
| და ფინანსური კრიზისები | |
| გულნაგ ერქომაიშვილი. მეწარმეობა და მისი განვითარების | 35 |
| ექონომიკური პოლიტიკა საქართველოში | |
| ჯემალ ხარიშვილი. ჯონ სტიუარტ მილის კომპრომისები | 45 |
| და თანამედროვეობა | |
| მერაბ ხმალაძე. კიდევ ერთხელ დემოგრაფიისა და დემოგრაფი- | 57 |
| ული სტატისტიკის შესახებ | |

მიკრო-მაკროეკონომიკა

| | |
|---|-----|
| გაია მინდორეაშვილი. პუმანური განვითარების ინდექსი: ის- | |
| ტორია და რეალობა | 69 |
| გიორგი ლეღანიძე. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის | |
| ზრდის ალტერნატივა: დივერსიფიკაცია თუ კონცენტრაცია ... | 91 |
| სოჭიკო ხვარშვილი. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების | |
| ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე | 103 |
| ლაშა ტაბათაძე. სიღარიბის დაძლევისათვის | |
| საქართველოში | 117 |
| გარიე ღუდუშაური. XI-XII საუკუნეების საქართველოს | |
| სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ნიშნები | |
| | 125 |

მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტერიტორია

| | |
|---|-----|
| ნოდარ ბაზრატიშვილი. კორპორაციული მმართველობითი გადაწყვეტილების კრიტერიუმები | 139 |
| გასილ ხიგანიშვილი. კულტურა – ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანები ფაქტორი | 143 |
| ნინო გარესაშვილი. კონფლიქტის, როგორც კონსტრუქციული და პროდუქტიული საწყისის შემცველი პროცესის შესახებ | 152 |
| ნინო აბესაძე. ბიზნესსტატისტიკის ინფორმაციული ბაზის სრულყოფა და მაჩვენებელთა პროგნოზირება | 161 |

საბუღალტრო აღრიცხვა და ანალიზი

| | |
|--|-----|
| იგორ ლევ ჭილაძე. რელევანტური და ალტერნატიული ხარჯების მაჩვენებელთა გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისას | 175 |
| ნანა სრესელი. ბიოლოგიური აქტივების შეფასების და აღრიცხვის თავისებურებები | 185 |
| ნაღიშვილ კვატაშვილი. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციისა და ცვეთის ხარჯების აღრიცხვის საკითხები | 195 |

CONTENTS

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

| | |
|---|----|
| JACOB (IASHA) MESKHIA. International Rating Business and Financial Crises | 11 |
| GULNAZ ERKOMAISHVILI. Entrepreneurship and Economic Policy of its Development in Georgia | 35 |
| JEMAL KHARITONASHVILI. John Stuart Mill's Compromises and Modern Society | 45 |
| MERAB KHMALADZE. Regarding Demography and Demographic Statistics Once Again | 57 |

MICRO-MACROECONOMICS

| | |
|--|-----|
| MAIA MINDORASHVILI. Human Development Index: History and Reality | 69 |
| GIORGIA GAGANIDZE. The Alternative Ways to Increase the Export Potential of Georgia: Diversification or Concentration | 91 |
| SOFIKO JVARSHEISHVILI. The Impact of Foreign Direct Investments on Economic Growth | 103 |
| LASHA TABATADZE. The Way for Overcoming Poverty in Georgia | 117 |
| MARINE GUDUSHAURI. Main Characteristics of Social-Economic Development of Georgia in XI-XII centuries | 125 |

MANAGEMENT, MARKETING, TOURISM

| | |
|--|-----|
| NODAR BAGRATONI. Corporate Governance Decision Criteria | 139 |
| VASIL KHIZANISHVILI. Culture – the Most Important Factor of Economic Progress | 143 |
| NINO PARESASHVILI. Conflict as the Process Containing Constructive and Productive Backgrounds | 152 |
| NINO ABESADZE. Improving Database of Business-statistics and Forecasting of Figures | 161 |

ACCOUNTING AND ANALYSIS

| | |
|---|-----|
| IZOLDA CHILADZE. Using the Indicators of Relevant and Opportunity Costs in Decision Making Process | 175 |
| NANA SRESELI. Peculiarities of Assessment and Accounting of Biological Assets | 185 |
| NADEJDA KVTASHIDZE. Issues of Accounting of Repair Expenses and Depreciation of Fixed Assets | 195 |

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

| | |
|--|----|
| ЯКОБ (ЯША) МЕСХЯ. Международный рейтинговый бизнес и финансовые кризисы | 11 |
| ГУЛНАЗ ЕРКОМАИШВИЛИ. Предпринимательство и экономическая политика его развития в Грузии | 35 |
| ДЖЕМАЛ ХАРИТОНАШВИЛИ. Компромиссы Джона Стюарта Милля и современность | 45 |
| МЕРАБ ХМАЛАДЗЕ. Еще раз о демографии и демографической статистике | 57 |

МИКРО- МАКРОЭКОНОМИКА

| | |
|---|-----|
| МАЙЯ МИНДОРАШВИЛИ. Индекс гуманного развития: история и реальность | 69 |
| ГЕОРГИЙ ГАГАНИДЗЕ. Альтернатива роста повышения экспортного потенциала Грузии: диверсификация или концентрация | 91 |
| СОФИКО ДЖВАРШЕИШВИЛИ. Влияние иностранных прямых инвестиций на экономический рост | 103 |
| ЛАША ТАБАТАДЗЕ. Для преодоления бедности в Грузии | 117 |
| МАРИНЕ ГУДУШАУРИ. Основные признаки социально-экономического развития Грузии в XI-XII веках | 125 |

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

| | |
|--|-----|
| НОДАР БАГРАТИОНИ. Критерий корпоративного управлеченческого решения | 139 |
| ВАСИЛИЙ ХИЗАНИШВИЛИ. Культура - важнейший фактор экономического прогресса | 143 |
| НИНО ПАРЕСАШВИЛИ. О конфликте, как о процессе содержащий конструктивные и продуктивные основы | 152 |
| НИНО АБЕСАДЗЕ. Совершенствование информационной базы бизнесстатистики и прогнозирование показателей | 161 |

БУХГАЛТЕРСКИЙ УЧЕТ И АНАЛИЗ

| | |
|--|-----|
| ИЗОЛДА ЧИЛАДЗЕ. Использование показателей релевантных и альтернативных затрат решений | 175 |
| НАНА СРЕСЕЛИ. Особенности оценки и учета биологических активов | 185 |
| НАДЕЖДА КВАТАШИДЗЕ. Вопросы учета расходов эксплуатации и износа основных средств | 195 |

საერთაშორისო სარეზისტრი ბიბლიოგრაფიული სისტემის დაწყების დღე

ვინაც ური პრიზის მხატვები

იაშა (მამრბ) გვისხმა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თხუ სრული პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

თანამედროვე გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების გამომწვევი ფაქტორებიდან განსაკუთრებით ხშირად ასახელებენ და შედარებით არგუმენტირებულად მიიჩნევენ ისეთ ფაქტორებს და მიზეზებს, როგორიცაა: ჭარბწარმოების კლასიკური კრიზისი; გლობალური მონოპოლიების ლპობა; მსოფლიო ეკონომიკის დისბალანსი; ეკონომიკური ზრდის ციკლურობა; ფინანსური სფეროს განუსაზღვრელი ზრდა; ერთობლივი მოთხოვნის შემცირება და კაპიტალის ეფექტურობის დაცემა; წარმოებული ფინანსური პროდუქტების (ოპციონები, დერივატები, ფიუჩერსები და ა.შ.) ჭარბწარმოება; ფინანსური რესურსების მოძრაობაზე არასაკმარისი კონტროლი; გლობალური ბაზრების რეგულაციის კრიზისი; ვალების მოცულობის ზრდა; აღიარებული ეკონომიკური თეორიის და ცოდნის არქულობა და ა.შ.¹ ჩვენი აზრით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი

¹ საფურადდებოა ამ თემაზე გამოცემული მონოგრაფიები: Joseph E. Stiglitz, FREEALL: America, Free Markets, and the Sinking of the World Economy, W.W. Norton & Co., 2010; Irakli Kovzanadze, Systemic and Borderline Banking Crises: Lessons Learned for Future Prevention, iUniverse, Inc. New York Bloomington, 2010; Ален Гриспен, Эпоха потрясений. Проблемы и перспективы мировой финансовой системы, М., Юнайтед Пресс, 2009; Долан С., Райх М., Глобальный кризис. За гранью очевидного, М., Протекст, 2010; Максим Блант, Финансовый кризис, М., ACT, 2008.

ისის გამომწვევია არა ერთი რომელიმე ცალკე აღეტული ფაქტორი, არამედ ფაქტორებისა და პირობების მრავალწახნაგოვანი ერთობლიობა, სისტემა, რომელთა ელემენტები ერთმანეთთან მიმართებით მჭიდრო კაუზალურ დამოკიდებულებაშია.

არ ვაქნინებთ რა ზემოჩამოთვლილი და სხვა მრავალი ფაქტორის გავლენას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაზე, ამასთანავე მიგვაჩნია, რომ ამ პროცესზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფაქტორთა წრე, ერთობლიობა, რომლებიც შეიძლება გაერთიანდეს ზოგადად ერთ მსხვილ ფაქტორში – მსოფლიო ეკონომიკის კრიმინალიზაცია. თავად ამ უკანასკნელის წარმოშობა და განვითარება განპირობებულია უამრავი სხვადასხვა გარემოებით, რომელთა სათავეში დგას ეკონომიკის ყველაზე მთავარი მამოძრავებელი პრინციპი - კონკურენცია. თანამედროვე ღრმა გლობალიზაციის პირობებში ცალკეული ქვეყნების ეკონომიკებისა და უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარება სულ უფრო დამოკიდებული ხდება კონკურენტული უპირატესობის მიღწევაზე. არც ერთ ქვეყანას და არც ერთ მსხვილ ცალკეულ სამეურნეო სუბიექტს არ შეუძლია წინ აღუდგეს თანამედროვე კონკურენციის გაზრდილ მოთხოვნებს, თუ ისინი არ ჩაებმებიან დაუსრულებელ და მუდმივად განვითარებად კონკურენტულ მარათონში. ამასთან, გლობალიზაციის, ერთი შეხედვით კეთილშობილური და ლამაზი ვიტრინის უკან, დგას დაუნდობელი, ხშირად ვერაგული და არა-აკეთილ სინდისიერი კონკურენტული სამყარო, რომელიც არც თუ უკანასკნელ ადგილს იკავებს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობასა და განვითარებაში.

კონკურენცია თავისი შინაგანი ბუნებით არის დაუნდობელი ბრძოლა ბაზარზე დამკავიდრებისათვის, საბაზო სეგმენტის გაფართოებისათვის, მისათვის, რომ აჯობო შენს კონკურენტს, გაუსწრო მას და შედეგად ამისა მიიღო მეტი მოგება. ამასთან, კონკურენციას შეიძლება ჰქონდეს კეთილსინდისიერი და არა-აკეთილ სინდისიერი ხასიათი. კონკურენცია კეთილსინდისიერია

ექონომიკური თეორია და ექონომიკური პოლიტიკა

მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ეფუძნება ეროვნული და საერთაშორისო სამართლის დადგენილ ნორმებს. მაგრამ, ბუნებაში ადამიანები თანაბრად კეთილსინდისიერი და ჰუმანური როდი არიან. მათი ერთი ნაწილი კრიმინალური ბუნებისაა, რასაც საფუძვლად უდევს სიხარბე, ანუ ზემოგების მიღება სხვების გაკოტრების ხარჯზე და სიცრუე, რათა დაუმსახურებლად მოიპოვოს ლიდერის პოზიცია მსოფლიო ბაზარზე. სწორედ ამიტომაც, სიხარბეს და სიცრუეს მიიჩნევთ გლობალური კრიზისის წამოშობის მიზეზად მსოფლიო სხვადასხვა კონფესიის ლიდერები¹. მათი აზრით, კრიზისი არის დმიერთისმიერი სასჯელი ადამიანურ უსამართლობაზე, ადამიანურ სიხარბეზე, საკუთარ მოხმარებაზე კონტროლის დაკარგვასთან, სასჯელი სწრაფვაზე ნებისმიერი გზით გამდიდრებისაკენ, ისე, რომ უდალატო ადამიანურ ფასეულობებს და ჰუმანურ იდეებს.

მართალია, ბაზარი კლასიკური გაგებით ოვითრეგულირებადი სისტემაა, მაგრამ პრაქტიკა ადასტურებს, რომ მისი ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის საჭიროა სხვადასხვა საერთაშორისო მარეგულირებელი ინსტიტუციის ფორმირება, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი, ორგანიზაციული და ფინანსური მექანიზმებით ჩაერევიან მის საქმიანობაში. ამიტომაც არის შექმნილი ისეთი გიგანტური საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა მსოფლიო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და ა.შ., რომელთა რეალიზაციაში ხელი უნდა შეუწყოს მსოფლიო ეკონომიკის ოპტიმალურ განვითარებას და არ დაუშვას დისბალანსი და კრიზისული მოვლენები. მსოფლიო და ეროვნული ბაზრების რეგულაციის საქმეში XX საუკუნის 70-იანი წლებიდან განსაკუთრებულ როლს ასრულებს სარეიტინ-

¹ მესხია ი. რელიგიური შეხედულებები თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ კრიზისზე. შერს. „რელიგია“, 2009, № 3, გვ. 66-76.

გო სააგენტოები, სხვადასხვა კომპანია, გამომცემლობები და საერთაშორისო ფორუმები, რომლებიც თავიანთი კვლევებისა და შეფასებების საფუძველზე განსაზღვრავენ ცალკეული სახ-ელმწიფოებისა და სამეცნიერო სუბიექტების საერთაშორისო და ეროვნულ რეიტინგებს. ეს უკანასკნელი არის ინფორმაცია, რომელიც ასახავს ქვეყნის ან ბიზნეს-სუბიექტის მდგომარე-ობას და პერსპექტივებს სხვა ანალოგიურ სუბიექტებთან მიმა-რთებით. სარეიტინგო სამსახურების მიერ გამოქვეყნებული მო-ნაცემები ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ჭრილით ბი-ზნესის ან სხვა რომელიმე საქმიანობის ლიდერის გამოვლე-ნას და შეფასებას, ხოლო რეიტინგში მონაწილეობა იძლევა ბაზარზე საკუთარი რეპუტაციის გამოვლენისა და ინფორმაცი-ული გამჭვირვალობის დემონსტრირების საშუალებას, რაც თავის მხრივ, ამარტივებს კლიენტებსა და საქმიან პარტნიორებთან მუშაობას.

თანამედროვე მსოფლიო სარეიტინგო სისტემაში ძირი-თადად იკვეთება მისი ორი მთავარი მიმართულება. პირველ მიმართულებაში შედის საერთაშორისო და ეროვნული სარე-იტინგო სააგენტოები, რომლებიც ძირითადად იკვლევენ ბიზნეს-სტრუქტურების, მათ შორის განსაკუთრებით საბანკო, სადაზღვევო და სხვა ფინანსური ერთეულების კონკურენტუნარიანობას ცალკეული ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით. მეორე მიმართულება მოიცავს ორგანიზაციულ ჯგუფურ კვლევებს ცალკეული ქვეყნების გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს რეიტინგებს ბიზნესის კეთება-ზე, ბიზნესისა და ფისკალურ თავისუფლებაზე, საკუთრების უფლებაზე, კორფუციიდან თავისუფლებაზე და ა.შ. ამგვარი და სხვა მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის რეიტინგების გაანგარიშებებს ახორციელებენ ავ-ტორიტეტული ფორუმები, კვლევითი ინსტიტუტები, გამომცემ-ლობები და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე მიმართულების სარეიტინგო სამსახურებთან სახელმწიფოებისა და ბიზნეს-სტრუ-

ქმარების ურთიერთობა დაფუძნებულია გაწეული მომსახურების (რეიტინგების დადგენის) ანაზღაურების პრინციპზე. შეიძლება ითქვას, რომ სარეიტინგო საქმიანობა არის ჩვეულებრივი ინტელექტუალური ბიზნესი, რომლის მთავარი მამოძრავებელი მოტივი, ისევე როგორც ნებისმიერი ბიზნესის, არის მაღალი მოგების მიღება. ამასთან, სარეიტინგო ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა ის, რომ მისი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე დამკვეთის მხრიდან პროცესტის გამოხატვის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. ეს კი, თავის მხრივ, რეიტინგის მაძიებლებს აიძულებს ეძებონ შემოვლითი გზები სარეიტინგო სააგენტოებთან „თბილი“ ურთიერთობების დასამყარებლად. კონკურენციულ ბრძოლაში გამარჯვების დიდი წყურვილი ბაზრის მოთამაშეების ნაწილს უბიძებს არაკეთილსინდისიერი ქმედებებისაკენ, რომლის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს სარეიტინგო სააგენტოებთან კორუფციული გარიგებების გზით სასურველი რეიტინგის მოპოვება. დამახინჯებული, არარეალური რეიტინგების გამოყენება საერთაშორისო ბაზარზე ხდება მცდარი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი, რაც საბოლოო ანგარიშით იწვევს ბაზრების ტურბულენტურობას და ხელს უწყობს კრიზისების წარმოშობასა და განვითარებას რეგიონებს და საერთაშორისო დონეებზე.

სარეიტინგო სააგენტოები და მათი საქმიანობა ცივილიზებული საბაზრო სისტემის ორგანული შემადგენელი ნაწილია. ის, როგორც საბაზრო ურთიერთობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, წარმოიშვა იმ მიზნით, რომ გადაეწყვიტონ ბაზარზე მოძრავი ასიმეტრიული ინფორმაციის დაბალანსების პრობლემა, აგრეთვე უზრუნველყონ ბიზნეს-სტრუქტურები და სახელმწიფოები ინფორმაციით მოახლოებული კრიზისული სიტუაციის შესახებ.

სარეიტინგო სააგენტოები (კომპანიები) წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას, რომლის მთავარი ამოცანაა განახ-

ორციელოს ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გადახდისუნარიანობის, ბიზნეს-გაღდებულებების, კორპორაციული მენეჯმენტის და აქტივების მართვის ხარისხის, აგრეთვე ქვეყნის გადახდისუნარიანობის და ა.შ. შეფასება. მათი ყველაზე ძირითადი და ცნობილი პროდუქცია გადახდისუნარიანობის შეფასებაა (საკრედიტო რეიტინგი). იგი ასახავს სავალო ვალდებულებების არგადახდის რისკს და გავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე, სავალო ვალდებულებებიდან შემოსავლის მოცულობაზე. მაღალი რეიტინგი ნიშნავს არგადახდების ნაკლებ რისკს. აქტობრივად, რეიტინგი არის ნდობის ხარისხი, რომელსაც სარეიტინგო კომპანიები ანიჭებს ემიტენტებს, ბიზნეს-სუბიექტებს და სახელმწიფოებს.

პირველი სარეიტინგო სააგენტოები ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში აშშ-ში იმ მიზნით, რომ უფრო გამჭვირვალე გამხდარიყო ამერიკული კომპანიების საქმიანობა უცხოელი ინვესტორებისათვის. ფინანსური ბაზრების სწრაფი განვითარების პერიოდში, რომელიც მოიცავდა XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისს, სარეიტინგო სააგენტოების მომსახურება მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა, XX საუკუნის მეორენახევრამდე ისინი შესამჩნევ როლს მხოლოდ აშშ-ში თამაშობდნენ.

ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები მარეგულირებელი ორგანოებისაგან მოითხოვდა ახალი ინსტიტუტების შექმნას, ეკონომიკის ფინანსური სტაბილურობის, საფინანსო და საბანკო სექტორების მდგრადობის უზრუნველყოფისათვის. ახალი მარეგულირებელი ორგანოების შექმნასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად და ინფორმაციული ასიმეტრიის პრობლემის გადასაჭრელად, გამოყენებულ იქნა ადრე შექმნილი სარეიტინგო სააგენტოები და სხვა ორგანიზაციები. 1970-იანი წლებისათვის ფასიან ქაღალდებსა და ბირჟებზე აშშ-ს კონგრესის ფედერალურმა კომისიამ (The United States Securities and Exchange Commission- SEC) სამ სარეიტინგო სააგენტოს –

Moody's, Standard & Poors, Fitch Ratings მიანიჭა ეროვნულად და საერთაშორისოდ აღიარებული კომპანიების სტატუსი. მათი როლი განსაკუთრებით გაიზარდა XX საუკუნის 1980-1990 – იან წლებში ფინანსური ბაზრის სწრაფი განვითარების დროს. შემდგომ, სარეიტინგო სააგენტოები გამოჩნდა ევროპაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რუსეთში, მაგრამ სარეიტინგო მომსახურებაში კვლავაც ლიდერობდა ამერიკული „დიდი სამეული“. ეს იყო გამოწვეული მათი განსაკუთრებული სტატუსით, რომელიც მათ ოფიციალურად მიენიჭა. შემდეგ სხვა ქვეყნებში შექმნილი ეროვნული სარეიტინგო სააგენტოები, არც თუ იშვიათად, „დიდი სამეულის“ შვილობილ სტრუქტურად ყალიბდებოდა.

უკანასკნელ წლებში სარეიტინგო სააგენტოები საფინანსო და საკრედიტო ინსტიტუტების რისკთა სისტემის შეფასების მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა, რაც კერძოდ აისახა კიდევაც ცნობილ ბაზელ-II-ის (დოკუმენტი კაპიტალის გაზომვისა და კაპიტალის სტანდარტების საერთაშორისო კონვერგენციის შესახებ) შეთანხმებაში. მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არსებობს ღრმა წინააღმდეგობა ამ ინსტიტუციის გაძლიერების კუთხით ეკონომიკის მოთხოვნილებასა და სარეიტინგო მომსახურების ბაზრის მეტისმეტი მონოპოლიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ ნებატიურ შედეგებს შორის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ 1970-იანი წლებიდან სარეიტინგო სააგენტოებმა წამყვანი პოზიციები დაიკავა მსოფლიოს განვითარებულ საფინანსო ბაზრებზე. მათ გაიკაფეს გზა რისკების ჩვეულებრივი შემფასებლიდან ინვესტიციური სამყაროს კანონმდებლებამდე. XX საუკუნის ბოლოსათვის მთელი მსოფლიოს ინვესტორები საკუთარი ინვესტიციური პოლიტიკისა და ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირებაში, აგრეთვე ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღებაში ხელმძღვანელობდნენ მირითადად 3-4 წამყვანი სარეიტინგო სააგენტოს შეფასებებით.

საფინანსო-საბანკო სფეროში სარეიტინგო ბიზნესი დღე-ისათვის წარმოდგენილია კარტელით, რომელშიც გაერთიანებულია ზემოხსენებული სამი უძლიერესი საერთაშორისო სააგენტო: Standard & Poor's, Moody's Investors Service და Fitch Ratings-ი. უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის 70-იან წლებამდე სარეიტინგო სფერო იყო შედარებით კონკურენტიანი. მას შემდეგ, რაც აშშ, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ცდილობს ერთპოლუსიანი სამყაროს ფორმირებას, მდგომარეობა ფინანსურ პოლიტიკაში და კერძოდ, სარეიტინგო პოლიტიკაში რადიკალურად შეიცვალა. ამის ერთ-ერთი ნიშანი იყო ისიც, რომ ფასიანი ქაღალდების აშშ-ს კომისიამ (SEC) საფუძველი ჩაუყარა მომავალ ურყევე ოლიგარქიას. მან ნება დართო კომპანიებს განეხორციელებინათ გარკვეული ფინანსური ოპერაციები მხოლოდ რეიტინგების საფუძველზე, რომელიც მიენიჭებოდა ეროვნულად აღიარებულ სტატისტიკურ სარეიტინგო ორგანიზაციებს (NRSRO- Nationally Recognized Statistical Rating Organization). მათი რიცხვი 1980-იანი წლების დასაწყისისათვის შეადგენდა 7 ერთეულს, თუმცა შერწყმისა და რეორგანიზაციის შედეგად, 90-იანი წლებისათვის სარეიტინგო კომპანიების რიცხვი 3-მდე შემცირდა.

აღნიშნული ლია ოლიგოპოლიის შექმნამ მწვავე კრიტიკის ობიექტი გახადა ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების აშშ კომისია, რის გამოც იგი იძულებული გახდა NRSRO სტატუსი მიენიჭებინა რამდენიმე ამერიკული, კანადური, იაპონური კომპანიისათვის, თუმცა, მათი საქმიანობის არეალი ვიწრო საბაზო სექტორია და ვერ უწევენ კონკურენციას „დიდ სამეულს“. ამით ფაქტობრივად დამყარდა მონოპოლია, საფუძველი გამოეცალა კონკურენციას სარეიტინგო საქმიანობაში, რის შედეაგადაც მნიშვნელოვნად დაუცა „დიდი სამეულის“ მუშაობის სარისხი. ეკონომიკური ზრდის პირობებში მათი ნაკლოვანებები არ ვლინდებოდა, მაგრამ კრიზისის ეტაპზე სარეიტინგო სააგენტოების ფატალური შეცდომები არა თუ ცხადი გახდა, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მათ დიდი

ექონომიკური თეორია და ექონომიკური კოდიტიკა

წვლილი მიუძღვით საფინანსო-საბანკო კრიზისის წარმოქმნასა და მსოფლიო ეკონომიკის დესტაბილიზაციაში.

უძრავი ქონების ბაზრის აღმავლობის პირობებში, რომელ-საც ზურგს უმაგრებდა ფედერალური სარეზერვო სისტემის დაბალი განაკვეთები, უმრავლეს ინვესტორს მიეცა საშუალება შექმნათ მთელი რიგი წარმოებული რთული ფინანსური პროდუქტები. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იპოთეკური კრედიტების დერივატები, ისეთები, როგორიცაა ცნობილი GDO - Cjllateralized Debt Obligation. ამ ინსტრუმენტების (ობლიგაციების) შემდგომი გაყიდვისათვის ბანკებს, საპენსიო ფონდებს და ცენტრალურ ბანკებსაც კი ესაჭიროებათ შესაბამისი საკრედიტო რეიტინგი. ობლიგაციების გაყიდვის მიზნით, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიები მის რეალიზატორებს ანიჭებდა AAA უმაღლეს რეიტინგს. მათი ხარისხი გათანაბრებული იყო საკუთვსო სახელმწიფო სავალო ვალდებულებებთან. ანალიტიკოსებისა და ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, ასეთ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო არა მხოლოდ კრედიტუნარიანობის გაანგარიშების რთული მათემატიკური მოდელები, არამედ ის გარემოება, რომ თითქოსდა იმ სარეიტინგო სააგენტოების საქმიანობას, რომლებიც ობლიგაციებს ანიჭებდნენ რეიტინგებს, უხვად უხდიდნენ დაინტერესებული ინვესტიციური ბანკები¹. ამ მოსაზრებას, როგორც ჩანს, პქნონდა სერიოზული საფუძველი, რადგან ფასიანი ქაღალდების აშშ კომისიამ დაიწყო საგამოძიებო საქმიანობა რეიტინგების მინიჭების პროცესში ინტერესთა კონფლიქტისა და შესაძლო მაქინაციების შესახებ.

სააგენტოების ჩავარდნა ფინანსური აღქიმიის სფეროში მას შემდეგ გახდა მკაფიო, როგორც კი 2007 წლის გაზაფხულზე დაიწყო დეფოლტის ზრდა იპოთეკურ კრედიტებზე. სარეიტინგო სააგენტოებმა მყისვე დაიწყეს ობლიგაციებზე ადრე მინიჭებული რეიტინგების შემცირება. მათ რიცხვში მოჰყვა 1 ტრლნ-ზე მეტი საერთო ღირებულების ფასიანი ქაღალდები,

¹ http://www.spekulant.ru/magazine/Tyuning_dlya_rejtinga.html

რომელმაც მათი მფლობელებს ფანტასტიკური ზარალი მიაყენა. ამას მოჰყვა სხვადასხვა ინვესტიციური ემიტენტის მიერ გამოშვებულ ქაღალდებზე რეიტინგების მრავალპუნქტიანი შემცირება და საბოლოო ანგარიშით, ეს პროცესი სპირალურად გავრცელდა მოელს ამერიკასა და ეგვიპტისა და უკანასკნელი შემდეგ კი სხვა ქვეყნებში.

თქმა იმისა, რომ ბოლოდროინდელ მსოფლიო ფინანსურ კრიზისში, რომელიც ჯერ კიდევ არაა ბოლომდე დაძლეული, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების ქცევა შემთხვევითობას შეიძლება მიეწეროს, ჩვენი აზრით, არაა დამაჯერებელი. უახლოეს ფინანსურ ისტორიაში ცნობილია 2001 წლის მოვლენები. “დიდი სამეულის” კარტელი გაბედულად უქმრდა მხარს ამერიკული ენერგოგიგანტის Enron-სათვის უმაღლესი რეიტინგის მინიჭებას. მისი ფაქტობრივი გაბანკროტების ბოლო დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის, კოლაფსამდე რამდენიმე თვით ადრე ცნობილი იყო კომპანიაში შექმნილი სერიოზული ფინანსური პრობლემების შესახებ. ამ პროცესმა ისე ჩაიარა, რომ სარეიტინგო კომპანიების მისამართით უქმაყოფილება მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან არ გამოიქმნება, ხოლო თავად კომპანიის სარჩელზე სააგენტოებს იმით უპასუხეს, რომ მათი რეიტინგები მხოლოდ „მოსაზრებაა“, ხოლო „სიტყვის თავისუფლება“ დაცულია კონსტიტუციური პრინციპებით. ამრიგად, „დიდ სამეულს“ იმდენად დიდი ძალაუფლება აქვს უზურპირებული, რომ მათ მიერ დასმულ ერთ ნიშანს შეუძლია კომპანია დააყენოს გაკოტრების პირას ან პირიქით, მისცეს მას ფართო გასაქანი გამდიდრებისაკენ.

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები ფლობენ არა მხოლოდ რეგულიაციურ-ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სიძლიერესაც. როგორც ჩანს, სუვერული რეიტინგები, რომელსაც ანიჭებენ სააგენტოები სხვადასხვა ქვეყნის სავალო ვალდებულებებს, ჩამორჩა თანამედროვე მოთხოვნებს. ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, იმ ქვეყნებს, რომლებიც

ექონომიკური თეორია და ექონომიკური კოდიტიკა

პოლიტიკური კუთხით არაპარგნიორთა სიაში არიან, შეიძლება ნებატიური შეფასება მისცენ, ხოლო პირიქით – თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს – პოზიტიური. ამავე დროს, მათი შეფასება აშშ-ს და პარტნიორი ქვეყნების მიმართ მეტწილად ფრთხილ და ლიბერალურ ხასიათს ატარებს. ოვით აშშ 1917 წლიდან უმაღლესი სუვერენული რეიტინგის მატარებელია, იმ დროს კი, როდესაც მის ეკონომიკაში აშკარად იკვეთება საგარეო ვალების ფანტასტიკური ზრდა, ექსპორტ-იმპორტის ბალანსის გაუარესება და ა.შ. სააგენტოების სამეულის აზრით, აშშ რეიტინგი მსოფლიო ფინანსური სისტემის მესაჭვა და თუ მისი რეიტინგი შემცირდა, ეს იქნება არა მხოლოდ ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს დიდი პრობლემა.

თუმცა, 2011 წლის აგვისტოში ერთ გამონაკლისს ჰქონდა ადგილი. აშშ-ს კონგრესსა და პრეზიდენტს შორის საგარეო ვალის ზედა ზღვრის გამო წამოჭრილი დისკუსიის ფონზე, “დიდი სამეულიდან” ერთ-ერთმა გავლენიანმა სარეიტინგო სააგენტომ -“სტანდარტ ენგ ფურსმა” აშშ-ს ისტორიაში პირველად დასწია სახაზინო ობლიგაციების (US Treasuries) რეიტინგი AAA-დან ერთი საფეხურით AA+ძლენებატიური პროგნოზით, რამაც გამოიწვია საბირეო მაჩვენებლების ყველაზე დიდი ვარდნა 2008 წლის კრიზისის შემდეგ. ამ გარემოებას მოჰყვა ამ სააგენტოში შემოწმების დაწყება, ერთი მხრივ, აშშ ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) მიერ, ხოლო, მეორე მხრივ, აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მიერ (ამ უკანასკნელის მიერ სააგენტოში შემოწმება დაწყებული იყო შემცირებული რეიტინგის გამოცხადებამდე). არსებობს ეჭვი, რომ აშშ-ში იპოთეკური ბუმის დროს სარეიტინგო სააგენტოები იღებდნენ დიდალ შემოსავალს იპოთეკურ ქაღალდებზე საეჭვო უმაღლესი რეიტინგების მინიჭებით. აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს მიაჩნია, რომ სარეიტინგო სააგენტო Standard & Poors რეიტინგის გაანგარიშებისას შეცდა 2 ტრილიონ დოლარით და დაუსაბუთებელი შედეგები წარმოადგინა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ “დიდ სამეულში” შე-

მავალმა დანარჩენმა ორმა სააგენტომ, მას შემდეგ, რაც აშშ-ს კონგრესმა ქვეყნის საგარეო ვალის ლიმიტი გაზარდა 2,1 ტრლნ დოლარით (14,3 ტრლნ-მდე), ხოლო სახელმწიფო ხარჯები შეამცირა 2,5 ტრლნ-ით, არ დაუჭირა მხარი კოლეგებს და ქვეყნას შეუნარჩუნა უმაღლესი საკრედიტო რეიტინგი.

დღეისათვის, მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება. მიუხედავად „დიდი სამეულის“ მიმართ 2008 წლიდან წაყენებული მრავალი სერიოზული ბრალდებისა, ისინი ჩვეულებრივი რეჟიმით აგრძელებენ საქმიანობას, კვლავ წყვეტენ მსოფლიოს სახელმწიფოთა ფინანსურ ბედს. ფინანსური ბაზარი თითქოს-და დარწმუნებულია, რომ ეს სააგენტოები არ მოხდენენ ფაქტზბის გაყალბებას. საქმე ისაა, რომ რეიტინგები აღიარებულია საბაზრო ურთიერთობის განუყოფელ ნაწილად. მაგალითად, ზოგიერთი ინვესტორი ყიდულობს მხოლოდ მაღალი ხარისხის ფასიან ქაღალდს. ეს ნიშნავს, რომ როგორც კი ქაღალდები მიიღებენ „უხარისხოთა“ სტატუსს, მის სასწრაფოდ მოცილებას ცდილობენ. ანალოგიურად, რეიტინგები გამოიყენება ბანკის საბალანსო ანგარიშის რისკიანობის შესაფასებლად. რეიტინგები, მიუხედავად მათი არასრულყოფილობისა, მაინც იცავს ინვესტორს, რადგან აწვდის მას კრედიტის ხარისხის ერთიან მინიმალურ მაჩვენებელს ფულადი ბაზრის ნებისმიერი აქტივისათვის. გარდა ამისა, სარეიტინგო სააგენტოები თამაშობენ პიარის როლს. შეიძლება მათ არანაირი სიახლე არ თქვან, მაგრამ ისინი ინფორმაციას ავრცელებენ მოედს მსოფლიოში და ამით ცენტრალურ ბანკებს და საინვესტიციო ფონდებს უბიძებენ გაუფასურებული აქტივების მოშორებისაკენ. ამ შემთხვევაში ისინი ქვეყნის უსაფრთხოებას ხელყოფენ. მაგალითად, თუ Moody's ან სხვა სამეულში შემავალი სააგენტო ევროკავშირის რომელიმე ქვეყნას შეაფასებს მინიმალური რეიტინგით, ევროპული ცენტრალური ბანკი მოქმედი წესის თანახმად, ვერ მიიღებს ამ ქვეყნის ობლიგაციებს უზრუნველსაყოფად. ეს, რა თქმა უნდა,

ექონომიკური თეორია და ექონომიკური კოლექტივი

გააღმავებს ისედაც დაბალი რეიტინგით შეფასებული ქავენის ფინანსურ მდგომარეობას.

უკანასკნელ პერიოდში, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების საქმიანობასთან დაკავშირებით, სპეციალისტებისა და საზოგადოების დიდი ნაწილის შეფასებები და კომენტარები ცალსახად ნებატიურია. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა სახელმწიფოებისა და ბიზნესის წინაშე დააყენა კითხვა: რამდენად ასახავს რეალურ სურათს და მოსალოდნელი კრიზისის პროგნოზებს სარეიტინგო სააგენტოების გაანგარიშებები და შეფასებები. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ კრიზისის დაწყებამდე საერთაშორისო სარეიტინგო სამსახურები უმაღლეს რეიტინგს ანიჭებდა სხვადასხვა ქვეყნის, განსაკუთრებით კი აშშ ფასიან ქაღალდებს, რომლიც ასრულებდა ნახესხობის ფუნქციას. პრეტენზიები, რომლებიც გამოიკვეთა გლობალური კრიზისის მიმდინარეობისა და შემდგომ პერიოდში „დიდი სამეულის“ მიმართ, შეიძლება შემდგენაირად ჩამოყალიბდეს:

- კომპანიებზე, ფასიან ქაღალდებსა და ქვეყნებზე არაობიერტური რეიტინგების მინიჭება საკუთარი გაუმჯობერვალე კრიტერიუმებისა და გასაიდუმლოებული მეთოდების გამოყენების საფუძველზე;

- „დიდი სამეულის“ მონოპოლიური მდგომარეობა და კონკურენციის არარსებობა საერთაშორისო სარეიტინგო ბაზარზე;

- მონოპოლიური სააგენტოების მიერ შეფასებებში დაშვებულია უხეში შეცდომები, რაც ბადებს ეჭვს ამ სააგენტოების არაკომპეტენტურობის შესახებ;

- სააგენტოების რეიტინგების დამკვეთებთან კორუფციულ გარიგებებში ჩართვის შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება გამხდარიყო არასწორი რეიტინგების მინიჭებისა და, შესაბამისად, გლობალური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი.

2008 წელს, ფასიან ქაღალდებსა და ბირჟებზე აშშ ფედერალური კომისიის მიერ მსხვილ სარეიტინგო სააგენტოებში

ჩატარებულმა საგამოძიებო საქმიანობამ, რომელიც ძირითადად ეხებოდა იპოთეკური ფასიანი ქაღალდების შეფასებას, გვიჩვენა, რომ არც ერთ სააგენტოს „დიდი სამეულიდან“ არ გააჩნდა არანაირი დოკუმენტურად დაფიქსირებული პროცედურები როგორი ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისათვის. არ გააჩნდათ აგრეთვე შეფასების სრულყოფილი აღმოჩენი, ამასთანავე, სარეიტინგო სააგენტოები არღვევდნენ დოკუმენტირების პროცედურას, რის შედეგადაც ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყო დაფიქსირებული. აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის ქრისტეფორ კოქის მოსხენებაში, რომელიც მოიცავს 10-თვიანი გამოძიების შედეგებს, აღნიშნულია, რომ ამ კომპანიებში გამოვლინდა სერიოზული დარღვევები, რომელთა შორის არის ინვესტორების ინფორმაციის არასწორი გახსნა, საჭირო კონტროლისა და მეთოდოლოგიის არარსებობა და ზერელე დამოკიდებულება ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.¹ კომპანიებს უბრალოდ არ შეგძლოთ დაბალი რეიტინგის მინიჭება იმ ემიტენტის წილობრივ ვალდებულებებზე, რომლებიც ახდენენ სტრუქტურირებული ინსტრუმენტების ქულების ფორმირებას. ასე მაგალითად, Moody's კრიზისის დაწებისას ადიარა, რომ ემიტენტების სავალო ვალდებულებებზე ანიჭებდა კუთვნილზე მაღალ რეიტინგს. შედეგად ამისა ინვესტორები, რომლებიც ორიენტირებული იყვნენ ამ რეიტინგზე, ფასიანი ქაღალდების შემცნისას დაკარგეს დაბანდების 60%-ზე მეტი².

მსხვილ, განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-სა და ევროპის წამყვან ქვეყნებში არსებობს ეჭვი, რომ სარეიტინგო სააგენტოები ჩართულია კორუფციულ გარიგებებში. აშშ ხელისუფლებაში თვლიან, რომ სარეიტინგო სააგენტოები შეთ-

¹ <http://rus.ruvr.ru/2010/07/13/12178613.html>

² Турсунов Т.М. Рейтинговые агентства и их роль на рынке структурированных финансовых инструментов, электронный журнал “Корпоративные финансы”. Выпуск, №13(15), 2010, с. 82.

ექონომიკური თეორია და ექონომიკური კოდიქტიკა

ქმული იყვნენ საინვესტიციო ბანკებთან და მიზანმიმართულად ანიჭებდნენ მაღალ რეიტინგებს იმ პროდუქტებს, რომლებიც ფაქტობრივად ტოქსიკურ აქტივებს წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ აშშ კონგრესმა მოისმინა საკითხი სარეიტინგო კომპანიებში შექმნილი რთული მდგომარეობის შესახებ და ცალ-სახად დააფიქსირა, რომ რეიტინგების მინიჭების პროცესს თან ახლავს კორუფციული გარიგებები.

უკანასკნელ დროს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების S@P, Moody's და Fitch-ის საქმიანობა მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ელისეის სასახლის და ევროპის კომისიის მხრიდან. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ სააგენტოების მიერ ჯერ საბერძნების, შემდგომ პორტფელისა და ესპანეთის სუვერენული რეიტინგების შემცირებამ, ნებატიური როლი შესარულა ევროპის საფონდო ბირჟებზე ბაზრობების მიმდინარეობაზე. სარეიტინგო სამსახურების საქმიანობას საგვარდ ხდის ის გარემოება, რომ ისინი ბაზრობების დახურვამდე რამდენიმე წუთით ადრე აქვეყნებენ ინფორმაციას სუვერენული რეიტინგების გაცემის შესახებ. უფრო მეტიც, მათი არსებობის პრაქტიკა გვიჩვნებს, რომ „დიდი სამეული“ უკან მისდევს საფონდო ბაზრების საქმიანობას და არა აქვთ უნარი მაღალი ალბათობით დააპროგნოზონ მოსალოდნებლი სიტუაციები მოკლე ან საშუალოვადიან პერიოდში.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიმართ უნდობლობა გამოხატა რუსეთის ხელისუფლებამ, ხოლო უკრაინის ეროვნულმა ბანკმა სარეიტინგო სააგენტოს Fitch-ს პროტესტის ნოტა გაუგზავნა და გაწყვიტა მასთან კავშირი.

G-20-ის ლონდონისა და სეულის სამიტებზე მკაფიოდ დაფიქსირდა ნებატიური დამოკიდებულება სარეიტინგო სააგენტოების საქმიანობაზე, აგრეთვე გამოითქვა მოსაზრება კომერციული ბანკებისა და ჰესენის შესახებ. საყურადღებოა, რომ „დიდ სამეულთან“ ერთად კრიზისის ხელშემწყობლი სტრუქტურად მიიჩნევენ, აგრეთვე,

კანალურ სააგენტოს A, M, Best-ს, რომელიც ძირითადად სადაზღვევო სფეროში საქმიანობს.

უნდა აღინიშნოს, რომ „დიდი სამეულის“ საქმიანობას მკაცრად აკრიტიკებენ მაღალავტორიტეტული ექსპერტები და მეცნიერ-ეკონომისტები. მათი აზრით, საგანგინოები დაინტერესებული იყვნენ წარმოებული ფასიანი ქაღალდების (დერივატულის) ემიტენტების მომსახურებით, რადგან მათი მხრიდან დიდ შემოსავალს იღებდნენ. ემიტენტები დაინტერესებული იყვნენ ფასიანი ქაღალდების ღირებულებაზე დამატებითი პლიუსების მიღებით, რასაც აღწევდნენ კორუფციული გარიგებებით. ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი ემხრობა მოსაზრებას „დიდი სამეულის“ კორუმპირებულობის შესახებ.¹ მათ მიმართ ნდობა იმდენად დაეცა, რომ „დიდი სამეულის“ საქმიანობის შეჩერებაზეც კი გამოითქვა მოსაზრება. ევროპული ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის, მსოფლიოში ცნობილი ფინანსისტის უან-კლოდ ტრიშეს აზრით, „დიდი სამეული“ თავიანთი რეიტინგებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბიზნესის განვითარებაზე, არამედ მათ შეუძლიათ თავიანთი არაკეთილსინდისიერი საქმიანობით შეარყიონ ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა.²

2008 წლის გლობალური კრიზისი ისეთი მოულოდნელობით დაატყვედა თავს თითქმის მთელ მსოფლიოს, რომ მისი მოახლოების შესახებ მსხვილი ოლოგოპოლიური სარეტინგო სააგენტოს მიერ ოდნავი მინიშნებაც კი არ დაფიქსირებულა. რა თქმაუნდა, იმ გარემოებამ, რომ სააგენტოებმა ვერ უზრუნველყველავეს თავიანთი ძირითადი ამოცანის – მსოფლიო ფინანსური სისტემის მდგრადობის პროგნოზირების რეალიზაცია, ბევრი კითხვა წარმოშვა როგორც ცალკეული სახელმწიფოების, ასევე საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების მხრიდან. იმ გარემოებამ, რომ სააგენტოები ბაზრობების დახურვამდე 15 წელით ადრე

¹<http://nm2000.kz/news/2010-04-26-26507>

² <http://popnano.ru/anticrisis/show/978>

მნიშვნელოვნად ამცირებდნენ ზოგიერთი ქვეყნის საკრედიტო სუვერენულ რეიტინგს, წარმოშვა ეჭვი, რომ მათი საქმიანობა მიმართული იყო ბირჟაზე მოთამაშეთა ერთი ნაწილის გამდიდრებისაკენ. ასეთი ქმედების უკან შეიძლება ყოფილიყო კორუფციული გარიგებები.

სარეიტინგო სამსახურები უარყოფენ მათ ბრალეულობას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნაში. მათი აზრით, პოლიტიკოსებს და რეგულატორებს უბრალოდ უნდათ მათი უპასუხისმგებლობა სხვას გადააბრალონ. მათი აზრით, უბრალო ტექნიკურ შეცდომებს, რომელსაც მართლაც პქონდა ადგილი მათ საქმიანობაში, არ შეეძლო ზიანის მიყენება საერთაშორისო ბაზრისათვის. თუმცა, „დიდი სამეულის“ მისამართით კრიტიკა გამოითქვა არა მხოლოდ პოლიტიკოსებისა და რეგულატორების მხრიდან, არამედ მათი კოლეგა სააგენტოების მხრიდანაც. მაგალითად, ჩინური სარეიტინგო კომპანია (Dagond Global Credit Riting) აცხადებს, რომ ამერიკული სარეიტინგო კომპანიები არ ხსნიდნენ რისკებს სათანადო დონეზე და ძალიან დაუახლოვდნენ თავიანთ კლიენტებს. ჩინურმა კომპანიამ თავისი გამოკლევებით „დიდი სამეულის“ საპირისპირო მონაცემები გამოაქვეყნა, სადაც აშშ-მა და დასავლეთის წამყვანმა ქვეწებმა უფრო ცუდი შეფასებები მიიღეს, ვიდრე მათ მიანიჭა „დიდმა სამეულმა“. პირიქით, განვითარებადი ქვეყნები ბრაზილიის, ჩინეთის და რუსეთის ჩათვლით, შეფასებულ იქნა უფრო პოზიტიურად, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების შეფასებებთან შედარებით.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების-„დიდი სამეულის“ მიმართ სახელმწიფოებისა და ბიზნეს-სტრუქტურების ნდობის დაკარგვის ძირითადი მიზეზები, ფაქტორები და პირობები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- ყველაზე დიდი როლი საერთაშორისო სააგენტოებისადმი ნდობის დაკარგვაში შეასრულა მსოფლიოში უმსხვილესი ამერიკული ინვესტიციური ბანკის Lehman Prothers – ის გა-

კოტრებამ, რომელსაც „დიდ სამეულში“ შემავალი სააგენტოები სისტემატურად მაღალ რეიტინგს ანიჭებდა;

• სააგენტოების საქმიანობისადმი ნდობის დაკარგვაში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ მათი, როგორც კერძო ბიზნესსუბიექტების შემოსავლები, არაა მიბმული შესრულებული სამუშაოების საიმედობასა და შეფასების ადეკვატურობასთან. მოქმედი წესის თანახმად, აღნიშნულ კომპანიებს არანაირი პასუხისმგებლობა არ აკისრია მათ მიერ არასწორად მინიჭებულ რეიტინგებზე. სარეიტინგო საქმიანობა არის ბიზნესი, რომელიც არანაირ რისკს არ შეიცავს;

• სააგენტოების მხრიდან ბიზნესისა და სახელმწიფოების მიმართ ვალდებულებების არქონამ გამოიწვია მათი საქმიანობის ხარისხის დაცემა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო გლობალურ კრიზისამდე, სარეიტინგო სამსახურების საქმიანობის შედეგებზე, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა, არც ერთ სახელმწიფოს (ჩინეთის გამოკლებით) და მსხვილ კომპანიას პრეტენზია არ გამოუთქვამს. აღნიშნულმა გარემოებამ თვითკმაყოფილების გრძნობა შექმნა სარეიტინგო სააგენტოებში და, შესაბამისად, დაეცა მათი საქმიანობის ხარისხი;

• აშშ კონგრესის ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდების კომისიამ, რომელსაც ევალება სარეიტინგო სააგენტოებზე ზედამხედველობა, ამ ბოლო პერიოდში შეასუსტა მათდამი კონტროლი. ყოველივე ამან უკანასკნელ წლებში სააგენტოებს განუმზრკიცა რწმენა, რომ არა „ბაზარი ქმნის ანალიტიკოსებს“, არამედ „ანალიტიკოსები ქმნიან ბაზარს“, რაც წინააღმდეგობაში მოდის საყოველოაოდ აღიარებულ საბაზრო პრინციპებთან;

• სარეიტინგო საქმიანობისადმი ნდობის დაკარგვაში დიდი როლი შეასრულა არაკონკურენტულმა გარემომ ამ სფეროში და მონოპოლისტი „დიდ სამეულის“ აშშ-ს ტერიტორიაზე არსებობამ. მართალია მსოფლიოში ისინი ვერ გაუმჯლავდნენ „დიდი სამეულის“ ზეწოლას და მათი მომსახურების არეალი ძირითადად ეროვნული ეკონომიკებია;

• სარეიტინგო სამსახურების მიმართ ნდობის დაკარგვა დაკაგშირებულია, აგრეთვე, მათ მიერ გამოყენებული რეიტინგების გაანგარიშების მეთოდებისა და მოდელების გაუმჯორვალობასთან. რეიტინგების გაანგარიშების „სამზარეულო“ საიდუმლოდ რჩება მათი დამკვეთებისა და მომხმარებლებისათვის.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიმართ უნდობლობის გაზრდამ დღის წესრიგში დაყენა ამ სფეროში წესრიგისა და ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა. ამ მიმართულებით დაწყებულია სარეფორმო სამუშაოები, რომელთა არსი შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

– ევროპაში ოვლან, რომ საჭიროა შეიქმნას დამოუკიდებელი, ისეთი ევროპული სარეიტინგო სააგენტო, რომლითაც შესაძლებელი გახდება ინვესტორთა კონფლიქტის გამორიცხვა-თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის. რაც შეეხება ევროპაში მუშაობის სურვილის მქონე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებს, ისინი ვალდებული გახდებიან გაიარონ სათანადო რეგისტრაცია (აკრედიტაცია) და შესაბამისად, მოექცევიან გარკვეული ზედამხედველობის ქვეშ. ამასთან, აუცილებელი უნდა გახდეს რეიტინგების გაანგარიშების მეთოდებისა და მოდელების შესახებ ინფორმაციის გახსნა (გამჭვირვალობა). ევროპავშირში უკვე დაწყებულია მუშაობა ფრანგული სადაზღვევო კომპანია Coface-ს ბაზაზე მსხვილი ევროპული სარეიტინგო სააგენტოს შექმნის მიმართულებით;

– ევროპის პარალელურად სარეიტინგო სააგენტოების რეგულირების სრულყოფის საკითხებზე დაიწყო მუშაობა აშშ-შიც, ქვეყნის კონგრესში მიმდინარე ფინანსური რეფორმების ჩარჩოებში;

– მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა სერიოზულად ფიქრობს ეროვნული სარეიტინგო სისტემის შემდგომ განვითარებაზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც წამოიჭრება სერიოზული პრობლემა, რაც გამოიხატება იმით, რომ ეროვნული სარეიტინგო პროდუქცია გამოიყენება მხოლოდ ქვეყნის შიგა მოხმარებ-

ისათვის. მაგრამ, როდესაც საკითხი ეხება ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების და ა.შ.) უცხოურ და საერთაშორისო ბაზრებზე განთავსებას, მაშინ საჭირო ხდება საერთაშორისო რეიტინგების გამოყენება. ამიტომაც, მხოლოდ ეროვნული სარეიტინგო სამსახურის განვითარებითა და რეფორმირებით საერთაშორისო დონეზე სარეიტინგო პრობლემა არ მოიხსენება. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დგება არსებული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების რეფორმირების, ამ სფეროში კონკურენციის გაზრდის ან კიდევ ახალი სარეიტინგო ინსტიტუციების შექმნის ამოცანა. ადსანიშნავია, რომ მხოლოდ იაპონია არის ერთადერთი ქვეყანა, რომლის ეროვნულმა სარეიტინგო სამსახურებმა დამისახურეს მაღალი იმიჯი და საერთაშორისო ბაზრების ნდობა.

ჩვენი აზრით, სარეიტინგო საქმიანობაში წესრიგის დამყარება შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ იგი კერძო ბიზნესის ხელში დარჩება. ბიზნესის მამოძრავებელი ინდიკატორია მოგების მიღება და გამდიდრება, რასაც ბიზნესი ადწევს ნებისმიერი კანონიერი თუ უკანონო გზით. რეიტინგების როლი და მნიშვნელობა იმდენად გაიზარდა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, რომ სარეიტინგო საქმიანობა მთლიანად უნდა ჩამოშორდეს ბიზნესექტორს და მან უნდა მიიღოს დაახლოებით ისეთივე სტატუსი, როგორიც აქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას ან სხვა რომელიმე საერთაშორისო დონის ინსტიტუციას.

სარეიტინგო სააგენტოერის საქმიანობის რეფორმირებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- სააგენტოების მუშაობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ რეიტინგის მიმღები თავის პროდუქციას ყიდის, რის გამოც იგი დაინტერესებულია მაღალი რეიტინგის მიღებით. როგორ უნდა მოიხსნას ინტერესთა კონფლიქტი, ამაზე ჯერჯერობით გამოკვეთილი კონცეფცია არ

ექონომიკური თეორია და ექონომიკური კოლექტივი

არსებობს. იდეა იმის შეახებ, რომ გადაიხადოს იმან, ვინც იყენებს რეიტინგს, ახალ სირთულეებს წარმოშობს. საქმე ის არის, რომ როდესაც ემიტენტი იხდის რეიტინგისათვის, იგი ხელმისაწვდომი ხდება ნებისმიერი მსურველისათვის და ეს შედის ემიტენტის ინტერესში. მაგრამ თუ რეიტინგისათვის გადაიხდიან „მომხმარებლები“ (ინვესტორები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და რეგულატორები), მაშინ ეს ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. ამ შემთხვევაში ბაზარზე მოთამაშე მსხვილ და მდიდარ კომპანიებს ექნება ასეთი ინფორმაციის უპირატესად მიღების საშუალება, რაც საბაზრო კანონებს ეწინააღმდეგება და არაჯანსაღ კონკურენციას შექმნის.

ჩვენი აზრით, შექმნილი სიტუაციიდან ოპტიმალური გამოსავალია მსხვილი კლირინგული კომპანიის შექმნა, რომელიც შუამავლის როლს შეასრულებს რეიტინგის „დამკვეთებს“ და „შემსრულებლებს“ შორის, რითაც გამოირიცხება ამ ორ სუბიექტს შორის პირდაპირი კონტაქტი და ზეწოლის განხორციელება სასურველი რეიტინგის მიღების მიზნით, რამდენადაც რეიტინგის დამკვეთს არ ეცოდინება თუ რომელი სარეიტინგო სააგენტო შეასრულებს მის დავალებას.

- სააგენტოების მიერ განსაზღვრული რეიტინგების საიმუდონობის ხარისხის ამაღლების მიზნით საინტერესოდ მიგვაჩნია წინადადება იმის შესახებ, რომ არასწორი, დამახინჯებული რეიტინგების შედეგად ბიზნესისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება დაეკისროს სააგენტოებს. ყოველივე ეს გაზრდის როგორც საერთაშორისო, ასევე ნაციონალური ბიზნესის უსაფრთხოებას. თუმცა, აქაც წარმოიშობა ახალი პრობლემა: ვინ უნდა დაადგინოს რეიტინგის სისტორე, მისი ხარისხი. შეუძლია თუ არა ამ ფუნქციის შესრულება მარეგულირებელ ინსტიტუტებს ან სასამართლო სისტემას. როგორც ჩანს, თუ ეს წინადადება მიღებულ იქნა, დღის წესრიგში დადგება სარეიტინგო სააგენტოების მარეგულირებელი საერთაშორისო მიუკ-

ერძოებელი ინსტიტუციის შექმნა G8-სა და G20-ის ჩარჩოებში კონსესუსის გზით.

სარეიტინგო სააგენტოები დღესაც სცოდავენ თავიანთ პროგნოზებში. საქმე ის არის, რომ ისინი პროგნოზებს ადგენენ ძალიან მარტივად, სათანადო არგუმენტირების გარეშე, რადგან საქმიანობის საბოლოო შედეგებზე არანაირად არ აგებენ პასუხებს. როგორც ჩანს, დადგა დრო შემოღებულ იქნეს ამ სააგენტოების საქმიანობაზე კონცროლისა და მათი პასუხისმგებლობის მექანიზმი. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ნებსით თუ უნებლიერ არ უბიძგონ ბუშტების გაბერვას ბაზარზე, უპირველეს ყოვლისა, საფონდო ბაზარზე.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, დღევანდებლმა სიტუაციამ მოსალოდნებლია გამოიწვიოს ახალი პრეტენზიები ამ სააგენტოების მიმართ. გერმანია ლობირებს უვრპული სარეიტინგო სისტემის შექმნას. უფრო შორს წავიდა ჩინეთი, რომლის კომპანია Dagon Global Credit Rating გახდა დასავლეთს გარეთ არსებული პირველი სარეიტინგო სააგენტო. რა თქმა უნდა, სანამ არსებობს ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარი, სარეიტინგო სამსახურების არსებობა აუცილებელია. ამასთან, თანდათანობით იკვეთება, რომ დიდი სამეულის დრო ამ სფეროში იწურება.

ბრეტონ-ვუდსის საზოგადოებრივი კომიტეტის წევრის, ადრე საბჭოთა, შემდეგ ამერიკელი ეკონომისტის ვლადიმერ კვინტის წინადადება იყო ზენაციონალური სარეიტინგო სამსახურის შექმნა მხოლოდ ერთი ფუნქციით – მოსალოდნებლი კრიზისის ადრეული სიგნალების განჭვრება და ბიზნეს-საზოგადოების გაფრთხილება. როგორც იგი აღნიშნავს, ვერც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, ვერც მხოლოდ ბანკმა, ვერც ვაჭრობის მხოლოდ ორგანიზაციამ და ვერც საერთაშორისო სარეიტინ-

ექონომიკური თეორია და ექონომიკური კოდიტიკა

გო სააგენტოებმა ვერ შეძლეს გლობალური ფინანსური კრიზისის მოახლოების პროგნოზირება.

მსოფლიოში ნელ-ნელა მწიფდება აზრი ახალი ეკონომიკური წესრიგისა და ახალი ფინანსური არქიტექტურის ჩამოყალიბების შესახებ, აქტიურდება დისკუსია ახალი მსოფლიო ფულის შემოღების თაობაზე, რომელიც არ იქნება რომელიმე ერთი ქვეყნის ეროვნული ვალუტა. ეს საკითხები იმდენად მრავალწახნაგოვანი და პრაქტიკულად რთულად რეალიზებადია, რომ მას ათეული წლები დასჭირდება, თუ საერთოდ იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ეკონომიკური ბალანსი ჩამოყალიბდება აშშ-სა და სხვა დანარჩენ ქვეყნებს შორის, აგრეთვე იმაზე პერსპექტივაში გაუსწრებს თუ არა განვითარებადი ქვეყნების (ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და სხვა) ეკონომიკური განვითარება ამჟამად ლიდერ სახელმწიფოებს.

ვიდრე პაცობრიობა მივა იმ დასკვნამდე, რომ რომელიმე ერთი ქვეყნის ინტერესების გამტარებებული საერთაშორისო რეგულატორების შეცვლა იქნება საჭირო, მანამდე მიზანშეწონილია არსებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ეფექტიანობის ამაღლება. ჩვენი აზრით, შორეულ მომავალში რადიკალურად შეიცვლება მსოფლიო ფინანსური არქიტექტურა. მასში თანაბრად მიიღებენ მონაწილეობას მდიდარი და დარიბი ქვეყნები. ის გარემოება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ორგანიზაციებია, სადაც დომინირებენ განვითარებული სახელმწიფოების წარმომადგენლები და იცავენ თავიანთი ქვეყნების იდეოლოგიას, კვლავაც გამოიწვევს გლობალურ ფინანსურ კრიზისებს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის ნაციონალური ინტერესების გათვალისწინება იწვევს

დისბალანსს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. საჭიროა ძველი დროით, ძველი მეთოდოლოგიით და ძველი იდეოლოგიით მომუშავე ყველა საერთაშოთ ინსტიტუტის რადიკალური მოდერნიზაცია და ახალ პარადიგმამდე აყვანა.

International Rating Business and Financial Crises

J. Meskhia

One of the major reasons causing global economic crisis is the incompetent and unfair activities of international rating agencies conducted on the world securities market. Inability of rating business oligopoly - the “Big Three” (Moody’s, Standards & Poors, Fitch Ratings) to forecast the global crisis and their corruption deals on the derivatives and securities markets contributed to the birth and development of global crisis.

The present article classifies basic claims laid to the “Big Three” by international financial and economical institutions, state leaders, experts and scientists. It explains the main factors and reasons for losing confidence of states and business structures in these rating agencies, describes modern problems which rating business are facing, as well as positive and negative aspects of reforms carried out in this direction. From the author’s viewpoint management of international rating activity seems to be impossible until it is in the hands of private business. In the nearest future the question of establishment of independent superstate international non-commercial rating agency should be on the agenda. Meanwhile the optimal way out is the foundation of a large clearing company that will act as a mediator between “customers” and “executors”, thus preventing corruption business deals, gain of rating through unfair means and direct contact between each other.

**მეცნიერება და მისი განვითარების
ეკონომიკური
პოლიტიკა საქართველოში**

**გულნაზ მრავალგვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თხუ ასოცირებული პროფესორი**

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მეწარმეობის განვითარებაა, რომელიც თავისთავად ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძველია. იგი უზრუნველყოფს ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, სტაბილური განვითარების გარანტის - „საშუალო ფენის“ წარმოქმნას. დღესდღეისობით, უმუშევრობა და სიღარიბე ქვეყნაში ჯერ კიდევ უმძიმეს პროლემებად რჩება. სამეწარმეო გარემოსა და პირობების შექმნას, მეწარმეთა ინტერესების დაცვას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, გულისხმობს სწორი სამეწარმეო პოლიტიკისა და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარებას.

რა მდგომარეობაა საქართველოში მეწარმეობის განვითარების მიმართულებით?

„საქსტატის“ მონაცემებით, 2011 წლის 1 მარტისათვის რეგისტრირებულ საწარმოთა 2,4% ეკუთვნის სახელმწიფოს, 0,4% მუნიციპალიტეტს, 93,8% არასახელმწიფო სექტორს, 3,4% საკუთრე-

ბის სხვა ტიპს. ადსანიშნავია, რომ 2008 წელს არასახელმწიფო სექტორს საწარმოთა 99% ეკუთვნოდა. 2008 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ (0,5%), მაგრამ მაინც გაიზარდა უცხოელი კერძო პირების საწარმოთა რაოდენობა. სამართლებრივი ფორმის მიხედვით 67,9%-ით პირველ ადგილზეა ინდივიდუალური მეწარმე, მეორეზე შპს – 24,1%, შემდეგ მოდის სააქციო საზოგადოება 0,6%. წლიდან წლამდე მცირდება სპს-ს, კს-ს და კოოპერატივების წილი.


საწარმოთა საერთო რაოდენობიდან 78,1% მოდის – ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტზე (1999 წელს – 48,3%, 2004 წელს - 66,5%, 2008 წელს - 78,5%), მეორე ადგილზეა (4,5%) – კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა, მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობა (4,4%). ეს უკანასკნელი 2004 წელს შეადგენდა 10,4%, 2008 წელს - 5,8% ანუ ბოლო წლების განმავლობაში დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა წილი თითქმის 2-ჯერ შემცირდა.

გამოკვლეულ იურიდიულ პირ საწარმოთა სტრუქტურა საწარმოთა ზომის მიხედვით ასეთია: 67% მცირე საწარმო, 20,4% საშუალო, ხოლო 12,6% მსხვილი. მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა მაღალი ხვედრითი წილით, შესაბამისად 27,5%; 23,5% და 39,6%-ით გამოირჩევა ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, მეორე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობა – 12,6%; 12,7%; 14,1%. შემდეგ მოდის მშენებლობა – 6,2%; 10,5% და 11,8%.

ეკონომიკური თვეორია და ეკონომიკური პოლიტიკა


ბიზნესსექტორის მიერ გამოშვებული პროდუქცია 2010 წელს 2002 წელთან შედარებით 3,9-ჯერ, ხოლო ბრუნვა 5,1-ჯერ გაიზარდა. მსხვილ საწარმოებზე მოდის წარმოებული პროდუქციის 86,8%, საშუალოზე – 9,1%, მცირეზე - 4,1%.

**ბიზნესსექტორის ბრუნვისა და პროდუქციის
გამოშვების მაჩვენებლები**



რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას, 2010 წელს 2002 წელთან შედარებით იგი დიდად არ გაზრდილა (2002წ. – 301,3 ათასი, 2010 წ. – 365,4 ათასი კაცი). 2005 და 2009 წლებში ადგილი ჰქონდა მატებას (შესაბამისად, 388,9 და 387,5 ათასი კაცი), 2010 წელს ისევ შემცირდა (365,4ათასი კაცი). 25,4% მოდის სახელმწიფო, ხოლო 74,6% არასახელმწიფო სექტორზე. აქედან 63,9% დასაქმებულია მსხვილ, 22,2% - საშუალო, 13,8% - მცირე საწარმოში.

ბიზნესექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებელი



შრომის ანაზღაურება 2010 წელს 2004 წელთან შედარებით 4,2-ჯერ გაიზარდა და 670,3 ლარი შეადგინა, თუმცა, გაზრდილი ინფლაციის ფონზე იგი მიზერულია.

მეწარმეობის განვითარების პოლიტიკა შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა მიზანს: რისკების შემცირება; საგადასახადო შეღავათები; ახალი ფირმების ფინანსური დახმარება; სამეწარმეო პოტენციალის ზრდა; კონკურენცია; ექსპორტის მხარდაჭერა; ბიზნესის კავშირი საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან და სხვ.¹

მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა.

• www.geostat.ge

¹ მეწარმეობის თეორიული საფუძვლები. ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-ხელის კონსალტინგი, რ. გველესანი, ქ. მექებაძიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეგაშვილი, მ. ნაცვალაძე, ნაწილი I-II. თსუ გამომცემლობა, 2009.

განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე პოლიტიკის ეს მიმართულება მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდისთვის. ბოლო წლებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები მიმართულია ლიბერალიზაციასა და კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებულ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ. ამ მხრივ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები: კერძოდ, საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია ევროპაში. მნიშვნელოვნად არის შემცირებული გადასახადების რაოდენობა 21-დან 6-მდე (2004-2010), ასევე, საგადასახადო განაკვეთები.

ახალი საგადასახადო კოდექსი (ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან) 2005 წლიდან ამ სფეროში მოქმედ წესებს ცვლის.¹ უცვლელი დარჩა საერთო და ადგილობრივი გადასახადების ექვივე სახე და განაკვეთები. ერთადერთი გამონაკლისია აქციზური გადასახადი, რომელთა გაორმაგებული ოდენობაც გარკვეულ სასაქონლო კატეგორიებზე, მათ შორის ალკოჰოლურ სასმელებსა და ჯარზე, უკვე ამოქმედდა 2011 წლის 1 აგვისტოდან.

ახალი საგადასახადო კოდექსით, დამატებითი ღირებულების 18%-იანი გადასახადის (დღგ) სავალდებულო გადამხდელები არიან 100 000 და მეტი ლარის ბრუნვის მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები. გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადის კლების გრაფიკი გადავადებულია და ნაცვლად 20%-იდან 15%-მდე ეტაპობრივი შემცირებისა, ითვალისწინებს 18%-მდე შემცირებას 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში. 2013 წლამდე კი საშემოსავლო გადასახადი 20%-იან განაკვეთზე იქნება შენარჩუნებული.

ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებისთანავე გაუქმდა საბაჟო კოდექსი. იმპორტის გადასახადი სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფებზე 12 და 5 პროცენტს შეადგენს. 2006 წლის 1

¹ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2011.

სექტემბრიდან მოქმედებდა იმპორტის ცალკეულ ჯგუფებზე 0%-იანი დაბეგვრის რეჟიმი, რაც ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით აღარ არსებობს.

იმპორტის გადასახადის გადახდა, იმპორტიორებს არა უშეალოდ საბაჟოზე, არამედ საგადასახადო დეკლარაციების წარდგენისას მოუწევთ. არსებული ყოველთვიური გადახდის წესის ნაცვლად, გადასახადების დეკლარირება კვარტალურად მოხდება.

ახალი კოდექსით სიახლეა მიკრო ბიზნესის სტატუსის შემოღებაც. ასეთად შეიძლება დარეგისტრირდეს 2011 წლის 15 თებერვლამდე 30 ათას ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას. თუმცა 30 ათას ლარამდე ბრუნვის მქონე ყველა ფიზიკური პირი ვერ მიიღებს მიკრო ბიზნესის სტატუსს, რადგან კოდექსის თანახმად, გამონაკლის საქმიანობის სახეებს მთავრობა პარლამენტთან ერთად განსაზღვრავს. მას ასევე ექნება უფლება აკრძალოს ამ სტატუსის ქვეშ ცალკეული საქმიანობების განხორციელებაც. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ასევე არა აქვთ საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება.

აღსანიშნავია ის, რომ ახალი კოდექსით საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევისათვის ჯარიმების ოდენობა 400-დან 15 000 ლარამდე მერყეობს. ამასთან, 2011 წლის ივლისიდან სალარო აპარატების გამოყენება სავალდებულო ხდება ბაზრობების მოვაჭრეებისთვისაც.

დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმში მოექცნენ ასევე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები. ასეთად ითვლება ის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვაც 100 ათას ლარზე ნაკლებია.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესის შემოსავალი 3%-დან 5%-მდე დაბეგვრება. შემოსავლის 3%-იანი დაბეგვრით სარგებლობს ის მცირე ბიზნესი, რომელიც შეძლებს წარმოადგინოს მთლიანი შემოსავლის 60%-ის ხარჯების (გარდა დაქირავე-

ექონომიკური თაორიგა და ექონომიკური პოლიტიკა

ბულზე დარიცხული ხელფასის ხარჯებისა) დამადასტურებელი დოკუმენტები. 30%-იანი დაბევრით ასევე სარგებლობები მცირე ბიზნესის ის წარმომადგენლები, რომლებიც სპეციალური საგაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქმიანობენ. მაგალითად, ბაზრობა.

ახალი საგადასახადო კოდექსით გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადების ან/და სანქციების შემცირების მიზნით, შესაძლებელია გაფორმდეს საგადასახადო შეთანხმება გადასახადების გადამხდელის მიერ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებული საგადასახადო დავალიანების ოდენობის ფარგლებში, მათ შორის, დამატებით დარიცებული საგადასახადო ვალდებულების ფარგლებში გადასახადის გადამხდელის მიერ მითითებულ საგადასახადო პერიოდზე/პერიოდებზე და გადასახადების/სანქციების სახელზე მითითებით.

2011 წლიდან საქართველოში მოქმედებს საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი. მისი მეშვეობით ხორციელდება ურთიერთობა მეწარმეებსა და სახელმწიფოს შორის. საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, აკლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. გადასახადის გადამხდელის უფლებების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, საგადასახადო ომბუდსმენი მიმართავს შესაბამის თრგანოს და აძლევს რეკომენდაციას ამ უფლებების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის, რომ მას გაუჭირდება იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელსაც ახალი კოდექსი წარმოშობს. კერძოდ, მიკრობიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებული უსამართლობა. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მიკრობიზნესად დარღვეისტრირებული პიროვნება გადასახადებისგან თავისუფლდება, ხოლო მასზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქე, რომელიც წვრილ ან მსხვილ კომპანიაში მუშაობს 20%-იან საშემოსავლო გადასახა-

დს იხდის. ერთი და იმავე შემოსავლის ოდენობა ერთნაირად უნდა იბეგრებოდეს.

აღნიშნული კოდექსის პროექტს ბიზნესმენებმა პირველი მოსმენით „რევოლუციური“ უწოდეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიკრო და მცირე მეწარმეებისათვის გაწეული შეღავათებით ბიუჯეტს რაც დააკლდება, მსხვილმა ბიზნესმა გაზრდილი გადასახადებით უნდა აანაზღაუროს. ასეთებად ის ბიზნესები ითვლება, რომლებიც „ზემოგებაზე“ მუშაობენ. კერძოდ, მობილური კომპანიები, სპირტიანი სასმელების ბიზნესი, სამედიცინო პარატურის იმპორტიორები და ასევე უმაღლესი სასწავლებლები. თუმცა ბოლო ორი ამ ეტაპზე დღგ-თი არ დაიბეგრება. გაიზარდა აქციზის გადასახადი როგორც ალკოჰოლურ სასმელებზე, ისე შავი და ფერადი ლითონების ჯართზე. აქციზის გადასახადის გაორმაგება განსაკუთრებით სპირტიანი სასმელების ადგილობრივ მეწარმეთა მდგომარეობას გააუარესებს, რადგან აღნიშნული პროდუქციის იმპორტიორებს საბაჟო გადასახადს უმცირებენ. მეწარმეთა აზრით, აქციზის ზრდის გამო მათ დღგს სახითაც მეტი თანხის გადახდა მოუწევთ, ამიტომ პროდუქციის თვითღირებულება თითქმის სამჯერ გაეზრდებათ. შესაბამისად, 50-70%-ით გაიზრდება სპირტიანი სასმელების საცალო ფასიც.

აქციზით 2011 წლის 1 აგვისტოდან დაიბეგრება ასევე კავშირგაბმულობის სატელეფონო ხმოვანი მომსახურება. მობილური კომუნიკაციების სფეროში დაწესდა 10%-იანი გადასახადი. საქართველო ერთადერთი ქვეყანა იქნება, სადაც მობილურით საუბარი აქციზით დაიბეგრება. გამორიცხული არ არის ამას ტარიფების ზრდა მოყვეს.

იზრდება ჯარიმა პროდუქციის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირების, რეალიზაციის შემთხვევებზე. დანაკლისის გამოვლენისას დარიცხული ჯარიმა ამჟამად არსებული პროდუქტის საბაზრო ფასის 100%-იდან 110%-მდე გაიზრდება.

ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს პატიოსანი გადამხდელის წახალისების რიგ მექანიზმებს; საგადასახადო

ლოიალური გახდება კარგი გადამხდელის მიმართ. მას უნებლიერ შეცდომას აპატიებენ და აღარ დააჯარიმებენ. ასევე, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭო, კანონის ორაზროვანი დებულების შემთხვევაში, უფლებამოსილია გადაწყვეტილება გადამხდელის სასარგებლოდ გამოიტანოს.¹

ახალი კოდექსით საგადასახადო ტვირთი საშუალო ბიზნესსაც ეზრდება. საშუალო ბიზნესი, რომლის წლიური ბრუნვა 200 ათას ლარზე მეტია, საქონლის მცირე მეწარმისაგან შესყიდვის დროს დღგ-ს ვედარ ჩაითვლის. მას ხარჯი გაეზრდება და 18-ის ნაცვლად დღგ-ს განაკვეთი, ფაქტობრივად, 36%-მდე გაეზრდება. ამით მცირე ბიზნესს მოესპობა მოტივაცია, გაიზარდოს და საშუალო ბიზნესად იქცეს.

ქვეყანაში უნდა გაცნობიერდეს, რომ საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა მეწარმეთა ფენაა, რომელიც ბაზრის კარნახით მოქმედებს და ამით უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის სრულყოფას და განვითარებას. რაც უფრო მყარად ჩამოყალიბდება მეწარმეთა ახალი კლასი, მით უფრო მაღალი იგი ეკონომიკური კრიზისიდან. სახელმწიფომ მეწარმეებს უნდა შეუქმნას ხელსაყრელი სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საბაზრო გარემო. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმეს უნდა მართავდეს მხოლოდ ბაზარი და სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობა.

მსოფლიოში არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, უცხოელი ინვესტორების ყურადღებას, უმთავრესად მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა იპყრობს. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სტაბილურობას, დია და კონკურენტუნარიანი ბაზრების ჩამოყალიბებას. საერთო ეკონომიკური რეფორმების ფონზე პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყანაში ინვესტიციების ხელშეწყობა და ამისათვის საჭირო ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

¹ ბ. ერქომაიშვილი, ქ. ხარაიშვილი, ფირმის ეკონომიკა, თბილისი, 2011.

Entrepreneurship and Economic Policy of its Development in Georgia

G. Erkomaishvili

One of the main aims of the state economic policy is the development of economic policy which on its side is the base of stable growth of economics. Creation of proper environment and conditions for enterprises, protection of entrepreneurs' interests should be supported by the state economic policy, which together with organizational and financial promotion implies the activities for increasing competitiveness of national production and development of proper entrepreneurship policy.

Developed countries have increased joint enterprising activities by raising their enterprising mentality. Therefore, this trend of the policy is significant for economic growth. Economic reforms implemented during the recent years in Georgia are directed towards ensuring economic growth based on liberalization and development of the private sector. Significant steps have been taken in this direction, in particular as a result of reforms implemented in tax system the Georgian tax legislation is considered to be one of the most liberal in Europe.

There should be general awareness of the state that the main driving force of market economy is the sector of entrepreneurship, whose activities are determined by market requirements and thus it ensures improvement and development of the economy. The more sustainable is the new class of entrepreneurs the sooner it will come out of the economic crisis. The state should create beneficial social, political, legal and the market environment for entrepreneurs. Under conditions of market economy the entrepreneur should be managed by only the market and the legislation of the state.

ჯონ სტიუარტ მილის კომპორომისები და თანამედროვეობა

ხემალ ხარისხობრივი
თხუ ახოციოდებული პროფესორი,
კუონომიკის აკადემიური დოქტორი

ბოლო ხანებამდე ჩვენში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევდა ინგლისელი ეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილის (1806-1873) ეკონომიკურ შეხედულებებს. არადა, ჯ.ს. მილს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები კ. რ. მაკკონელი და ს. ლ. ბრიუ ჯ. ს. მილს ასახელებენ მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი ეკონომისტების ხუთეულში. ესენია: ა. სმითი, დ. რიკარდო, ჯ. ს. მილი, კ. მარქსი, ჯ. მ. კეინზი.¹

ამერიკელი ეკონომისტი ბ. სელიგმენი მიუთითებს, რომ XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ინგლისის ეკონომიკურ მეცნიერებაში ბატონობდა ჯ. ს. მილისა და მისი მოწაფეების შეხედულებები (კერისი, მიშელი, შევალე, კურსელ-სენე, შერბულე).² შემდგომ ბ. სელიგმენი აღნიშნავს, რომ უ. ს. ჯევონსი მანჩესტერში კითხულობდა პოლიტიკური ეკონომის კურსს, რომელიც მან დააღაგა ჯონ სტიუარტ მილის თეორიასთან შესატყვისობით.³ ბ. სელიგმენი “კლასიკური ტრადიციების

¹ კ.რ. მაკკონელი, ს. ლ. ბრიუ, ეკონომიკის. ნაწილი I, თბ., 1993, გვ. 7.

² Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли. М., 1968. с. 145.

³ იქვე, გვ. 146.

კორიფებს უწოდებს სმითს, რიგარდოსა და მილს”.¹ ლ. ვალ-რასი “თავის თავს უწოდებდა სოციალურ ეკონომისტს ჯონ სტიუარტ მილის სულისკვეთებით”.² ბ. სელიგმენი შენიშვნას, რომ სიუკიკმა ღირებულების, წარმოების და განაწილების განმარტებები – ეკონომიკური თეორიის ეს მუდმივი საკითხები – მილისგან ისესხა³, ხოლო რიგარდო და მილი ა. მარშალისათვის დარჩნენ ეკონომიკური ანალიზის სწორუპოვარ მა-გალითებად.⁴

ფრანგი ექონომისტები შ. ჟიდი და შ. რისტი აღნიშნავენ, რომ ჯ ს. მილთან კლასიკური პოლიტიკური ექონომია სრულყოფილებას აღწევს. მის წიგნებში კლასიკური დოქტრინები კრისტალდება მქაფიო ფორმულებით ისე, რომ სრულიად დასრულებულად წარმოსდგებიან.⁵

ჯ. ს. მილი თავის ნაშრომებში წარმოჩინდება ეპონომიკური თეორიის არა მარტო პოპულარიზაციად, არამედ, იძლევა ცალკეული დებულებების დაზუსტებულ და ღრმა წარმოდგენებს, უფრო ამომწურავ ფორმულირებებს, სრულ არგუმენტებს, დასკვნებს და წინადადებებს.⁶

ინგლისელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, ჯეიმზ მილის (1773-1836) შვილი, ჯონ სტიუარტ მილი (Mill) თავს კლასიკოსად თვლიდა. ჯონ სტიუარტ მილის ცხოვრებაში მამამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ჯეიმზ მილს სურდა, რომ თავისი ვაჟი მისი ეპოქის გამოჩენილი პიროვნება ყოფილიყო. სამი წლის ასაკში იგი ჯონს ბერძნულს, 8 წლის ასაკში – ლათინურს, შემდეგ კი ფილოსოფიას, ისტორიას და მათემატი-

1 ođđđ, đđ. 154.

² *ođđđ*, đđ. 236.

³ օյզա, օյզ. 288.

⁴ *ođđđ, đđ. 298.*

⁵ Ш. Жидь и Ш. Ристь, История экономических учений. М., 1918, с. 207.

⁶ ქ. ჭუმბურიძე. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. თბ., 2009, გვ. 49.

კას ასწავლიდა. ულმობლობამდე მკაცრმა და დოგმატურად პრინციპულმა ჯეიმზ მილმა გადაწყვიტა აღზრდის საკუთარი სისტემა გამოეყენებინა შვილის მიმართ. ბავშვის “სამუშაო დღე” ზუსტად იყო განაწილებული. მან არ იცოდა არც სათა-მაშოები, არც ზღაპრები, არც თანატოლებთან თამაში. ყოვე-ლივე ეს შეცვალა მამასთან ერთად სეირნობის დროს წაპ-ითხული წიგნების შესახებ ანგარიშის ჩაბარებამ, ხოლო მოგვიანებით, აპტარა და-ძმებთან მეცადინეობამ. რვა წლის ბიჭუნას მიერ წაკუთხული წიგნების სია იწვევს გაოცებას. ბავშვი ნამდვილ გუნდერკინდად იქცა, რომელიც თავისი ცოდ-ნით მუდამ აოცებდა მამის მეგობრებს და ნაცნობებს.¹ გო-ნიერებით დაჯილდოებული ბავშვი წარუდგინეს დ. რიკარ-დოს. ეს უკანასკნელი პოლიტიკურ ეკონომიკაში მასთან საუბრით ფრიად კმაყოფილი დარჩა. 13 წლის მილი-უმცროსი მამასთან ერთად გადის პოლიტიკური ეკონომიკის კურსს, წერს რეფერატებს. მოგვიანებით ჯ. ს. მილი მოგვითხრობს: “რად-გან მუდმივად ვმონაწილეობდი მამის მეცნიერულ მუშაობაში, მე ვიცნობდი მის ყველაზე ახლო მეგობარს – დევიდ რიკარ-დოს, თავისი კეთილმოსურნე მონაწილეობით, თავისი გულკეთი-ლობით და შემწყნარებლობით მან მეტად დაიახლოვა ახალ-გაზრდობა. მას შემდეგ, რაც მე მეცადინეობა დავიწყე პოლი-ტიკურ ეკონომიკაში, იგი მეპატიუებოდა თავისთან და სეირნო-ბის დროს მესაუბრებოდა ამ მეცნიერების პრობლემების შესახ-ებ”.²

ჯონის ასეთი “სასათბურე განათლება” თოთხმეტი წლის ასაკში დასრულდა. შემდეგი პერიოდი მან საფრანგეთში გაა-

¹ ა. ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუქე. თბ., 1989, გვ. 275-276.

² J. St. Mill, Autobiography. L., 1944. P. 38.

ტარა. ჩვიდმეტი წლის ასაკში მამამ მუშაობა ოსტ-ინდოეთის კომპანიაში დააწყებინა.

თავისი ნაშრომების გამოქვეყნება ჯ. ს. მილმა თექვსმეტი წლიდან დაიწყო. ის მოიცავს ლიტერატურას, ფილოსოფიას, ისტორიას, პოლიტიკას, რელიგიას, მთავრობას, ეთიკას, სამართლებას და განათლებას. მისმა რჩეულმა ნაშრომებმა 21 ტომი შეადგინა.

1822 წელს მან გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომები პოლიტიკურ ეკონომიკაში – ორი სტატია დირექტულების შესახებ.

1843 წ. ჯონ სტიუარტ მილმა გამოსცა თავისი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური თხზულება “ლოგიკის სისტემა”. 1844 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი “ცდები პოლიტიკურ ეკონომიის ზოგიერთ გადაუქრელ საკითხზე”, ხოლო 1848 წ. “პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები”¹, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა. მის სიცოცხლეში იგი შვიდჯერ გამოიცა. ეს ნაშრომი XIX საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური თეორიის ძირითად სახელმძღვანელოდ იყო აღიარებული. ჯ. მილის “პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების” მთავარი დამსახურება ის არის, რომ პოლიტიკური ეკონომია, ანუ ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერება მთლიანობაშია განხილული. ჯ. ს. მილის აზრით პოლიტიკური ეკონომია მატერიალური დოვლათის შექენა-მოხმარების პრობლემებს შეისწავლის და ცალკეული ფაქტის ანალიზის დროსაც გამოიყენება. მას ეკონომიკური თეორიისა და ისტორიული მეცნიერებების ისეთი შეხამება სურდა, სადაც ისტორიისათვის უპირატესობა არ უნდა მიეცათ.

კ. ს. მილის “პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები” ხეთი წიგნისაგან შედგება და შესაბამისად ეძღვნება წარმოებას,

¹ J. ST. Mill, Principles of Political Economy. v. 1-2, L., 1848.

ექონომიკური თეორია და ექონომიკური პოლიტიკა

განაწილებას, გაცვლას, კაპიტალიზმის პროგრესს და სახელ-წიფოს ეკონომიკურ როლს.

დირებულების თეორია III წიგნშია შეტანილი, ვინაიდან ჯ. ს. მილისათვის შრომითი დირებულების თეორია არ წარმოადგენს ეკონომიკური მოძღვრების საფუძველს, მის მიხედვით დირებულება მხოლოდ შეფარდებაა ერთი საქონლისა მეორე საქონელთან, კერძოდ, ფულზე გაცვლისათვის ეს შეფარდება ბაზარზე მყარდება. კლასიკური სკოლის წარმომადგენლებისათვის საკითხი ასე იდგა: საცვლელ დირებულებათა და ფასების ძირითად საფუძველს წარმოადგენს შრომითი დანახარჯები. ყველა დანარჩენი ფაქტორის მოქმედება კი იწვევს მხოლოდ ამ საფუძვლიდან ამა თუ იმ გადახრას. ჯ. ს. მილი კი ცდილობდა ფასწარმოქმნის ახსნას მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.

ჯ. ს. მილის გამოკვლევის სპეციფიკურობაა ის, რომ მან ერთმანეთისგან გამიჯნა წარმოებისა და განაწილების კანონები: სიმდიდრე გაცვლითი დირებულების მქონე ერთიანობაა; საზოგადოების უცვლელობის კანონების შესწავლას პოლიტიკური ეკონომიის დინამიკა დაუმატა; ფასი დირებულების ფულადი გამოხატულებაა; კაპიტალი – შრომითი დირებულების მარაგია, რომელიც დანაზოგების შედეგად კვლავწარმოების პროცესში წარმოიშობა.¹

მოგების საკითხში ჯ. ს. მილი განიცდიდა დ. რიკარდოს გავლენას და წერდა – კაპიტალისტის მოგება წარმოდგება იქიდან, რომ შრომა უფრო მეტ დირებულებას ქმნის, ვიდრე მუშის შენახვა ჯდება. მაგრამ ეს მაინც რჩება მხოლოდ მასწავლებლის მიმართ სიტყვიერ ხარკად. სინამდვილეში ჯ. ს. მილი მოგებას ხსნის კაპიტალისტის თავშეკავებით.²

¹ ა. სილაგაძე, ეკონომიკური დოქტრინები. თბ., 2010, გვ. 221.

² ა. ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე. თბ., 1989, გვ. 282.

რენტას ჯ. ს. მილი განსაზღვავდა ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონით. აქედან გამომდინარე იგი არ ცნობდა მიწის დიფერენციულ რენტა II-ს. აქაც დ. რიკარდოს და ო. მალოუსის გავლენა იგრძნობა.

ჯ. ს. მილის აზრით, ხელფასის ნაწილი პრაქტიკულად სტაბილურია, რადგან განისაზღვრება მუშათა ხელფასის ფონდით, რაც განისაზღვრება მუშათა რაოდენობის გამრავლებით ხელფასზე. მისი თქმით, იგი მუდმივი სიდიდეა, ამიტომ ხელფასის ცვალებადობა ნიშნავს მუშათა ერთი ჯგუფის მოგებას მეორის ხარჯზე. ჯ. ს. მილი ერთდროულად იძლეოდა მუშათა ფონდის თეორიის ფორმულირებას, ამასთან, მსჯელობდა კაპიტალიზმის დროს მუშათა ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლების შესაძლებლობაზე.

ჯ. ს. მილი განიცდიდა ო. მალოუსის, ჟ. ბ. სეისა და ნ. სენიორის ძლიერ გავლენას. კაპიტალიზმის წინააღმდეგობების დაძლევის მიზნით, მილი ფრთხილად აღნიშნავდა, რომ მადალგანვითარებულმა საზოგადოებამ მოსახლეობის ზრდა შობადობაზე კონტროლით უნდა შეზღუდოს, რათა ცხოვრების დონის ამაღლება შესაძლებელი გახდეს. მან გაიზიარა მალოუსის მოსაზრებები, მაგრამ მის ზნეობრივ მოთხოვნებზე უარს ამბობდა. იგი აღფრთოვანებას არ გამოხატავდა ცხოვრების ძალული იდეალების გამო, რომლის მიხედვითაც ნორმალურია, როდესაც ადამიანი თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის იძრების. მისი აზრით, ადამიანის ბუნებისათვის უფრო მისაღებია, როდესაც არავინაა მდიდარი და უფრო მეტი სიმდიდრისაკენ არავინ არ მიისწრავვის და არავის ეშინია, რომ ხელსა პკრავს სხვა ვინმე. მას სურდა კაპიტალის ზღვარდაღებული დაგროვება, თუმცა კომპრომისების წინააღმდეგი არ

ԵՅԹԵԹԱՈՎԱՐՈ ԹԵՌԻՈՒ ԲԱ ԵՅԹԵԹԱՈՎԱՐՈ ԿՐԴՈՒՑՈՒ

ոյո. Հ. Տ. Թուղթ մեարև շէլլէրդա և օպուալյուրո րէֆորմէծ.՝¹ ման ցանցուարքէլլո զորմա մուսւա “կռմէրոմուսւլ ձուլութիւնը ցանցումուան”, ռոմելուց ցագութալուս ոճբէրշեծուս մշատա յլաւուս մուեազնէծուան նշեամյած ցուլութէ.՝²

Օ. Շյմէրիւրո ալիւացելլու ոյո Հ. Տ. Թուղթուս տեհշլլութու, ռոմել մուց ցամոեածլու մշատա յլաւուսաժմո ցարկացըլլո և մումատուա, ցագուցելլու ուլուս էլլութ.՝⁴

մարտալու, Հ. Տ. Թուղթուս մուժգրյածու օցրմենու մշատա յլաւուսաժմո ցարկացըլլո և մումատուա, մացրամ օմացը լրու օցու ցուլութէ մշատա յլաւուս մուեազնէծուս նշեամյած յանութալուս ոճբէրշեծուան.՝⁵

Թուղթուանութու Հ. Տ. Թուղթուսատցուս լամաեասուալյալլո ոյո ցագուրուսանութէլլու նշերուցելուսակյան մուժրեցուլյալ. յռմէրոմուսւնու. ու առ ցամորուցեազն ցանցումույնը լուծերալութմուսա և ձրությէլցուոնութմուս և մումութէ.

Տացուսացալու յռնէյրյնցու յլաւուսույրո և յուղուսատցուս վարմուացյան շմալույք կայնեալու կանոննե, ռոմելուց շնրայն ցալույց մոմեմարյալլու և սուսացու. օցու վարմույթլուս մուրուս յանութալյալ ասքությունութէ ձրուցրյաւ. մացրամ “Laissez faire” և այրուու առ վարմուացյան յլաւուսույրո և յուղուսատցուս լուսաւու անդամանուսատցուս, ռատա ման ելու հասկուու մաս, և անամ և անամ անդմուցը առ ոյնյած լամիցութէլլու.՝⁶

¹ Տ. Տուղթամայ. ցանցումույնը լույսունութէ. տժ., 2010, զշ. 222.

² Տ. Տուղթամայ. ցանցումութէ և անութայ. զշ. 279.

³ Ովցի.

⁴ Հ. Տարութանանցու. ցանցումույնը մուժգրյածուա ընթրուսայէլու և անամցը անութայ ձրությալլու. նախուու I, տժ., 1997, զշ. 130-131.

⁵ Ռ. Ջին և Ռ. Ռիստ, Իстория экономических учений. М., 1918. с. 210.

ჯ. ს. მილი თავის წიგნში - “თავისუფლების შესახებ,” ასევე ეკონომიკურ თავისუფლებას არ გამოყოფდა პოლიტიკურისაგან, თუმცა, ნაკლებ ლირიკულ ტერმინებს იყენებდა მის მიმართ. ის აღნიშნავდა, რომ “ბოროტებაა ყველაფერი რაც ზღუდავს კონკურენციას და სიკეთეა, საბოლოო ანგარიშით, რაც აფართოებს მას”.

ცნობილია, რომ პროტექციონისტები აღიარებენ სრული-ად საწინააღმდეგო თეორიას, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო გაჭრობაში დარჩიბი ქვეყანა ყოველთვის სულელის როლს თამაშობს.

ჯ.ს. მიღმა თავისი თეორიით შეძლო გზა გაეკვლია ეროვნულობისათვის. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით ის დარჩა თავისუფალი გაჭრობის ერთგული და მრეწველობის ახა-

ლი დარგების აღმოცენების შემდეგ ეწინააღმდეგებოდა მფარველობით ბაჟებს.

ჯ. ს. მილის აზრით, ეკონომიკური დასკვნები სწორი და მისაღებია მხოლოდ გარკვეული პირობებში და, ამიტომ, ისინი არ შეიძლება იყოს უნივერსალური ხასიათის.¹

ეს პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით წარმოჩინდება თანამედროვე ვითარებაში. დღეს პრინციპულ როლს ასრულებს ეკონომიკური ლიბერალიზმის და პროტექციონიზმის შეთანაწყობის პრობლემის გონივრული გადაწყვეტა.

ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელის აგება და რეალიზაცია წარმოუდგენელია პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების გარეშე. აქ იგულისხმება, სამამულო წარმოების დაცვის მიზნით, იმპორტზე საბაჟო ტარიფების გადიდება და სამამულო წარმოების სახელწიფოებრივი სუბსიდირება. მხოლოდ ამ პოლიტიკით არის შესაძლებელი ეროვნული ცხოვრების წესის შენარჩუნება და მსოფლიო პოლიტიკის გათვალისწინებით, ეკონომიკის გონივრული მოდერნიზაცია.²

ამ მიმართებით გარკვეული დონისძიებები ტარდება საქართველოში. 2009 წელს გადაისინჯა საიმპორტო ტარიფები. მანამადე იმპორტზე საბაჟო ტარიფები სამი რეჟიმით იყო წარმოდგენილი: დაუბეგრავი (0), 5%-იანი და 12%-იანი დაბეგვრა. გაუქმებულ იქნა 5%-იანი დაბეგვრა, დატოვებულ იქნა დაუბეგრავი და 12%-იანი დაბეგვრა. საქონელთა ერთი ნაწილი, რომელიც 5%-ით იბეგრებოდა, გათავისუფლდა დაბეგვრისაგან, უპირატესად კვების პროდუქტები. ეს კარგია, რადგან რომელი საქონლის წარმოებაც საჭირო ოდენობით არ შეუძლია ქვეყანას, გათავისუფლდა გადასახადისგან, რათა დეფი-

¹ ქ. ჭუმბურიძე. ეკონომიკური მოძღვრებათა ისტორია. გვ. 49.

² ჯ. კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, ოქონია და პოლიტიკა. ნაწილი II, თბ., 1997, გვ. 45.

ციტი არ შეიქმნას, ხოლო ისეთი საქონელი და მომსახურება, რომლის შექმნის პერსპექტივა გააჩნია სამამულო წარმოებას, 12%-ით იძეგრება, რათა შეფერხდეს მათი შემოტანა და ხელი შეეწყოს სამამულო წარმოების განვითარებას.

პროტექციონისტული ჩარევა იყო ასევე ბანკებისა და სამშენებლო კომპანიების სუბსიდირება.¹ დღეს არა მარტო ჩვენ, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებიც კი იძულებული არიან ჩაერიონ ეკონომიკაში და პროტექციონიზმიც კი გაატარონ.

მსოფლიოს ქვეყნებში მიმდინარე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ზოგიერთი ეკროპული ქვეყანა თავს იკავებდა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევაზე, თუმცა, მათ მაინც მოუწიათ იძულებითი ნაბიჯის გადადგმა. ჯონ მიქლზუეთი აღნიშნავს, რომ “კრიზისის პირობებში კონგრესიდან იქნება პროტექციონისტული მოთხოვნები აშშ-შიც”². აკი, აშშ-ის კონგრესმა ამ მიზნით გამოყო 787 მლრდ დოლარი, იაპონიამ – 270 მლრდ დოლარი, გერმანიამ – 150 მლრდ.

რობინ ბიუ მიუთითებს, რომ “უმუშევრობის ზრდა მთავრობებს მოტივირიას აძლევს, საკუთარი სკამის შენარჩუნების მიზნით, პოპულისტურ პროტექციონიზმს მიმართონ”³.

ორთოდოქსალური ლიბერალები ეყრდნობიან კონკურენტუნარიანი ქვეყნების პრაქტიკას, ასევე გამოჩენილი ადამიანების აზრებს (ზოგჯერ მოძველებულს) და მოითხოვენ სრულ ლიბერალიზმს.

¹ ჯ. სარიტონაშვილი. პალეოლიტურალები თუ ნეოლიტურალიზმი? – პაპა ბა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, თბ., 2010, გვ. 263.

² ჯ. მიქლზუეთი. ამერიკის ახალი იმედი, მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2009, გვ. 9.

³ გ. იპი. აირჩიე სცენარი. სოფლიო ეკონომიკა, თბ., 2009, გვ. 55.

ბოლო ხანებში ჩვენში მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ ვინაიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, მას არ შეუძლია პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება. ზემოთ დასახელებულ ქვეყნებიც აღინიშნული ორგანიზაციის წევრები არიან, მაგრამ როცა დასჭირდათ, გაატარეს ეს პოლიტიკა.

საქართველო ვერ განვითარდება მსოფლიო ცივილიზაციის მოძრაობის გამოცდილების გარეშე. ჩვენ უნდა გავიზიაროთ და გამოვიყენოთ მოწინავე ეკონომიკური აზრი და გავატაროთ მობილური პოლიტიკა. დღევანდელ სიტუაციაში წინსვლა შესაძლებელია მსოფლიო ყველა ყოფილი და ახლა არსებული ეკონომიკური ურთიერთობების სინთეზისა და განვითარების გზით. კარგა ხანია ვიცავ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, საწყის პერიოდში საჭიროა უპირატესად გამოყენებულ იქნეს პროტექციონისტული პრინციპი (“აღმზრდელობითი პროტექციონიზმი”), ხოლო შემდეგ, როცა შესაძლებელი გახდება, პრიორიტეტი მიენიჭოს და ფართო გზა გაეხსნას თავისუფალ მეწარმეობას და თავისუფალ ვაჭრობას (ფრიტრედერობას).

ამ მხრივ სათანადო გამოცდილება არსებობს ეკონომიკის ისტორიაში. XIX საუკუნეში, როდესაც დასავლეთ ევროპის წამყვან ქვეყნებში ეკონომიკური ლიბერალიზმი ბატონობდა, განვითარების გზაზე დამდგარ გერმანიაში მეცნიერებმა (ფ. ლისტი, ისტორიული სკოლის თეორიიკოსები) და პოლიტიკოსებმა (ო. ფ. ბისმარკი) არ გაიზიარეს ლიბერალიზმი და გერმანიის აღმავლობას პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებით მიაღწიეს. შემდეგ კი, XX საუკუნის მეორე ნახევარში, ფართო გზა გაუხსნეს ნეოლიბერალიზმს. XX საუკუნის 70-იან წლებში კვლავ იყენებდნენ რეგულირებადი ეკონომიკის ნეიკეინზურ მოდელს. ხოლო 80-იანი წლების

დასაწყისიდან ჩამოყალიბდა ნეოლიბერალიზმი. ახლა კი კვლავ რეგულაციაა დღის წესრიგში.

როგორც ვხედავთ, ყველა სიტუაციაში საჭიროა ელასტიკური, მობილური პოლიტიკის გატარება. ამასთან, ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს... საბაზრო და სახელმწიფოებრივი მექანიზმების “ინტეგრაციას”. ბაზრის თვითრეგულირებად მექანიზმებთან ერთად საჭიროა სახელმწიფობრივი კანონმდებლობით ბაზრის სფეროს ზოგიერთი მხარის მკაფრი რეგლამენტაცია.¹

John Stuart Mill's Compromises and Modern Society

J. Kharitonashvili

Until recently, we did not pay great attention to the ideas of a famous English economist John Stuart Mill (1806-1873). But the name of J. S. Mill is emphasized in the history of economic thought. Modern American economists K.R. McConnell and S.L Brue name J. S. Mill among the five greatest economists of the world. They are: A. Smith, D. Ricardo, J. S. Mill, K. Marx, J.M. Keynes.

In the works of J. Mill classical doctrines are crystallized by clear formulations so that they are presented in a complete way. The main positive point of his book Principles of Political Economy is that it considers economic theory as a whole. J. S. Mill was characterized by a tendency of reconciliation between contraries. He did not exclude the symbiosis of economic liberalism and protectionism.

¹ რ. გოგოხია, საბაზრო სისტემის ეფექტიანობისა და პერსპექტივების საკითხისათვის. ქურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2010, №2, გვ. 37-39.

პირვენ ერთხელ დემოგრაფიისა და

დემოგრაფიული სტატისტიკის შესახებ

მერაბ ხმალაძე

თხუ ახორციელული პროცესორი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი

დემოგრაფია შეისწავლის მოსახლეობაში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს (მობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება, მიგრაცია), მათგან მოქმედ ფაქტორებს და დემოგრაფიული პროცესების შედეგებს.

დემოგრაფიული სტატისტიკა შეისწავლის დემოგრაფიულ პროცესებში მიმდინარე რაოდენობრივ კანონზომიერებებს.

დემოგრაფიისა და დემოგრაფიული სტატისტიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარკვევა ნიშნავს იმის დადგენას, არის თუ არა დემოგრაფია დამოუკიდებელი მეცნიერება, თუ იგი დემოგრაფიული სტატისტიკის სინონიმია. საუკუნეების განმავლობაში არ არსებობდა თვით ტერმინი „დემოგრაფია“, იყო მხოლოდ „სტატისტიკა“, რომლის შემადგენლობაშიც ვითარდებოდა აღნიშნული დარგი და წარმოადგენდა სტატისტიკის შემადგენელ ნაწილს. დემოგრაფიაზე, როგორც სტატისტიკის დარგზე, შეხედულებას ვხვდებით ცნობილი უკრაინელი სტატისტიკოსის და დემოგრაფის მ.ვ. პტუხას შრომებში¹.

¹ М.В. Птуха. Очерки по статистике населения. М., «Госстатиздат», 1960, с. 52.

ვიდრე განვიხილავდეთ დემოგრაფიის რაობის საკითხს, საჭიროდ ვთვლით, განვიხილოთ საკითხი დემოგრაფიული სტატისტიკის და მოსახლეობის სტატისტიკის არსის შესახებ. დღემდე კველა ავტორი, თვით ამ სტრიქონების ავტორიც¹ დემოგრაფიულ სტატისტიკას და მოსახლეობის სტატისტიკას თვლიდა ერთ და იმავედ. ასეთ შეხედულებას იზიარებდა საჭვეულოდ აღიარებული აკად. პ. გუგუშვილიც². თუ გამოვალთ დემოგრაფიის საგნის განმარტებიდან, ისინი სხვადასხვა ცნებებია. დემოგრაფიული სტატისტიკა დაკავშირებულია დემოგრაფიულ პროცესებთან და წარმოადგენს მოსახლეობის სტატისტიკის შემადგენელ ნაწილს. მოსახლეობის სტატისტიკა, დემოგრაფიული სტატისტიკის გარდა, მოიცავს მოსახლეობის, როგორც სტატისტიკური ერთობლიობის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა: სოციალური და ეკონომიკური სტატუსი, ეროვნება, რელიგიური კუთვნილება და სხვა. ამიტომ არცერთი ავტორი, რომელიც თვლის მოსახლეობის სტატისტიკას დემოგრაფიის შემადგენელ ნაწილად, არ ითვალისწინებს, რომ დემოგრაფიული სტატისტიკის გარდა – ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მოსახლეობის სტატისტიკის საკითხები, წარმოადგენს არა დემოგრაფიის, არამედ სოციალურეკონომიკური სტატისტიკის საგანის.

შესაბამისად, ჩვენ ერთმანეთისგან გმიჯნავთ დემოგრაფიულ და მოსახლეობის სტატისტიკას. დემოგრაფიის საგნის ჩვენი განმარტება საკმაოდ ახლოს დგას ცნობილი ქართველი სტატისტიკოსის და დემოგრაფიის გ. გამყრელიძის მიერ დემოგრაფიული სტატისტიკის საგნის განმარტებასთან. მისი

¹ ე.ხ.ხადა-აძე, მოსახლეობის სტატისტიკა დემოგრაფიის საფუძვლებით. ლექციების კურსი, ნაკადი I, თბ., თსკა ამონტაჟმლობა, 1986.

² კბელი შემოქმედი დღის შესახებ მონაცემების მიხედვით, 1973 წლის 10 თებერვალი.

ექონომიკური თიურია და ექონომიკური პოლიტიკა

აზრით, „მოსახლეობის სტატისტიკის (მოსახლეობის სტატისტიკას გამყრელიძე აიგივებდა დემოგრაფიულ სტატისტიკასთან – მ.ხ.), როგორც მეცნიერების, შესწავლის საგანია საზოგადოების განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში აღებული მოსახლეობა, როგორც სოციალური მასა და მასში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები, განხილული ისეთ ნიშანთა მიხედვით, რომლებიც სტატისტიკურ შესწავლას ექვემდებარებიან. დემოგრაფიულ პროცესებში გ. გამყრელიძე განიხილავს შობადობას, მოკვდაობას, ქორწინებას, განქორწინებას და მიგრაციას¹.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მოსახლეობა არის დემოგრაფიული სტატისტიკის შესწავლის ობიექტი და არა საგანი, გ. გამყრელიძის მოსაზრება იყო პროგრესული იმ დროისათვის და აქტუალურია დღესაც.

დემოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების შესახებ აზრი არსებობდა უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფრანგ და იტალიელ მეცნიერებში. მ.ვ. პტუხას ცნობით² ესენია: ა. გიიარი, გ. რუმელინი, ე. ენგელი, მ. ბლოკი, ლ. ბერტილიონი და ჟ. ბერტილიონი (მამა და შვილი), რ. ბენი-ნი და სხვები.

დემოგრაფია დამოუკიდებელ მეცნიერებად აღიარებულ იქნა XX საუკუნის მეორე ნახევარში. ძირითადი დისკუსია მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: 1. რატომ შეფერხდა დემოგრაფიის გამოყოფა სტატისტიკიდან და 2. რა არის დემოგრაფიის დამოუკიდებელ მეცნიერებად აღიარების ძირითადი არგუმენტი.

განვიხილოთ ორივე მიმართულება.

¹ გ. გამყრელიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 34.

² მ.ვ. პტუხა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 55.

Չեռծուղու րյասո և թագուցիչուսո և դեմոգրաֆու ա. ծուարեցո վյշա, րոմ թագուցիչուս ջուղմա րոլմա զանա- ակարծա դեմոգրաֆուս և եալետմուսաելյունուս թագուցիչուս յրտմանետմու արաւուրա ալրյա եալետմուսաելյունուս թագուցիչու վարմուացյան դեմոգրաֆուս յրտ-յրտ հավուց¹.

Մյահերդայու տացա թյարմունիք - եալետմուսաելյունու, րամցենա աւա ուս յարտյա սամյցնույրու პրոցյակցուամու զցե- ցցեա. ծուարեցուս անրու, թյարմու մուսաելյունուսացան ուս օմու ցանսեցացցեա, րոմ լապարակու եալետսցան Մյմցցար մուսաե- լյունուանյ. ույմու Մյունցցեա դեմոգրաֆուամու մւյցյալունու ոյուս եալետս ցարծա սեցանյ, մացալուտա և, թյարյանուս ան մցենարյա էունու դասաելյունուանյ. րյասյա դեմոգրաֆույա լությարաբյամու թյա- րմունու եալետմուսաելյունու սապոցյալուտառունու ցացրցյալյանու. թյարմունու մուսաելյունու, յարտյա յնամու դակացմուրյա էունու մուսաելյունտան, սաելուտան, եռլու սաելու ամյեցնունու մեռլուն աժամո- անո. Մյսաձամուսա և, թյարմունու „եալետմուսաելյունու“ յարտյա սամյցնույրու լոյյեսույունունու յնճա ամոցունու. աժնունեյա անրու ունուարյան ցեռծուղու յարտյա լոյյու իոյացա². թյա- րմունու եալետմուսաելյունու յարյա տցու րյասմա թագուցիչու- սցմաց³.

Ռաւ Մյյեյենու թագուցիչուս „դու րոլս,“ ուս օսթորոյ- լա ասրյալյա ասրյալյա և մյասրյալյա „ասյու դու րոլս.“ եթագուցիչուս և եթագուցիչույրու մյուրունունու թագուցիչու դեմոգրաֆու զյու օարսյա ասրյալյա, րամցենա դեմոգրաֆույա պրոցյա մյահերդայու յարյա տցու րյասմա թագուցիչու- սցմաց.

¹Теоретические проблемы демографии. М., «Статистика», 1970, с. 33.

² լոյյու իոյացա. դեմոգրաֆույա յամյա ուրուուրունու դու յանունու. ուն., 2002, օյ. 14.

³ Статистика населения с основами демографии. М., 1990, с. 4.

სობას იძლევა სტატისტიკა, ხოლო სტატისტიკური მეთოდი წარმოადგენს დემოგრაფიული ანალიზის ძირითად მეთოდს. არ შეიძლება იყოს პროფესიონალი დემოგრაფი სტატისტიკის თეორიის და დემოგრაფიული სტატისტიკის ცოდნის გარეშე, რა დონის პროფესიონალიც არ უნდა იყოს ნებისმიერ მოსაზღვრე დარგში.

რაც შეეხება დემოგრაფიულ სტატისტიკას, როგორც დემოგრაფიის შემადგენელ ნაწილს, თუ დემოგრაფიული სტატისტიკა დემოგრაფიის ნაწილია, მაშინ როგორაა დღემდე ის როგორც მეცნიერულად, ასევე პრაქტიკულად იმავდროულად სტატისტიკის დარგი¹? მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ინფორმაციას დემოგრაფიულ პროცესებზე ხომ სტატისტიკური სამსახურები მოიპოვებს? უფრო მეტი, დასაქმების სტანდარტულ კლასიფიკაციაში, რომელიც წარმოადგენს შრომის საერთაშორისო სტატისტიკის სტანდარტს, დემოგრაფიის პროფესია მიეკუთვნება სტატისტიკის პროფესიების ჯგუფს². ამიტომ ადრეც მიღებული იყო და დღესაც ვსარგებლობთ ზოგიერთი პროფესიონალის ტიტულად: სტატისტიკოსი, დემოგრაფი.

და კიდევ ერთი: დემოგრაფიულ ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება, რომ დემოგრაფია წარმოადგენს დემოგრაფიული სტატისტიკის საფუძველს³, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით და ვთვლით, რომ პირიქითაა – დემოგრაფიული სტატისტიკა წარმოადგენს დემოგრაფიის საფუძველს.

დემოგრაფიის დამოკიდებულ მეცნიერებად აღიარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერებმა. ჯერ

¹ იხ.: დემოგრაფიის მოქლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გრულადე, თბ., 2005, გვ. 80.

² დასაქმების სტანდარტული კლასიფიკაცია. თბ., 2006, გვ. 67.

³ Статистика населения с основами демографии. Под. Ред. Проф. Г.С. Кильдишева. М., «Финансы и статистика», 1990.

კიდევ 1919 წელს ქ.კიევში შეიქმნა მსოფლიოში პირველი დემოგრაფიული ინსტიტუტი, რომელსაც 1938 წლამდე სელმძღვანელობად აკად. მ.ვ. პტერება. ასეთივე ინსტიტუტი მოგვიანებით შეიქმნა ქ. ლენინგრადში. ორივე ინსტიტუტი 1940-იან წლებში დაიხურა, რითაც დემოგრაფიული კვლევები საბჭოთა კავშირში რამდენიმე ათეული წლით შეფერხდა. დემოგრაფიული კვლევების შეფერხებას ხელი შეწყო სრული დემოგრაფიული ინფორმაციის არარსებობამაც, რამდენადაც დემოგრაფიული ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, მოსახლეობის აღწერა, საბჭოთა კავშირში 1939 წლის შემდეგ ჩატარდა მხოლოდ 1959 წელს.

შურნალ „გესტნიკ სტატისტიკის“ („სტატისტიკის მოამბდე“) ფურცლებზე 1968-1970 წლებში გაიშალა მწვავე დისკუსია დემოგრაფიისა და დემოგრაფიული (მაშინ უწოდებდნენ მოსახლეობის სტატისტიკას) სტატისტიკის ურთიერთობის საკითხზე. დისკუსიაში მონაწილე 20 ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი სტატისტიკოს-დემოგრაფებიდან 19-მა დემოგრაფია ჩათვალი დამოუკიდებელ მეცნიერებად, რომელიც სარგებლობს დემოგრაფიული სტატისტიკით, ხოლო ერთმა (პ.გ. პოდიახიხი) გააიგივა დემოგრაფიულ სტატისტიკასთან. საინტერესო იქნა ამ უკანასკნელის არგუმენტი. 1950-იან წლებში მოსკოვში გამოიცა სახელმძღვანელო – „დემოგრაფიული სტატისტიკა“ პროფ. ა. ბოიარსკის და პ. შუშერინის ავტორობით. 1967 წელს ასევე მოსკოვში, პროფ. ბოიარსკის ხელმძღვანელობით ავტორთა კოლექტივმა გამოსცა სახელმძღვანელო „დემოგრაფიის კურსი.“ პოდიახიხმა გამოაქვეყნა ორივე სახელმძღვანელოს არქიტექტონიკა, თავებისა და პარაგრაფების ჩამონათვალით, რომლებიც პრქმიკულად ემთხვევოდა ერთმანეთს.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასასრული და 70-იანი წლების დასაწყისი ხასიათდება ერთი მნიშვნელოვანი გარემოებით. დემოგრაფიამ, როგორც სასწავლო დისციპლინამ, შეადოუნივერსიტეტის კარები. აი რას წერს ამის შესახებ მსოფლიოში ცნობილი ფრანგი დემოგრაფი ალფრედ სოვი: „ცოდნის ეს დარგი ისე დიდხანს ვითარდებოდა მარტოხელა მპვლევარების მიერ, რომ მისთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა – „მივიწყებული მეცნიერება მასწავლებლებისა და მოსწავლების გარეშე.“ მან მხოლოდ უკანასკნელ წლებში მორიდებულად შეადოუნივერსიტეტების კარი, მაგრამ ბევრ ქვეყნებში ის ძველებურად რჩება კარს მიღმა“¹.

დემოგრაფია, როგორც სასწავლო დისციპლინა, თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოდებულ იქნა 1970-იანი წლების დასაწყისში². კერძოდ, 1970 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკისა და ზოგიერთი სხვა სპეციალობის მეორე კურსზე წაკითხულ იქნა დემოგრაფიის კურსი. პირველი ლექტორი იყო ცნობილი ქართველი დემოგრაფი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ანზორ თოთაძე, ხოლო მისი ერთ-ერთი მსმენელი, ამ სტრიქონების ავტორი, სტატისტიკის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი. ამის შემდეგ უნივერსიტეტში დემოგრაფიის კურსს კითხულობდა ლექტორთა მრავალი თაობა, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორი, 1978-1989 წლებში.

მაგრამ, სამწუხაროდ, დემოგრაფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღისთვის საერთოდ აღარ იკითხება.

¹ А. Сови. Общая теория населения. Том первый. Экономика и население. Перевод с французского. М., 1977, с. 27.

² 1950-იან წლებში და მანამდე, უნივერსიტეტში ისტავლებოდა დემოგრაფიული (მოსახლეობის) სტატისტიკა. ლექციებს კითხულობდა ფილიპე გოგიაშვილი, შემდეგ კი გოორგი გამყრელიძე. აღნიშნული ცნობა მოგვაწოდა პროფესორმა ამირან ჯიბუტმა.

უფრო მეტი, დემოგრაფია არა თუ სავალდებულო საგანთა, არამედ არჩევითთა შორისაც არ არის.

2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა დემოგრაფიის კათედრა. კათედრა ფუნქციონირებდა ისტორიის ფაკულტეტზე და ემსახურებოდა ისტორიისა და უნივერსიტეტის სხვა პუმანიტარული პროფილის ფაკულტეტებს. დემოგრაფიის კათედრა საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში პირველი იყო, რაც დადგებითი მოვლენაა საქართველოს დემოგრაფიის ისტორიაში. სამწუხაროდ, 2006 წელს ის გაუქმდა.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ძირითად საკითხს. რა არის ძირითადი არგუმენტი დემოგრაფიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ცნობისათვის. ეს ძირითადი არგუმენტი შემდეგია: სტატისტიკა დემოგრაფიული პროცესებისადმი მიმართებით პასუხს გვაძლევს კითხვაზე, თუ როგორია დემოგრაფიული პროცესების დონე, დინამიკა, სტრუქტურა, ე.ი. სტატისტიკით კეთდება დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი ანალიზი, მაგრამ ვერ პასუხობს კითხვაზე თუ რატომ იცვლება დემოგრაფიული ტენდენციები, რა ფაქტორები მოქმედებს დემოგრაფიული პროცესების დონესა და დინამიკაზე.

დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული, რელიგიური და სხვა ფაქტორები. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოგრაფიული განწყობა, ე.ი. ადამიანების დამოკიდებულება დემოგრაფიული პროცესების მიმართ. აღნიშნული საკითხები შეისწავლება სოციოლოგიური მეთოდით, ანკეტური გამოკითხვით. სოციოლოგიური მეთოდი ეყრდნობა შერჩევით დაკვირვებას, რომელიც შეისწავლება სტატისტიკის თეორიაში.

მაგრამ, სოციოლოგიური გამოკვლევები ტარდება ცალკეული მეცნიერების, კათედრების, ინსტიტუტების თუ არასამთავრებო ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალურად, უსისტემოდ, საჭიროების შემთხვევაში, საერთო სახელმწიფოებრივი მიდგომის გარეშე, რაც მას საიმედოობის და მომცველობის თვალსაზრისით, არსებითად განასხვავებს სახელმწიფო სტატისტიკის მიერ დემოგრაფიული პროცესების შესახებ ქვეყნის მასშტაბით მოპოვებული ინფორმაციისგან. საუკეთესო გამოსავალი ამ შემთხვევაში იქნებოდა ის, რომ სახელმწიფო სტატისტიკას თავისთავზე აეღო ქვეყნის მასშტაბით დემოგრაფიული პროცესების სოციოლოგიური შესწავლა, ერთიანი პროგრამით, მეთოდოლოგიით, გარკვეული პერიოდულობით. მაგალითად, 5 წელიწადში ერთხელ, რომელიც მოგვცემდა რეპრეზენტატულ, დროში შესადარ სტატისტიკურ-სოციოლოგიური გამოკვლევის საიმედო მასალას ქვეყნის მასშტაბით.

სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარება გარკვეულ ფინანსებთანაა დაკავშირებული, რაც ქვეყნის მასშტაბით მის პერიოდულად ჩატარებაზე უარის თქმის მიზეზი შეიძლება გახდეს. მაგრამ არსებობს საკმაოდ კარგი გამოსავალი – სახელმწიფო სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდეს ქვეყანაში არსებულ და მოქმედ შინამეურნეობების პლევის ქსელზე დაყრდნობით. თუ ასეთი რამ არსებობს სხვა ქვეყნებში, შეიძლება მათი გამოცდილების გაზიარება და თუ არ არსებობს, მაშინ კეთილი ნების პირობებში საქართველოს მსოფლიო სტატისტიკურ-დემოგრაფიულ პრაქტიკაში შესაძლებლობა ეძლევა პირველმა განახორციელოს ეს პროექტი. რა თქმაუნდა, ასეთი პროექტის განხორციელების პირობებში, კერძო პროექტების არსებობა აქტუალურობას არ კარგავს. მისი მი-

ზანი გახდება პრობლემის ცალკეული ასპექტების სიღრმისეული შესწავლა, რაც გაამდიდრებს სახელმწიფო სტატისტიკურ-სოციოლოგიური კალევით მიღებულ შედეგებს.

დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების და
დემოგრაფიული განწყობის სოციოლოგიური შესწავლა მხოლოდ
დაახლოებით 5 ათეულ წელს ითვლის. ეს, ასე ვთქვათ,
ინფორმაციისათვის. ისე კი გვიჩდა შევეხოთ სოციოლოგიური
კვლევით მიღებული მასალების დამუშავების საკითხს. საქმე
ისაა, რომ აღნიშნული მასალების დამუშავება ხდება სტატის-
ტიკური მეთოდებით, კერძოდ კი დაჯგუფებით, ე.ი. მოპოვებუ-
ლი მასალების გაერთიანებით ერთგვაროვან ჯგუფებად მათ-
თვის მახასიათებელი სტატისტიკური ნიშნების მიხედვით. გამ-
ოყენება როგორც მარტივი, ასევე კომბინაციური დაჯგუფებები.
ეს უკანასკნელი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კავშირი
დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ ფაქტორებსა და შედეგებს
შორის. ის, რომ დაჯგუფება სტატისტიკური კლავის უმნიშ-
ვნელოვანესი მეთოდია, იმედია, არავისში ეჭვს არ იწვევს.

სოციოლოგიური კალევის მასალების დაჯგუფებით ვიღებთ მოვლენების მახასიათებელ აბსოლუტურ სტატისტიკურ სიდიდეებს, რომლებიც საფუძვლად ედება შემდგომი სტატისტიკური მაჩვენებლების გამორანგარიშებას. ამ შემთხვევაში ყველაზე გავრცელებული სტატისტიკური მაჩვენებლებია: შეფარდებითი მაჩვენებლები, საშუალო სიდიდეები – ოჯახში ბავშვების საშუალო ფაქტობრივი, იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რიცხვი, შობადობის საშუალო პროტოგენეტიკური და ინტერგენეტიკური ინტერვალები, ქორწინებაში შესვლის საშუალო ასაკი და ა.შ.

თუ შეგაჯამებთ ნააზრებს, აღმოჩნდება შემდეგი: დემოგრა-
ფიაში ძირითადი ინფორმაციული უზრუნველყოფა ხდება

სტატისტიკის საშუალებით, დემოგრაფიის ძირითადი მეთოდი არის სტატისტიკის მეთოდი, სოციოლოგიური გამოკვლევის მასალები მუშავდება სტატისტიკის მეთოდით, ხოლო მასზე დაყრდნობით ასევე გამოითვლება მოვლენების მახასიათებელი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა. ამ ჩამონათვალს დავუმატოთ ისიც, რომ დემოგრაფიის ძირითადი ენა არის სტატისტიკური.

რისი თქმა შეიძლება ამის შემდეგ? როგორც ჩანს, სიმართლესთან ძალიან ახლოს ვიყავი 1986 წელს, როდესაც ვწერდი: იმდენად დიდია დემოგრაფიაში მოსახლეობის სტატისტიკის (ვიგულისხმოთ – დემოგრაფიული სტატისტიკის) როლი, რომ ზღვარი მათ შორის ზოგჯერ პირობით ხასიათს ატარებს¹.

ამასთან ,უნდა გავითვალისწინოთ, რომ დემოგრაფიას დემოგრაფიულ სტატისტიკასთან აქვს საზიარო კვლევის საგანი, არ გააჩნია კვლევის საკუთარი მეთოდი – ასეთს წარმოადგენს სტატისტიკური და სოციოლოგიური მეთოდების კომპლექსი. დამოუკიდებელ მეცნიერებას უნდა ჰქონდეს კვლევის საკუთარი საგანი და მეთოდი.

და მაინც რის საფუძველზეა აღიარებული დემოგრაფია დამოუკიდებელ მეცნიერებად? – იმ საფუძველზე, რომ წარმოადგენს რა სტატისტიკის ყველაზე უძველეს დარგს, დემოგრაფიულმა სტატისტიკამ თავისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე დააგროვა კვლევის იმდენი თეორიულ-მეთოდოლოგიური გამოცდილება და ემპირიული მასალა, რომ აღიარებულია დამოუკიდებელ მეცნიერებად – დემოგრაფიად. თუმცა ავტორის ღრმა რწმენით, დემოგრაფია არის სტატისტიკური მეცნიერების შემაღენელი ნაწილი.

¹ მ.ხმალაძე, მოსახლეობის სტატისტიკა დემოგრაფიის საფუძვლებით. ლექციების კურსი, ნაკვეთი I. თბ., თსუ გამომცემლობა, 1986, გვ. 38.

Regarding Demography and Demographic Statistics Once Again

M. Khmaladze

At present demography is an independent science, and the demographic statistics is considered to be the branch of both demography and statistics at the same time. The demographic statistics and statistics in general play such a considerable role in demography that we recognize demography as an independent science in the composition of statistical science.



გაია მთხოვრაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის თხუ
ასოცირებული პროფესორი

შევ 20 წელია, რაც გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ადამიანური განვითარების ანგარიშებს აქვეყნებს. 1990 წლიდან მოყოლებული, ამ ანგარიშებმა უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოების ცნობიერებაზე ადამიანის განვითარების შეფასების მიზნით თავმოყრილი მდიდარი ემპირიული მონაცემებითა და ინოვაციური მეთოდოლოგიური მიღვიმებით. ყოველი ახალი გამოცემა ახალ საკითხებს სვამს დღის წესრიგში და მსოფლიოს მასშტაბით მოუწოდებს პოლიტიკოსებსა და ანალიტიკოსებს მათი გადაწყვეტისაკენ.

ადამიანური განვითარების ინდექსი (აგი) ადამიანის განვითარების კრებსითი მაჩვენებელია. ის ასახავს ამა თუ იმ ქვენის მიღწევებს ადამიანის განვითარების სამი საბაზისო მაჩვენებლის მიხედვით: 1. სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჯანმრთელობა, 2. ცოდნის მიღებისა და 3. ლირსეული ცხოვრების დონის მისაწვდომობა. აგი ამ მაჩვენებლების მიხედვით აგებული ინდექსების საშუალო გეომეტრიულს წარმოადგენს.

ადამიანური განვითარების კონცეფცია

ადამიანური განვითარების კონცეფცია პაკისტანელ ეკონომიკისტ დოქტორ მაჰბუბ ულ-ჰაგ (1934-1998) გაუთვნის, რომელიც

თვლიდა, რომ ადამიანური განვითარება ზოგადად განვითარების პარადიგმაა, ის გაცილებით უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ეროვნული შემთხვევლის ზრდა ან კლება. აქ იგულისხმება ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც ადამიანები სრულად შეძლებენ თავიანთი პოტენციალის გამოვლენას და იცხოვრებენ თავიანთი ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ერის ჭეშმარიტ სიმდიდრეს სწორედ ადამიანები წარმოადგენენ და უნდა გაფართოვდეს მათი შესაძლებლობები, ადამიანებმა ღირსეული ცხოვრებით უნდა იცხოვონ. მაპბუბ ულ-ჰაკის აზრით, განვითარების ძირითადი არსი ადამიანისათვის არჩევანის გაფართოებაშია, ეს არჩევანი კი უსასრულოა და შეიძლება იცვლებოდეს დროთა განმავლობაში. ხშირად კი, ადამიანები მიღწევების დახასიათებისათვის უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შემოსავლების ზრდის ამსახველ ციფრებს, რაშიც ვერც სწრაფად და ვერც დაუყოვნებლივ ვერ აისახება ზემოთ აღნიშნული. მის კონცეფციაში განვითარების მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც ადამიანები გაატარებენ ხანგრძლივ, ჯანმრთელ და შემოქმედებით სიცოცხლეს¹.

ადამიანური განვითარების კონცეფცია წარმოიშვა, ნაწილობრივ, 1980-იან წლებში გავრცელებული განვითარების კონცეფციის საწინააღმდეგოდ, რომელიც ადამიანის არჩევანის გაფართოების განმაპირობებელ ფაქტორად ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას მიიჩნევდა. მაპბუბ ულ-ჰაკი შეიმუშავა ალტერნატიული განვითარების მოდელი, რომლის წინაპირობებია შემდეგი გარემოებები:

¹ Mahbub ul Haq. "Reflections on Human Development", Oxford University Press, 1995.

- სულ უფრო მეტი არგუმენტი ჩნდება იმის დასაბუთებისათვის, რომ საბაზო სისტემა ვერ უზრუნველყოფს კეთილდღეობას ყველასათვის და სიღარიბის მოსაობას;
- სულ უფრო აშკარა ხდება სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამების ადამიანური დანახარჯები;
- სოციალური სიავეები (დამნაშავეობა, იმუნოდეფიციტური დაავადებები, გარემოს დაბინძურება) ადრინდელივით ვრცელდება ძლიერი და სტაბილური ეკონომიკური განვითარების პირობებშიც;
- დემოკრატიზაციის ტალღამ XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში წარმოშვა ადამიანზე ორიენტირებული მოდელების საჭიროება.

1990 წლისათვის ადამიანური პოტენციალის კონცეფცია გამოიყენეს გლობალური საკითხების სისტემატური შესწავლისათვის და ანგარიშების გამოქვეყნება დაიწყო გაეროს განვითარების პროგრამის ეგიდით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნობელის პრემიის ლაურეატ, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ ამარტია სენის¹ წვლილი აღნიშნულ საქმეში, რომელიც გვი-ის თანაავტორად ითვლება.

თემები, რომლებიც ყველაზე აქტუალურია აღნიშნულ ანგარიშებში მიმდინარე ეტაპზე, მოიცავს: სოციალურ პროგრესს, ეკონომიკას, ეფექტუანობას, სამართლიანობას, თანასწორობასა და თავისუფლებას, მდგრად განვითარებას, ადამიანის უსაფრთხოებას.

მეთოდოლოგია

აგი-ს აგების პირველი ეტაპია სუბინდექსების შემუშავება. მაჩვენებლების ინდექსებად გადაქცევისათვის საჭიროა მათი

¹ Anand, S. and Sen A. (1994) *Human Development: Methodology and Measurement*. World Bank, New York.

მინიმალური და მაქსიმალური ზღვრების დაწესება, ანუ მიზნობრივი ორიენტირების დადგენა. რადგან აგრეგირებისათვის საშუალო გეომეტრიული გამოიყენება, მაქსიმალური მნიშვნელობები გავლენას ვერ მოახდენს ნებისმიერი ორი ქვეყნის ან პერიოდის შედარებაზე; მაქსიმალური მნიშვნელობები აკტომატურად ენიჭება ქვეყნებს შორის დაკვირვების პერიოდში(1980-2010წ).) არსებულ უმაღლეს ფაქტობრივ მაჩვენებლებს. შედარებებზე გავლენას ახდენს მხოლოდ მინიმალური მაჩვენებლები, ამ მიზნით გამოიყენება ის ინდიკატორები, რომლებიც მიჩნეულია საარსებო მინიმუმად, ანუ “ბუნებრივ” ნულად. ამრიგად, პროგრესი გაიზომება იმ მინიმალურ მნიშვნელობებთან მიმართებით, რაც აუცილებელია ადამიანის გადარჩენისათვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. 2010 წლის ანგარიშში დადგენილია შემდეგი მინიმალური ზღვრები:

- სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო სანგრძლივობა დაბადებისას – 20 წელი;
- განათლების დონე (განათლების ორივე ინდიკატორისთვის) – 0 წელი,
- მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) მოსახლეობის ერთ სულზე – 163 აშშ დოლარი.

ცხრილში მოცემულია მიზნობრივი ორიენტირები, რომლებიც გამოყენებულია აგი-ის 2010 წლის ანგარიშში:

აგი-ის 2010 წლის ანგარიშში გამოყენებული მიზნობრივი ორიენტირები

| მაჩვენებელი | მაქსიმალური მნიშვნელობა | მინიმალური მნიშვნელობა |
|--|--|---------------------------|
| სიცოცხლის მოსალოდნებლი ხანგრძლივობა დაბადებისას | 83.2 (იაპონია, 2010წ.) | 20.0 |
| სწავლის საშუალო ხანგრძლივობა | 13.2 (აშშ, 2000წ.) | 0 |
| სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა | 20.6 (ავსტრალია, 2002წ.) | 0 |
| განათლების კრებსითი ინდექსი | 0.951 (ახალი ზელანდია, 2010წ.) | 0 |
| შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (მყიდველობითურიანიანობის პარიტეტის მიხედვით) აშშ დოლ. | 108 211 (არაბეთის გაერთიანებული საქმიროები, 1980წ.) | 163 (ზომბაბვე, 2008წ.) |

სუბინდექსების მაქსიმალური და მინიმალური ზღვრების დაწესების შემდეგ სუბინდექსები გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ინდექსი} = \frac{\text{ფაქტობრივი} - \text{დონე}}{\text{max} - \text{min}} \quad (1)$$

2010 წელს აგი-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ამიტომ, აღნიშნულს “ახალი მეთოდოლოგიის” სახელით მოიხსენიებენ. საკითხის უფრო სიდრმისეული განხილვისათვის მოვიყვანთ აგი-ის გაანგარიშების ახალ და ძველ მეთოდოლოგიებს.

ახალი მეთოდოლოგიი:

1. სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსი

$$(LEI) = \frac{LE - 20}{63.2}$$

LE – სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობაა ახლ-შობილთაოვის, თუ მათი სიცოცხლის განმავლობაში შენარჩუნებული იქნება დაბადებისას არსებული ასაკობრივი მოკვდაობის ტენდენციები;

$$2. \text{ განათლების ინდექსი (EI)} = \frac{\sqrt{MYSI \cdot EYSI}}{0.951}$$

2.1 სწავლის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი

$$(MYSI) = \frac{MYS}{13.2}$$

MYS – 25 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობის მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიღებული განათლების ხანგრძლივობაა განათლების თითოეული საფეხურის თეორიული ხანგრძლივობის გათვალისწინებით(წლებში);

2.2 სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსი

$$(EYSI) = \frac{EYS}{20.6}$$

EYS – სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, თუ მისი სიცოცხლის მანძილზე შენარჩუნდება განათლების მიღების მიმდინარე ტენდენციები;

$$3. \text{ შემოსავლების ინდექსი (II)} = \frac{\ln(GNIpc) - \ln(163)}{\ln(108211) - \ln(163)}$$

GHpc – ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე მყიდველობითუნარიანობის პარიტეტებით, აშშ დოლარი.

საბოლოოდ კი, იგი შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$HDI = \sqrt[3]{LEI \cdot EI \cdot II}$$

ძველი მეთოდოლოგიით:

$$index = \frac{x - \min(x)}{\max(x) - \min(x)},$$

სადაც $\max(x)$ და $\min(x)$ შესაბამისი მაჩვენებლის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობებია.

ამ მოდელით აიგება სამივე მახასიათებელი, ხოლო ადამიანური განვითარების კრებსით საშუალო არითმეტიკულ ინდექსი თითოეული მათგანის წონა 1/3-ია:

- სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსი = $\frac{LE - 25}{85 - 25}$
- განათლების ინდექსი = $\frac{2}{3} \times ALI + \frac{1}{3} \times GEI$

- მოზრდილთა (15 წლის და ზევით) წერა-კითხვის ცოდნის ინდექსი (ALI) = $\frac{ALR - 0}{100 - 0},$

სადაც ALR – წერა-კითხვის მცოდნე 15 და ზევითა ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონაა.

- მოსახლეობის განათლებაში (სამივე საფეხური) ჩართულობის ინდექსი (GEI)= $\frac{CGER - 0}{100 - 0}$

CGER – სწავლების თითოეულ საფეხურში ჩართული მოსახლეობის ხედრითი წონაა განათლების შესაბამის საფეხურზე ოფიციალურად აღრიცხულთა მიმართ.

- მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მყიდველობითუნარიანობის პარიტეტებით, აშშ დოლ.

$$GDP = \frac{\log(GDPpc) - \log(100)}{\log(40000) - \log(100)}$$

რა განსხვავებაა ახალ და ძველ მეთოდოლოგიებს შორის და რით არის გამოწვეული ეს ცვლილებები?

ძირითადად ცვლილებები შეეხო განათლებისა და შემოსავლების ინდექსებს. კერძოდ, სწავლების საშუალო ხანგრძლივობა იზომება არა 15 წლიდან, არამედ – 25 და ზევით ასაკის პირთა მიმართ, ხოლო მეორე მაჩვენებელია სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, რომელიც გაიზომება სკოლაში შესვლის ოფიციალურად დადგენილი ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე, თუ ქვეყანაში შენარჩუნდება განათლების მიღების გავრცელებული ტენდენციები.

ახალი მეთოდოლოგიით შემოსავლების დონე იზომება არა მშპ-ის, არამედ მეშ-ის საშუალებით მოსახლეობის ერთ სულზე (მყიდველობითუნარიანობის პარიტეტებით, აშშ დოლ). აღნიშნული ცვლილებით ხაზი გაესვა მშპ-ისა და მეშ-ის როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ განსხვავებას, კერძოდ, შემოსავლების სალდოს გაზრდილ მნიშვნელობას შემოსავლების განაწილების პროცესში.

აგრეთვე, მნიშვნელოვანი ცვლილებაა აგი-ის კრებსით ინდექსში აგრეგირების მიზნით საშუალო გეომეტრიულის

გამოყენება საშუალო არითმეტიკულის ნაცვლად. 2010 წლამდე აგი წარმოადგენდა ნორმალიზებული¹ ინდექსების საშუალო არითმეტიკულს ფიქსირებული მინიმუმებისა და მაქსიმუმების გამოყენებით. ახალი მეთოდოლოგიით გაიანგარიშება ნორმალიზებული ინდექსების საშუალო გეომეტრიული, ოდონდ მინიმუმები და მაქსიმუმები ფიქსირებული არ არის. ისინი აღებულია დაკვირვების პერიოდის მიხედვით, რომელშიც ხდება ინდექსის გაანგარიშება. საშუალო გეომეტრიულის გამოყენება ინდექსის მნიშვნელობას შედარებით ამცირებს, ამიტომ ყველაზე დიდი ცვლილებები აგი-ის ინდექსში არათანაბრად განვითარებად ქვეყნებს შეეხო².

საშუალო გეომეტრიულის გამოყენების დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტორი, რომ ახალ აგი-ის ინდექსში მაჩვენებელთა სრული ურთიერთშენაცვლება აღარ ხდება, ანუ ერთი მაჩვენებლის დაბალი მნიშვნელობა წრფივად აღარ კომპენსირდება მეორე მაჩვენებლის მიღწევებით, რაც იმის საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, მაგალითად, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ერთპროცენტიანი შემცირება ისეთივე ზეგავლენას მოახდენს აგი-ს ცვლილებაზე, როგორც ერთი-პროცენტული მუხლით შემცირება განათლებაში ან შემოსავლებში.

რაც შეეხება ზღვრული მაჩვენებლების ცვლილებას აგი-ში, ქველ მეთოდოლოგიას საფუძვლად ედო მოსაზრება იმის შესახებ, რომ დადგენილზე მაღალი შემოსავალი ხელს არ უწყობს ადამიანის განვითარების შესაძლებლობებს. კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი იყო ის, რომ შემოსავლებს სიცოცხლის ხანგრძლივობასა და წერა-კითხვის ცოდნასთან

¹ ნორმალიზებაში იგულისხმება მაჩვენებლებისათვის ქულების მინიჭება 0-დან ერთამდე.

² ზოგადად საშუალო გეომეტრიული მხოლოდ მცირე ცვლილებებს იწვევს აგი-ს რეიტინგებში.

შედარებით არ გააჩნია “ბუნებრივი” ზღვრები (100%, მოკვდაობის ზღვრები და ა.შ.), ამიტომ შემოსავლები შეიძლება უსასრულოდ გაიზარდოს, რაც დროთა განმავლობაში დიდ ასიმეტრიას გამოიწვევდა აგი-ის ზედა ეშელონებში.

შემოსავლების ქველი, 40 000-იანი ზედა ზღვრის მოსახსნელად სხვადასხვა მიზეზი გამოდა. კერძოდ: ა) სულ უფრო მეტი ქვეყანა უახლოვდებოდა აღნიშნულ ზღვარს და ადარ ჩანდა მათ შორის განსხვავება. 2007 წელს უკვე 13 ქვეყნის მშპ აჭარბებდა ზღვრულ ნიშნულს. ამიტომ შესუსტდა ზღვრული ნიშნულის დისკრიმინაციული შესაძლებლობები, განსაკუთრებით მაღალგანვითარებული ქვეყნების შემთხვევაში; ბ) საშუალო გეომეტრიული უფრო აძლიერებს მეშ-ის გალოგ-არითმებული მნიშვნელობის შემცირების უფასეს საშუალო არითმეტიკულობას არსებული ფაქტობრივი მაქსიმალური მნიშვნელობების გამოყენება საშუალებას იძლევა მივიღოთ ანალოგიურ დიაპაზონში ცვალებადი ინდექსები ისე, რომ მათი წონები უფრო მსგავსი იყოს, ვიდრე წინა მეთოდოლოგიით.

ახალი მეთოდოლოგია იყენებს ნატურალურ ლოგარითმებს (ln) ათის ფუძით ლოგარითმის (lg) ნაცვლად, ეს ცვლილება რაიმე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ინდექსის გაანგარიშებაზე, თუმცა, ანგარიში გაეწია იმ ფაქტორს, რომ ეკონომიკური ლიტერატურის უმრავლესობაში გამოყენებულია შემოსავლების ნატურალური ლოგარითმები. ზღვრული მნიშვნელობები მოიხსნა და ისინი გაუტოლდა 1980-2010 წლების განმავლობაში დაკვირვების შედეგად მიღებულ მაქსიმუმებს.

აღსანიშნავია, რომ შეიცვალა თვით სუბინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგიაც: მაქსიმალური ზღვრები შეიცვალა დაკვირვების მთელი პერიოდისათვის(1980-2010) დამახასიათებელი მაქსიმალური მნიშვნელობებით და დადგინდა შემ-

დეგი მინიმალური ზღვრები: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას – 20 წელი, განათლების ორივე ცვლადისათვის – 0 წელი და მეშვეობის ერთ სულზე – 163 აშშ დოლარი მყიდველობითუნარიანობის პარიტეტებით.

ამასთან, დაბადებისას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ისტორიული ტრენდების საფუძველზე დადგინდა. მონაცემები სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ აღქვეულია მედისონისა¹ და რაილის² ნაშრომებიდან; აქ საფუძლად გამოყენებულია მოსაზრება, რომ თუ საზოგადოებაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას ჩვეულებრივ რეპროდუქციულ ასაკზე ნაკლები იქნება, ეს საზოგადოება გადაშენებისთვისაა განწირული. მსოფლიოში 20 წელზე დაბალი მაჩვენებლებიც დაფიქსირდა, მაგალითად, გენოციდის დროს რუანდაში, მაგრამ ეს ტენდენციები მყარი არ იყო და გამონაკლისი შემთხვევები არ იქნა გათვალისწინებული.

განათლების მინიმუმი დადგინდა იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებებმა შეიძლება იარსებონ ფორმალური განათლების გარეშეც.

არსებობისათვის მინიმალურად მიჩნეულია ზიმბაბვეს მაგალითი – ისტორიულად ყველაზე დაბალი შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე – 163 დოლარი, ანუ 45 ცენტი დღეში, რაც სამჯერ ნაკლებია მსოფლიო ბანკის მიერ დაწესებულ სიდარიბის ზღვარზე – 1,25 დოლარი.

რაც შეეხება მაქსიმუმებს, ის შეიძლება წლიდან წლამდე იცვლებოდეს, მაგრამ ის რანგებზე გავლენას ვერ ახდენს. ეს გამოწვეულია ახალი აგი-ის მუდტიპლიკატური ფორმით, რაც უზრუნველყოფს ქვეყნების შეფარდებითი პოზიციების

¹ Maddison, A. 2010. Historical Statistics of the World Economy: 1–2008 AD. Paris: Organisation for Economic Co-operation and Development.

² Riley, J. C. 2005. Poverty and Life Expectancy. Cambridge, UK: Cambridge University Press.

დაცვას მაქსიმუმების ცვლილების პირობებში, თუმცა, ნორმალიზებული პარამეტრების შერჩევა, თავის მხრივ, გავლენას ახდენს აგი-ზე.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: მაქსიმუმების ცვლილება წლიდან წლამდე მოახდენს თუ არა გავლენას მონიტორინგის პროცესზე? თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ აგი-ის გადათვლა ყოველწლიურად ხდება ახალი მაქსიმუმებისა და მყარი დროითი მწკრივების მიხედვით, მონიტორინგის პროცესზე ეს ვერანაირ გავლენას ვერ იქონიებს. ზოგადად, აგი გამოიყენება პროგრესის გასაზომად არა მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდში, რადგან, ბუნებრივია, საჭიროა გარკვეული დრო იმისათვის, რომ გატარებული პოლიტიკის შედეგები აისახოს ისეთ მაჩვენებლებში, როგორიცაა სწავლის საშუალო ხანგრძლივობა და სიცოცხლის მოხალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას. სწორედ ამიტომ, აგი-ის ტენდენციები 5-წლიანი ინტერვალებით არის წარმოდგენილი.

ახალი აგი თანაბარ წონებს ანიჭებს როგორც სამივე ინდიკატორს, ასევე განათლების ორივე სუბკომპონენტსაც, რაც ხაზს უსვამს სამივე კომპონენტის თანაბარ მნიშვნელობას ადამიანის განვითარებისთვის¹.

ადამიანური განვითარების ინდექსის კრიტიკა წლების განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა. ეს ეხება როგორც ინდექსის კომპონენტებს, ასევე გაანგარიშების მეთოდოლოგიას და გამოყენებულ რესურსებს. მაგალითად, ზოგიერთი ავტორი აკრიტიკებს ინდექსში ეკოლოგიური პრობლემების გაუთვალისწინებლობას და მისი გლობალური ხდევის პერსპექტივებიდან მოწყვეტას, ასევე შემოსავლების კატეგორიისადმი არასაკმარის ყურადღებას, რაც გამოიხატება ყოველწლიური შესადარისობის არასაკმარისობასა ან დიფერ-

¹ Noorbakhsh (1998). The Human Development Index: Some Technical Issues and Alternative Indices. *Journal of International Development* 10, 589-605; Decanq, K. and Lugo, M.A. 2009. Weights in Multidimensional Indices of Well-Being. OPHI working paper No. 18. (to appear in *Economic Reviews*).

ენცირებულ მიღვომაში ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფის შეფასებისადმი¹.

ეკონომისტი ბრაიან კაპლანი მიიჩნევს, რომ აგი-ის კომპონენტების შეფასების შემოსაზღვრა 0-სა და 1-ს შორის არამართებულია, რადგან შედეგად მდიდარ ქვეყნებს ადარებდევათ საშუალება რეიტინგი გაიუმჯობესონ, თუმცა მათ გააჩნიათ სამისო რესურსები. მისი აზრით, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა, რომელსაც პყვეტის ხანდაზმულთა დიდი რაოდენობა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მაღალი მაჩვენებელი, მიიღებს მხოლოდ 0,666 ქულას (რაც უფრო დაბალია, ვიდრე ტაჯიკეთსა და სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში), თუ მის მოსახლეობას არასოდეს მიუღია განათლება და წერა-კითხვის უცოდინარია; ამასთან, სკანდინავია ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე დარჩება, რადგან სწორედ მასთან ხდება დანარჩენი ქვეყნების შედარება².

ეკონომისტები პენდრიკ ვოლფი, პოვარდ ჩენი და მაქსიმილიან აუფჰამერი ყურადღებას ამახვილებენ მონაცემებში არსებულ შეცდომებზე სამი მიმართულებით: ა) მონაცემთა განახლება, ბ) ფორმულების განახლება და გ) ქვეყნისათვის განვითარების სტატუსის მინიჭების ზღვრები. მათი აზრით, ამ შეცდომების გათვალისწინებით, ქვეყნების 11, 21 და 34% არასწორად არის რანჟირებული განვითარების დონის მიხედვით, რამაც შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს პოლიტიკოსები, ინ-

¹ Wolff, Hendrik; Chong, Howard; Auffhammer, Maximilian (2011). “Classification, Detection and Consequences of Data Error: Evidence from the Human Development Index”. *Economic Journal* 121 (553): 843–870 , Sagara, Ambuj D.; Najam, Adil (1998). “The human development index: a critical review”. *Ecological Economics* 25 (3): 249–264., McGillivray, Mark (1991). “The human development index: yet another redundant composite development indicator?”. *World Development* 19 (10): 1461–1468., Srinivasan, T. N. (1994). “Human Development: A New Paradigm or Reinvention of the Wheel?”. *American Economic Review* 84 (2): 238–243.

² Caplan, Bryan (May 22, 2009). [“Against the Human Development Index”](#).

ვესტორები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და საზოგადოება მთლიანობაში.¹

არსებობს აზრი, იმის შესახებაც, რომ აგი-ის მნიშვნელობა გადაჭარბებულია, რომ ის ვერაფერს არსებითს ვერ მატებს შემადგენელ კომპონენტებს და წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების მხოლოდ რამდენიმე ასპექტისათვის წონების ნებისმიერად მინიჭების ლეგიტიმურ საშუალებას, ის ამნელებს დინამიკაში ქვეყნის პროგრესისა და რეგრესის დადგენას, რადგან დამოკიდებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებულ მშპ-ზე. მიუხედავად ამისა, ყოველ წელს გაეროს წევრი ქვეყნები რანჟირებულია პგი-ის ინდექსის მიხედვით და თუ რეიტინგი მაღალია, ეს მარტივად შეიძლება გამოყენებული იყოს ქვეყნის აღმატებულ რანგში აყვანისათვის, ხოლო თუ დაბალია – ქვეყნის ნაკლოვანებების ხაზგასასმელად. მისი აზრით, არამართებულია ზოგიერთი ავტორის მიერ აგი-ის, როგორც სოციალური კეთილდღეობის აბსოლუტური საზომის ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტის შესაფასებლად².

სულ სხვა კუთხით უდგება აგი-ის კონცეფციას რათან ლალ ბასუ. იგი თვლის, რომ მატერიალური დირებულებების გარდა, ინდექსში გათვალისწინებული უნდა იყოს სულიერი, მორალური ფასეულობებიც, რათა დაეხმაროს “ორფესა” არსებებს იქცნენ ნამდვილ ადამიანებად. მისი აზრით, მაღალი

¹ აგი-ის მიმდინარე ანგარიშში აისახა აღნიშნული ავტორების შენიშვნები, კ.ი. ის გათვალისწინებულ იქნა.

² McGillivray, M. (1991). “The Human Development Index: Yet Another Redundant Composite Development Indicator?”. *World Development* 18 (10): 1461–1468., Hopkins, M. (1991). “Human development revisited: A new UNDP report”. *World Development* 19 (10): 1461–1468., Izete Bagolin. Human Development Index (HDI) - A poor representation to Human Development Approach. <http://www-3.unipv.it/deontica/ca2004/papers/bagolin.pdf>

სუიციდების სტატისტიკა ზეგავლენას იქონიებდა ინდექსის შემცირებაზე¹

აგი-ის ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით რამდენიმე ავტორმა აღმოჩენატიული ინდექსებიც შემოგვთავაზა, თუმცა, მისი მოცვის ხარისხი არ იყო ფართო და გამოყენების ეფუძიტიც არასაკმარისი აღმოჩნდა. მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქ-სირდა, როდესაც დევიდ ჰასტინგსმა² 230 ეკონომიკამდე გაა-ფართოვა აგი-ის ქვლევა, მაშინ როდესაც 2009 წლის ანგარიშში მოხვდა 182 ქვეყანა, ხოლო 2010 წლის ანგარიშში – მხოლოდ 169.

კრიტიკის შემდეგი მიმართულებაა ძლიერი კორელაცია აგი-სა და მშპ-ის რანგებს შორის (0,95), რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მაკროეკონომისტების მხრიდან იწვევს³.

გაეროს ადამიანური განვითარების ოფისის ხელმძღვ-ანელის ფრანცისკო როდრიგესის აზრით⁴, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რას ველით ჩვენ აგი-საგან. ზრუნვა ადამი-ანის განვითარებაზე მხოლოდ რანჟირების მიზნით არ ხდება. რეიტინგი კარგი საშუალება შედარებისათვის, მაგრამ არა საუკეთესო, რათა გავაანალიზოთ განსხვავებები სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების დონეებში. მისი აზრით, რანგებს შორის კორელაცია ვერასოდეს გაგვცემს პასუხს თუ კითხვაზე: რა

¹ Ratan Lal Basu, “Why the Human Development Index Does not Measure up to Ancient Indian Standards”. *Culture Mandala, Volume 6 no. 2, February 2005*.

² Hastings, David A. (2009). “Filling Gaps in the Human Development Index”. United Nations Economic and Social Commission for Asia and the Pacific, Working Paper WP/09/02. , Hastings, David A. (2011). “A “Classic” Human Development Index with 232 Countries”.

³ Michael Boozer, Gustav Ranis, Frances Stewart, Tavneet Suri. “Paths to Success: The Relationship Between Human Development and Economic Growth”, Srinivasan, T N. “Human Development: A New Paradigm or Reinvention of the Wheel?”. Justin Wolfers. “Another Perspective on the Human Development Index”. <http://www.freakonomics.com/2009/06/01/another-perspective-on-the-human-development-index/>

⁴ What Does the Human Development Index Really Measure? By Francisco Rodriguez, A Guest Post. <http://www.freakonomics.com/2009/06/01/another-perspective-on-the-human-development-index/>

არის კეთილდღეობის მამოძრავებელი დროთა განმავლობაში და როგორ მოხდა ქვეყნებს შორის უთანაბრობის ეფოლუცია? ორივე კითხვაზე აგი და მშპ სხვადასხვა პასუხს იძლევა.


ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ცვლილებები ადამიანის განვითარებაში მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ზრდის ტემპებისაგან. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ შემოსავლების ზრდის ტემპებსა და აგი-ის შორის კორელაციამ 0,43 შეადგინა, ხოლო აგი-ის დანარჩენ კომპონენტებსა და მშპ-ის ზრდის ტემპებს შორის – 0,03, ანუ ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ჯანდაცვისა და განათლების ცვლილებასთან, მნიშვნელოვნად განსხვავებულია შემოსავლების ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციისაგან. თუ განვიხილავთ 2 რეგრესიას, რომელთაგან ერთი სწავლობს შემოსავლის ცვლილებებს მოსახლეობის ერთ სულზე, ხოლო მეორე – აგი-ის (შეგვიძლია ორივეს მიმართ გამოვიყენოთ დამოუკიდებელი ცვლადების ერთნაირი ნაკრები, მაგალითად, შემოსავლების საწყისი დონე, სწავლისა და სიცოცხლის ხანგრძლივობა, ეკონომიკის ღიაობის მიმდინარე მაჩვენებლები, ინფლაცია და კანონის უზენაესობა), აღმოჩნდება, რომ ინფლაცია ნეგატიურ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგი-ზე, მაგრამ არა შემოსავლების ზრდის ტემპზე; ვაჭრობის თავისუფლება და კანონის უზენაესობა პოზიტიურ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდაზე, მაგრამ არა აგი-ზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნებს

შორის რეგრესიის ანალიზის შედეგები განვითარების პოლიტიკის შემუშავებისათვის არსებითად დამოკიდებულია სადღეოსთვის ინტერესებზე: მშპ-ის ზრდა, თუ აგი-ის ზრდა?

ალტერნატივის სახით შეიძლება განვიხილოთ დისპროპორციები ცხოვრების დონეებში. მეცნიერებმა შეისწავლეს საკითხი იმის შესახებ, იზრდება თუ მცირდება უთანაბრობა ქვეყნებს შორის. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო იზრდება დისპერსია შემოსავლებში ერთ სულზე, მით უფრო მცირდება დისპერსია აგი-ის მიხედვით, ანუ ეს ორგვარი მიღებომა სრულიად განსხვავებულ შედეგებს იძლევა (ნახ.1).

მშპ-ისა და აგი-ის საშუალო კვადრატული
გადახრების დინამიკა 1980-2006 წწ.

ნახ.1



აგი-ის საშ. კვადრ. გადახრა

რაც შეეხება მოსახლეობის ერთ სულზე მეშის გამოყენებას ადამიანური განვითარების ნაცვლად, აქ მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანაც საკმარისი იქნება: ბაჟამის კუნძულების აგი-ის რეიტინგი (0,784), რომლის მეში კუვეიტის ანალოგიური მაჩვენებლის 50%-ს შეადგენს, შეიძლება მასზე მაღალი იყოს იმის გამო, რომ კუვეიტში (0,771) ზრდასრული მოსახლეობის სწავლის საშუალო ხანგრძლივობა შედარებით დაბალია. ერთ სულზე გაანგარიშებული მეში მხოლოდ საშუალო ეროვნულ შემოსავალს ასახავს და არ გვაძლევს იმის დანახვის საშუალებას, თუ რა მიმართულებით იხარჯება.

20 წლის განმავლობაში აგი-ის კვლევები მიძღვნილი იყო უმთავრესი საკითხისადმი, რომ საზოგადოებას გაეგო, თუ რა განსხვავებული მიდგომებია საჭირო იმ ფასეულობათა მიღწევისათვის, რომლისკენაც ისინი ისწრაფვიან. აგი-ის სხვადასხვა ჭრილით განხილვამ, როგორიცაა გენდერული უთანასწორობა, კულტურული თავისუფლება, კლიმატური ცვლილებები, დაგვანახა, რომ ადამიანთა არჩევანის გაფართოების საუკეთესო ცდები პირდაპირპროპორციულად არ იწვევს შემოსავლების გადიდებას ერთ სულზე.

2010 წლის ივლისში, ოქსფორდის სილარიბისა და ადამიანური განვითარების ინიციატივის წარმომადგენლების მიერ¹ გამოქვეყნდა სილარიბის მრავალგანზომილებიანი ინდექსი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებებს. ეს ინდექსი სცილდება სილარიბის ტრადიციულად შემოსავლებზე ორიენტირებული განსაზღვრის ფარგლებს, რათა ასახოს ის მრავალრიცხოვანი დანაკლისი, რასაც დარიბი ადამიანი განიცდის ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და ცხოვრების დონის კუთხით. ინდექსი გაანგარიშებულია 104 განვითარება-

¹ Sabina Alkire and Maria Emma Santos . Acute Multidimensional Poverty: A New Index for Developing Countries. Oxford Poverty & Human Development Initiative Oxford Department of International Development Working Paper: 38 July 2010. <http://www.ophi.org.uk/acute-multidimensional-poverty-a-new-index-for-developing-countries/>

დი ქვეყნისათვის (შინამეურნეობებზე დაკვირვების შედეგად), რაც მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 78%-ია. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ 1,7 მლრდ ადამიანი მსოფლიოში უკიდურეს სიღარიბეში (1,25-2 დოლარი დღეში) ცხოვრობს. აღნიშნული ნაშრომით ავტორები აფიქსირებენ ჩავარდნებს იმ საქმიანობებში, რომლებიც ამარტია სენის რეკომენდაციით მიმართული უნდა იყოს სიღარიბის წინააღმდეგ, მისი აღმოფხვრისათვის.


ჩვენი აზრით, მეცნიერთა კამათი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მომავალშიც გაგრძელდება, რადგან თემა ძალიან მრავალმხრივია და აქტუალური, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხები შეიძლება საერთოდ არ გამხდარიყო საკამათო, თუ არა ადამიანური განვითარების კონცეფციები.

საქართველოს რეიტინგი აგი-ის მიხედვით

საქართველოს აგი დღეისათვის შეადგენს 0,698-ს (ნახ.2), რაც ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონულ ინდექსებს ჩამორჩება, თუმცა, საქართველო აგი-ის რეიტინგებით მაღალ-განვითარებული ქვეყნების ჯგუფშია.

საქართველოს აგი-ისა და შემაღებელი კომპონენტების ინდექსები 2010წ.

ნახ.2



აგი-ის კომპონენტებში ყველაზე მაღალი ინდექსი ჯანმრთელობას აქვს (0,824), შემდეგ განათლებას (0,787) და შემოსავლებს (0,524). შემოსავლების მიხედვით საქართველო მეზობელ ქვეყნებსაც ჩამორჩება. ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის 2005-2010 წლებში შემდგები სურათი გვაქვს აგი-ის კომპონენტების მიხედვით:


1. სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა: აზერბაიჯანი (13.0), საქართველო (12.6), სომხეთი (11.9);
2. სწავლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი): საქართველო (12.1), სომხეთი (11.9), აზერბაიჯანი (10.2);
3. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას (წელი): სომხეთი (74.2), საქართველო (72), აზერბაიჯანი (70.8);
4. მეში-ი მოსახლეობის ერთ სულზეაზერბაიჯანი (8746.60), სომხეთი (5494.60), საქართველო (4901.90).

როგორც ვხედავთ, ჩვენ ვლიდერობთ მხოლოდ სწავლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლით, შესაბამისად რეიტინგებით გვისწრებს აზერბაიჯანი – 67, საქართველოს რეიტინგი 74, ხოლო სომხეთისა – 76-ია. ამ წლების მანძილზე აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებული იყო სტაბილურად.

რაც შეეხება საქართველოს პოზიციებს დანარჩენ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში იზრდება როგორც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ასევე მეში-ი მოსახლეობის ერთ სულზე და განათლების მაჩვენებლებიც სტაბილურია, ჩვენი მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. როგორც გრაფიკიდან (3) ჩანს, ბალტიის ქვეყნებთან ერთად გვისწრებს ბელარუსი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი.

**ყოფილი სსრპის რესპუბლიკების აგი-ის
რეიტინგები, 2010წ.**

ნახ.3



ადსანიშნავია, რომ ქვეყნების ამ ჯგუფიდან 2005-2010წწ. რეიტინგი გაიუმჯობესეს: აზერბაიჯანმა 16, რუსეთმა 3, ბელარუსმა 1 პუნქტით, რეიტინგი გაუუარესდათ შემდეგ ქვეყნებს: უზბეკეთი 1, ყაზახეთი 1, ლიტვა 2, ლატვია 2, საქართველო 3, ესტონეთი 3, უკრაინა 3 პუნქტით, რეიტინგი უცვლელი დარჩა ქვეყნებში: სომხეთი, მოლდოვა, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი.

თუ როგორ უნდა ავამაღლოთ საქართველოს რეიტინგები – ეს სხვა თემაა. ჩვენ შევეცადეთ სხვადასხვა ჭრილით შეგვეხდა საქართველოს პოზიციისათვის დღევანდელი მდგრადებით. მიმდინარე ცვლილებების დადებითი და უარყოფი-

თი მხარეები, საგარაუდოდ, მომდევნო ხუთწლიან პერიოდში პპოვებს ასახვას. უფრო გრძელვადიან პერიოდში კი ძალიან მაღალი განვითარების მქონე ქვეყნების ჯგუფისაკენ როული გზა გველის.


თავის ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე მაპბუბ ულ-ჰამა, რომელსაც ეპონომიკის ერებიკოსს უწოდებდენენ, თავისი გამოსვლა დაასრულა საყვარელი ციტატით ბერნარდ შოუს შემოქმედებიდან: „ოქვენ ხედავთ იმას, რაც არის და კითხულობთ, რატომ? მე კი ვოცნებობ იმაზე, რაც არასდროს მომხდარა და ვამბობ, – რატომაც არა?”

Human Development Index: History and Reality

M. Mindorashvili

The Human Development Index (HDI) is a summary composite index that measures a country's average achievements in three basic aspects of human development: health, knowledge, and income. It has a form of geometric mean.

In the article the author discusses historical context of the pre-requisites for introducing the index, compares the old and new methodologies and proves the feasibility of changes, which took place in 2010, discusses critical considerations about the index. The paper pays special attention to the ratings of Georgia in comparison with the former Soviet Republics and the Transcaucasian countries.



გირგი ლალანიშვილი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დეკანის მოადგილე

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს პოტენციალის ზრდის საკითხების ურთიერთებით კავშირი ავტორის მიერ განხილული იქნა სტატიაში: „საერთო მორისონ ვაჭრობის მენეჯმენტი და საქართველოს საქართველოს პოტენციალის ამაღლების კონკრეტული მიმართულებები”¹.

ამჟამად გვინდა გავაანალიზოთ და გამოვავთოთ ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება საქართველოს პოტენციალის ზრდის უზრუნველსაყოფად. ზოგადად საქართველოს პოტენციალის ზრდა წარმოადგენს ორი შესაძლო თეორიული მოდელიდან არჩევანს, კერძოდ უნდა გაირკვეს რა უფრო პრიორიტეტულია - საბაზრო დივერსიფიკაცია და შესაბამისად საქართველოს პროდუქციის კონკენტრაცია, თუ პირიქით, საბაზრო კონკენტრაცია საქართველოს პროდუქტების დივერსიფიკაციის გზით.

¹ ქურ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2011, №3

გმორგვი ღაღანიძე

რასაკვირველია, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული დონის დივერსიფიკაცია როგორც პროდუქტების, ასევე ბაზრების თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში არსებობს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცალსახა პასუხი ერთი რომელიმე მოდელის სასარგებლოდ არ არსებობს, ვინაიდან რეალურად სახე ეზეა ორივე მოდელის წარმატებული მაგალითები. ამდენად უპრიანია გავაძნალიზოთ საქართველოს საბაზისო ეკონომიკური (განსაკუთრებით ექსპორტთან მიმართებით) მონაცემები და გავაკეთოთ შედარებები იმ ქვეყნებთან, რომლებმაც ანალოგიური პრობლემები გადაწყვიტეს.

ანალიზს დავიწყებთ ისეთი საბაზისო მაჩვენებლებით, როგორიცაა ექსპორტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე და მისი მიმართება მთლიან შიგა პროდუქტთან (მშპ), (იხ.ცხრილი 1)

ექსპორტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე და მისი მიმართება მშპ-სთან (2010 წ.)¹

ცხრილი 1

| ქვეყნები | ექსპორტი ერთ სულზე (აშშ დოლარი) | შპ ერთ სულზე დოლარი | ექსპორტი ერთ სულზე შპ- თან მშპ-ით |
|------------|--|---------------------------|---|
| ირლანდია | 26,146 | 38550 | 67,82 |
| ხორვატია | 2370 | 17684 | 13,4 |
| ბულგარეთი | 2097 | 12851 | 16,31 |
| მაკედონია | 1311 | 9728 | 13,48 |
| საქართველო | 360 | 5114 | 7,04 |
| სომხეთი | 210 | 5110 | 4,1 |

¹ ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები ეფუძნება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის მონაცემებს.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის რეალიზაციის დონე თვალნათლივ მიანიშნებს ამ მიმართულებით არსებულ ურთულებს პრობლემებზე. აქვე ცხადია, თუ რა მნიშვნელოვანი გზა აქვს გასავლელი საქართველოს, თუნდაც იმისათვის, რომ მიუახლოვდეს ეკონომიკური მაჩვენებლის საშუალო დონის 50%-ს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ირლანდიის მაგალითი ნათელი დასტურია, თუ როგორ გადაწყდა ეკონომიკური ზრდის პრობლემები საექსპორტო პოტენციალის განუხრელი ზრდის ხარჯზე. პრატიკულად ირლანდიამ გამოიყენა პირველი და მეორე ტალღის აზიური ვეფხვების მიერ აპრობირებული ეკონომიკური ზრდის მოდელი, სადაც აქცენტი გადატანილი იქნა ექსპორტის განუხრელ ზრდაზე. რამდენად რეალისტურია საქართველოსათვის ეს გზა, რა არის აუცილებელი და საკმარისი პირობები ამ ამოცანის რეალიზაციისათვის? შემდგომ ეტაპზე ასევე უნდა გავაანალიზოთ სხვა საბაზისო მაჩვენებლებიც, კერძოდ ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე და საექსპორტო ბაზების ზრდის მაჩვენებლები. თუ საფუძვლად ავიღებთ 2005-2009 წლების მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ საქართველო ძირითადად ორიენტირებულია დაბალი ზრდის ტემპის მქონე საექსპორტო ბაზებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის ზრდის ტემპი ამა თუ იმ ბაზრის საექსპორტო მიმზიდველობის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელია.

შემდეგი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ექსპორტის ზომა დივერსიფიცირების საპირისპიროდ, ანუ საექსპორტო პროდუქტების რაოდენობა და სამი საექსპორტო პროდუქტის წილი მთლიან ექსპორტში. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს აქვს საექსპორტო პროდუქტების მცირე რაოდენობა (1238

გმორები დაღანიშვილი

პროდუქტი 2010 წელს) და მაღალი დიგერსიფიცირება. აქეე უნდა განიმარტოს, რომ საექსპორტო პორტფელი განისაზღვრება პარმონიზებული სისტემის ორნიშნა დონით, ხოლო საექსპორტო პროდუქტების რაოდენობა აღებულია ექვსნიშნა დონეზე. ამ საკითხზე უფრო ნათელი წარმოდგენისათვის გავააჩალი-ზოთ იგივე ქვეყნების ჯგუფზე აღნიშნული მონაცემები დი-ნამიკაში, სადაც სამი საექსპორტო ჯგუფის სტანდარტული მაჩვენებელი შეცვლილია ხუთი საექსპორტო ჯგუფით.

ხუთი წამყვანი საექსპორტო ჯგუფის წილი მთლიან ექსპორტში¹

ცხრილი 2

| ხუთი წამყვანი სასაქონლო ჯგუფი % (ორ ნიშნა დონეზე) | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|--|--------|--------|-------|--------|--------|
| საქართველო | 60,85% | 51,25% | 50,7% | 58,98% | 42,92% |
| ბულგარეთი | 41.93 | 45.44 | 23.89 | 24.18 | 24.32 |
| ხორვატია | 22.6 | 21.73 | 21.28 | 20.97 | 18.45 |
| ირლანდია | 72.55 | 70.46 | 70.27 | 69.35 | 70.63 |
| მაკედონია | 56.72 | 56.31 | 62.72 | 65.04 | 33.42 |

ამასთან, ცხრილში მოტანილია მხოლოდ ის სასაქონლო ჯგუფები, სადაც კონკრეტულ ქვეყნებს აქვთ წმინდა ექსპორტის დადებითი სალდო, ამდენად გამორიცხულია რეექსპორტი.

ცხრილის ანალიზი ნათლად მიანიშნებს, რომ საქართველო პრაქტიკულად იგივე გზას გადის, რომელიც უკვე გა-

¹ საერთაშორისო საგაჭრო ცენტრის (ITC) მონაცემების საფუძველზე.

იარეს ბულგარეთმა, ხორვატიამ და მაკედონიამ. კერძოდ, 5 წამყვანი სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიან ექსპორტში მცირდება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აუცილებელი მომენტია, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს საექსპორტო პროდუქტების სიმცირეს. ამდენად პროდუქტების დივერსიფიცირება კვლავაც გაგრძელდება, თუმცა, ეს ძირითადად განხორციელდება ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნით, არსებითად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე. საკითხი თუ რა გზა ავირჩიოთ - საბაზრო დივერსიფიკაცია თუ სასაქონლო დივერსიფიკაცია, დღის წესრიგში დადგება მხოლოდ ამის შემდეგ. უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებული ტემპის (საექსპორტო პროდუქტების რაოდენობის ზრდა) შენარჩუნების პირობებში საექსპორტო სასაქონლო პროდუქტების რაოდენობა მიაღწევს 2000-ს დასახელებას 2015 წლისათვის. როგორი უნდა იყოს შემდგომი არჩევანი - ავირჩიოთ და მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ირლანდიურ მოდელს, რომელიც გამოირჩევა ძალზე მაღალი სასაქონლო კონკენტრაციით, თუ გეზი უნდა ავიღოთ საბაზრო დივერსიფიკაციის შემდგომ გადრმავებაზე?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაიცეს საექსპორტო დივერსიფიკაციის ანალიზით, ანუ საექსპორტო პროდუქტებისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მონაცემების საფუძველზე. ამ საკითხის ანალიზისათვის გამოიყენება სამი ძირითადი საექსპორტო ბაზრის წილისა და სამი საექსპორტო პროდუქტის წილის მონაცემების ანალიზი. ამ მაჩვენებლებით საქართველო ავლენს საბაზრო და სასაქონლო დივერსიფიკაციის მაღალ პოზიციებს. სამი ბაზრის წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 36,1%-ს, ხოლო სამი პროდუქტის წილი - 33,8%-ს. (2009 წლის მონაცემები, საერთაშორისო ვაჭრობის ცენ-

რო). აღსანიშვავია რომ ირლანდიის მონაცემებიც იგივე პოზიციის მაჩვენებელია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამჟამად მაჩვენებელთა ერთგვაროვნება არ იძლევა სარწმუნო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, ვინაიდან ძალიან მაღალია განსხვავება ექსპორტის მთლიან მოცულობასა და მოსახლეობის ერთ სულება ექსპორტში. შესაბამისად, მიზანშეწონილია განხილული იქნეს განვითარების რამდენიმე მოდელი და მოხდეს მათი ექსპორტული შეფასება.

სცენარი 1 – საქართველოს მთავრობა აგრძელებს ეკონომიკური ლიბერალიზაციის კურსს და ამდენად უარს ამბობს ექსპორტის ხელშეწყობის აპრობირებული მექანიზმების გამოყენებაზე. ამავე სცენარით განიხილება საქართველოს სახელმწიფოს მტკიცე პოლიტიკური ნება განავითაროს და მიაღწიოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს ევროკავშირსა და აშშ-ს თან.

ამ სცენარის განხორციელება საკმაოდ მაღალი ალბა-
თობით ხასიათდება, მისი შედეგებიდან გამომდინარე, ევროკავ-
შირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება არ მოახდენს
მყისიერად საქართველოდან ექსპორტის სწრაფ ზრდას. ორი
მიზეზის გამო: პირველი, საქართველოს რეალურად ძალიან
მცირე რაოდენობის საექსპორტო პროდუქტები აქვს რომ
შესთავაზოს ევროკავშირის ბაზაარს; მეორე, ქართული კო-
მპანიების შიგადარგობრივი კოოპერაციული კავშირები
ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საწარმოებთან ძალიან
დაბალია.

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივად ისმის კითხვა: რას მოგვიტანს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გროვავშირთან? ყველაზე ხელშესახები იქნება

პოტენციურ ინგესტორთა დაინტერესებია, რომლებიც ეძებენ გზას ევროკავშირის ბაზარზე პროდუქცია შეიტანონ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით. ასეთი ინგესტორები შესაძლებელია მოძებნოს მთელ მსოფლიოში ევროკავშირის ჩათვლით. თუმცა, ასევე უნდა გაანალიზდეს საქართველოში გარევეული პროდუქციის დაბალი დანახარჯებით წარმოების შესაძლებლობები. შამწუხაროდ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქართველოს პოტენციალი ძალზე მცირება. პრობლემა ეხება კვალიფიცირებული მუშახელის ეფექტიანობის საკითხს. თუ ამ მაჩვენებელს ავიდებთ გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშიდან, საქართველოს როგორც მიმდინარე პოზიცია, ასევე ცვლილება ბოლო პერიოდის განმავლობაში საკმაოდ არასახარისელობა. კერძოდ, 2010-11 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში საქართველოს უჭირავს 93-ე ადგილი მსოფლიოში, მაჩვენებლით - 3,86. (სულ ანგარიში მოიცავს 139 ქვეყანას, რომელთა შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს შვეიცარიას - 5,63, ხოლო ყველაზე დაბალი ჩადეს - 2,73). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის კეთებისათვის ყველაზე პრობლემატური ფაქტორებია: მიწვდომა ფინანსურ რესურსებზე- 14,4; პოლიტიკური არასტაბილურობა – 14,4; არაადეკვატურად გაწვრთნილი სამუშაო ძალა – 13,3; ადგილობრივი სამუშაო ძალის დაბალი სამუშაო ეთიკა – 10,9.

ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს რამდენად შესაძლებელია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების საფუძველზე საქართველომ მიიღოს ეფექტი, კერძოდ, წარმოების გაფართოებით ან უფრო ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციით. პირველი საკითხის შეფასებისათვის გამოიყენება ფინგერ-კრეინინის ინდექსი, ხოლო მეორისათვის - გლუბელ-ლოიდის ინდექსი.

ფინგერ-კრეინინის ინდექსი აფასებს ორი სავაჭრო პარტნიორის წარმოების სტრუქტურების თანმთხვევას, ინდექსი ტოლია 1-ის (ან 100-ის, თუ გამოვხატავთ პროცენტებში), როდესაც სავაჭრო პარტნიორების ვაჭრობის სტრუქტურა სრულიად იდენტურია, ხოლო ტოლია 0-ის, როდესაც ის მთლიანად განსხვავებულია. აღნიშნული ინდექსის გაანგარიშება მოტანილია ნაშრომში: "Economic Feasibility, General Economic Impact and Implications of FTA between the EU and Georgia"¹. ამ გაანგარიშების მიხედვით, ფინგერ-კრეინინის ინდექსი ევროკავშირი საქართველოსთვის უტოლდება 16,13%-ს ჰარმონიზებული სისტემის 6-ნიშნა დონეზე და 23,29%-ს 4-ნიშნა დონეზე. აქედან შესაძლებელია მარტივად დავასკვნათ, რომ აღნიშნული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება არ გამოიწვევს წარმოების მოცულობის მკვეთრ ზრდას და არ გაზრდის მნიშვნელოვნად საქართველოდან ექსპორტის მოცულობას ევროკავშირის ბაზარზე.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია შიგადარგობრივი ვაჭრობის ხასიათი, რომელიც განსაზღვრავს უფრო დრმა ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას. შიგადარგობრივი ვაჭრობა შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს სამი ფორმით: პირველი, ერთი და იმავე ხარისხისა და ფასის პროდუქტებით ვაჭრობა; მეორე, ერთი და იმავე მაგრამ განსხვავებული ხარისხისა და ფასის პროდუქტებით ვაჭრობა და მესამე - პროდუქტებით ვაჭრობა, რომლებიც წარმოადგენს ვერტიკალურად ინტეგრირებული მიწოდების ჯაჭვს, ანუ ხდება კოოპერირება საბოლოო მზა პროდუქტის შექმნის მიზნით. შიგადარგობრივი ვაჭრობის დონე იზომება გლუბელ-ლოიდის ინდექსით - 0, როცა ორ პარტნიორს შორის არ არსებობს შიგადარგობრივი

¹ Case Network Reports, N79/2008

გაჭრობა და - 1 (ან 100-ით თუ პროცენტით გამოვხატავთ), როდესაც მთლიანად გაჭრობა შიგადარგობრივი ხასიათისაა.

ევროკავშირისა და საქართველოსათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 8,2%-ს პარმონიზებული სისტემის 6-ნიშნა დონეზე და 9,9%-ს 4-ნიშნა დონეზე. ამდენად, ასეთი ძალზე დაბალი მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თავის-უფალი ვაჭრობის შეთანხმება საწყის ეტაპზე არ გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკის უფრო ღრმა ინტეგრირებას ევროკავშირის ეკონომიკასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე უნდა ველოდოთ საქართველო პროდუქტების რაოდენობის ზრდას, თუმცა, ინვესტიციები, რაც განხორციელდება ამ პროდუქციის შესაქმნელად, ნაკლებად მდგრადი იქნება. პოტენციური ინვესტორები აქცენტს გადაიტანენ იმ რეგიონებზე, სადაც შესაძლებელია პროდუქციის ძალზე დაბალი დანახარჯებით წარმოება. გარკვეული პოტენციალი გააჩნია საქართველოში ამწყობი საწარმოების განვითარებას იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მაკომპლექტებელი დეტალების საქართველოში მოძრაობა ემთხვევა საბოლოო გასაღების ბაზრისაკენ მოძრაობის მიმართულებას. (მაგ. მაკომპლექტებელი მასალების შემოტანა საქართველოში აზიიდან, რათა საბოლოო პროდუქტი გავიდეს ევროკავშირის ბაზრზე, ანუ მოძრაობის მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, რათა გამოირიცხოს შემხვედრი მიმართულებით გადაზიდვა და შესაბამისად ოპტიმიზებულ იქნეს სატრანსპორტო დანახარჯები).

სცენარი 2- საქართველოს მთავრობა კურსს აიღებს ექსპორტის წახალისებაზე. ამ სცენარის ალბათობა ზოგადად დაბალია, თუმცა არსებობს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - 2012 და 2013 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნე-

ბი. თუ საქართველოს უახლოეს წარსულს გადავხედავთ, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა 2008 წელს ექსპორტის ხელშეწყობის ახალი პროგრამის შექმნა. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მოიცავდა ისეთ სადაცო ელემენტს, როგორიცაა ექსპორტიორთა დაბალპროცენტიანი კრედიტებით უზრუნველყოფა. ასეთი ნაბიჯი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოსათვის საკმაოდ სარისკოა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ეს ნაბიჯი გადაიდგა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწყის ტემპზევე პროგრამა ტროვებდა გარკვეული მიზნებისათვის ორგანიზებული სპეციალური კამპანიის შთაბეჭდილებას, რაც საბოლოო ანგარიშით, კიდევ დადასტურდა. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავსი მოკლევადიანი კამპანია თრგანიზებული იქნება 2012 წლის დასაწყისში, თუმცა მას არ ექნება მდგრადი ხასიათი.

სცენარი 3 – პირველი ორი სცენარის ჰიბრიდი. ამ ეტაპზე მართლაც ძალზე როგორია განვსაზღვროთ თუ რა საექსპორტო პროდუქტებზე უნდა აიღოს გეზი საქართველომ. ერთი მხრივ, აბსოლუტურად ცხადია, რომ უნდა გაგრძელდეს ეკონომიკის ლიბერალიზაცია, საქართველომ უნდა მიაღწიოს რეალურად მოქმედ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს ევროკავშირთან, აშშ-სთან, სავარაუდოდ სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრ სახელმწიფოებთან. მეორე მხრივ, იმისათვის რომ სახელმწიფომ მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილება გარკვეული დარგების პრიორიტეტულ განვითარებაზე უნდა არსებობდეს ამ გადაწყვეტილების დამადასტურებელი საკმაოდ მყარი არგუმენტები. ასეთი დასაბუთება შეუძლებელია ვერბალური ლოგიკის დონეზე, აუცილებელია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდის გამოყ-

ენება. ყველაზე ფართოდ, გამოყენებულმა მოდელმა სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში უნდა მოგვცეს საშუალება გამოყოფილი ყველაზე უფრო პერსევერაციული სასაქონლო ჯგუფები და ბაზრები, ანუ პასუხი გავცეთ სტატიის სათაურშივე დასმულ კითხვას - საბაზრო დივერსიფიკაცია თუ სასაქონლო დივერსიფიკაცია, რა მოცულობით, რა დაშვებების პირობებში და რა ვაღებში.

ამ ტიპის მოდელის დამუშავება შესაძლებელია რადგენიმე პრინციპული დაშვებისას: განსაზღვრულია პრიორიტეტული ბაზრები, ბაზრების რანჟირება ჩატარებულია არა მხოლოდ ზომის და ზრდის ტემპის, არამედ ასევე საქართველოს შესაძლებლობების ამ ბაზრების მოთხოვნებთან თავსებადობის გათვალისწინებით. კერძოდ, მაღალი ტევადობის ბაზრებს ახასიათებს მისაწოდებელი მინიმალური სასაქონლო პარტიის მიმართ ძალზე მაღალი რაოდენობრივი მოთხოვნა, რაც საქართველოს რეალობაში წარმოების მასშტაბის გათვალისწინებით, ხშირად ძალზე რთული გადასაწყვეტი ამოცანაა. ამდენად, ბაზრების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, გარკვეული აზრით, საბაზრო ნიშების შეფასებასაც უნდა მოიცავდეს. ასევე უნდა შეფასდეს რესურსული შესაძლებლობები პროდუქციის წარმოებისათვის - განიხილება ყველა ტიპის რესურსი, ხოლო ქართული რეალობის გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის ფაქტორის შეფასება. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ როგორც შემზღვდავი ფაქტორი შეიძლება განვიხილოთ ისეთი პროდუქციის წარმოების უპერსპექტივობა, სადაც მაღალია არაკვალიფიცირებული მუშა-ხელის მიერ წარმოებული ოპერაციების ხვედრითი წონა. ამ შემთხვევაში, ზემოხსენებული ფაქტორებისა და სამუშაო ძალის ერთეულის დანახარჯების გათვალისწინებით,

აპრიორულად ცხადია ამ პროდუქციის საქართველოში წარმოების არალოგიკურობა. რასაკვირველია, მოდელის პასუხთა უტყუარობა არ წარმოადგენს წარმატების 100%-იან გარანტიას, მაგრამ ის საშუალებას მოგვცემს უფრო არგუმენტირებულად ვიმსჯელოთ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა ექსპორტის ზრდა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა.

The Alternative Ways to Increase the Export Potential of Georgia: Diversification or Concentration

G Gaganidze

In the presented scientific article the author analyzed the export figures of Georgia for the strategic decision making to increase the export potential. Georgian export trends are compared with other countries. The author analyzed the three possible scenarios of development and major results of these developments.



შცხოური პირდაპირი
ინვესტიციების გეგავლენა
ეკონომიკურ გრძაგე

სოფია ჯავახევიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თხუ დოქტორანტი

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკური ზრდის მოდელები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

1.პოსტკეინზიანური ზრდის მოდელი, რომელშიც ძირი-თადია დანაზოგების და ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე;

2.ნეოკლასიკური ზრდის მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ტექნოლოგიურ პროგრესზე;

3.ენდოგენური ზრდის მოდელი, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადამიან-კაპიტალის აუმჯულირებას.

ტრადიციულ ნეოკლასიკურ ლიტერატურაში წარმოების ზრდა გრძელვადიან პერიოდში არ არის დამოკიდებული სახელმწიფო პოლიტიკის პარამეტრებზე და იცვლება მხოლოდ ტექნოლოგიური ცვლილებების და მოსახლეობის ზრდის შედეგად, რომელიც მიეცუთვნება ეპზოგენურ ფაქტორებს. ამ შემთხვევაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციის (უპის) წვლილი წარმოების ზრდაში გამოვლინდება მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში.

ენდოგენური ზრდის მოდელები შეიცავს დამატებით ფაქტორებს, რომელთაც აქვთ გავლენა ადგილობრივი წარმოების მატერიალური და არამატერიალური აქტივების მოწოდებაზე და ასევე გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება: რეალური კაპიტალის, ახალი ტექნოლოგიების და კვაზი-ინვესტიციების მოზიდვა (ლიცენზია, ფრანჩაიზინგი, ლიზინგი).

ენდოგენური ზრდის მოდელებში უპი მიჩნეულია, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად, რაც შემდეგი მიმართულებით ვლინდება:

1. კაპიტალის დაგროვების შედეგად: უპი დადგებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე ახალი იდეების და ახალი ტექნოლოგიების მოზიდვის თვალსაზრისით;

2. უპი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებით. გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მეშვეობით;

ენდოგენური ზრდის მოდელის სხვა უპირატესობა ნეოკლასიკურ მოდელთან შედარებით არის ის ფაქტი, რომ ის გულისხმობს არა მხოლოდ ტექნოლოგიური ცვლილებების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ ინსტიტუციონალურ გავლენასაც. მაგალითად კარგი ინვესტიციური კლიმატი, ადამიან-კაპიტალის განვითარების სახელმწიფო პროგრამები, ინფრასტრუქტურული პროექტები პირდაპირ ახდენს გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე და ხელს უწყობენ უპი-ს მოზიდვას.

განვიხილოთ დაწვრილებით ენდოგენური ზრდის ერთ-ერთი „დე მელო-ლუიცის“¹ მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი გავლენა აქვს უპის ეკონომიკურ ზრდაზე. მოდელი გვიჩვენებს იმას, რომ უპი-ით დაფუძნებული ორგანიზა-

¹ De Mello, Luiz R., Foreign direct investment in developing countries and growth: A selective survey// Journal of Development Studies; Oct. 1997, Vol. 34 Issue, pp 1-34.

ციები არიან პირდაპირ კავშირში ცენტრალურ ორგანიზაციებთან. უპი-ს განხორციელების დროს ტრანსნაციონალური კომპანიების მიზანია პროდუქციის რეალიზაციის საფუძველზე მოგების მიღება. სუფთა მოგების ნაწილი განკუთვნილია წარმოების გაფართოებაზე ანუ რეინვესტირებაზე, ასევე განკუთვნილია აქციონერებისათვის დივიდენდების სახით გადახდაზე და შესაძლებელია, აგრეთვე, რომ მოგების გარკვეული ნაწილი იყოს რეპარიირებული ცენტრალურ კომპანიებში, რასაც «დე მელო-ლუიცის» მოდელი არ ითვალისწინებს.

სტანდარტული ფორმულირებით „დე მელოს-ლუიცის“ მოდელი განიხილავს უცხოური ინვესტიციის მიღები ქმარნის საწარმოო ფუნქციას კობ-დუგლასის¹ ფორმულით:

$$y(t) = Af(k_{in}, H) = A(k_{in})^\beta H^{1-\beta}, \quad (1)$$

სადაც: $y(t) = \frac{Y(t)}{L(t)}$ - ერთ მუშახელზე გამოშვებული

პროდუქციის რაოდენობაა;

A - ფაქტორების ერთობლივი მწარმოებლურობა,

$k_{in} = \frac{K_{in}}{L}$ - შრომის შიგა კაპიტალშეიარაღება ერთ მომუშავეზე,

β - მუდმივია ნულიდან ერთამდე მნიშვნელობით, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალის წილს შემოსავალში, ანუ შემოსავლის რა ნაწილი ხდება კაპიტალის მფლობელებს და რა ნაწილი მიდის შრომის ანაზღაურებაზე.

H - ქვეყანაში ტექნოლოგიების მარაგი, რომელიც დამოკიდებულია უცხოური და შიგა კაპიტალის მოცულობაზე და წარმოდგენილია შემდეგნაირად:

$$H = [k_{in}(k_{out})^\alpha]^n$$

¹ მალხაზ ჩიქობავა, ნაზირა კაჯულია, მაკროეკონომიკა. თბ., 2009, გვ. 60-70.

$k_{out} = \frac{K_{out}}{L}$ - შრომის უცხოური კაპიტალშეიარაღება ერთ მომუშავებზე;

α - შიგა კაპიტალის ჩანაცვლების ელასტიკურობა უცხოური კაპიტალით ($\alpha > 0$), – ეს არის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად რთულია შიგა კაპიტალის ჩანაცვლება უცხოური კაპიტალით ერთი კონკრეტული საქონელის წარმოებისათვის;

п - ორი ტიპის კაპიტალის დროთაშორისი ჩანაცვლების ელასტიკურობა (თუ $n > 0$, მაშინ უცხოური კაპიტალი ავსებს შიგა კაპიტალს, თუ $n < 0$, მაშინ ხდება შიგა კაპიტალის უცხოური კაპიტალით ჩანაცვლება).

ვინაიდან:

$$\frac{\partial H(t)}{\partial k_{out}} > 0, \quad \frac{\partial H(t)}{\partial k_{in}} > 0$$

ამიტომ $H(t)$ ფუნქცია არის ზრდადი, როგორც უცხოურ კაპიტალთან ასევე შიგა კაპიტალთან მიმართებით. ასე, რომ საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვა იწვევს მიმღები ქვების მთლიანი კაპიტალის და არა მარტო მისი უცხოური წილის მწარმოებლურობის ზრდას.

ჩავსვათ ტექნოლოგიების მარაგის ფორმულა საწარმოო ფუნქციაში და მივიღეთ:

$$y(t) = A(k_{in})^\beta H^{1-\beta} = A(k_{in})^\beta \left(\left(k_{in} (k_{out})^\alpha \right)^n \right)^{1-\beta} = A(k_{in})^{\beta+n(1-\beta)} (k_{out})^{\alpha(1-\beta)} \quad (3)$$

ადსანიშნავია, რომ თუ შიგა და უცხოური ინვესტიციები ერთმანეთს ავსებს, ტექნოლოგიური სიახლეები ზრდის ძველი ტექნოლოგიების მწარმოებლურობასაც.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა კობ-დუგ-ლასის საწარმოო ფუნქციაში ფაქტორთა ზღვრული მწარ-

მოებლურობა „დე მელოს-ლუიცის“ მოდელში. MPk_{in} - შიგა კაპიტალის ზღვრული პროდუქტი¹ ეს არის წარმოებული პროდუქციის დამატებითი რაოდენობა, რომელიც შიგა კაპიტალის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგად მიიღება: ვიდრე მოგების მაქსიმიზაციის განმახორციელებელი კონკურენტული ფირმა გადაწყვეტს გაზარდოს შიგა კაპიტალი უცხოური კაპიტალის დახმარებით, ის, უპირველეს ყოვლისა ფიქრობს იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ეს მის მოგებაზე. ფირმა დამატებითი პროდუქციის წარმოებისგან მიღებულ შემოსავალს, რომელიც დამატებითი რაოდენობის კაპიტალის გამოყენებით არის მიღებული, ადარებს ხელფასზე გაწეული ხარჯების სიდიდეს.

მოგების ზრდა დამატებითი შიგა კაპიტალის გამოყენების შედეგად ტოლია პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული დამატებით შემოსავალს გამოკლებული მისი გამოყენების ხარჯები:

$$\Delta \text{მოგება} = \Delta \text{შემოსავალი} - \Delta \text{დანახარჯები} = P \times MPk_{in} - R.$$

მოგების მაქსიმიზაციისათვის, ფირმა გააგრძელებს დამატებითი მოწყობილობების შეძენას მანამ, ვიდრე MPk_{in} არ შემცირდება კაპიტალის რეალურ ფასამდე:

$$MPk_{in} = R/P$$

MPH - ტექნოლოგიების ზღვრული პროდუქტი არის წარმოებული პროდუქციის დამატებითი რაოდენობა, ტექნოლოგიების დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგად.

საწარმოო ფუნქციას ახსიათებს კლებადი ზღვრული პროდუქტის თვისება: გამოყენებული შიგა კაპიტალის მუდმივი სიდიდისას რაც უფრო მეტია გამოყენებული ტექნოლო-

¹ ოლივი ბლანშარი, მაკროეკონომიკა. მეცნიერება თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010წ.

გიების რაოდენობა, მით უფრო ნაკლებია ყოველი დამატებითი ტექნოლოგიის ერთეულის ზღვრული პროდუქტი.

დამატებითი მანქანა-დანადგარების გამოყენების შედეგად მოგების ზრდა ტოლია პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებულ დამატებით შემოსავალს გამოკლებული მისი გამოყენების ხარჯები და ამორტიზაცია:

$$\Delta \text{მოგება} = \Delta \text{შემოსავალი} - \Delta \text{დანახარჯები} = (P \times MPH) - R - A_m$$

მოგების მაქსიმიზაციისათვის, ფირმა გააგრძელებს დამატებითი მოწყობილობების შექმნას მანამ, ვიდრე MPH არ შემცირდება რეალურ ფასამდე:

$$MPH = \frac{R + A_m}{p}$$

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტული ფირმა, რომელიც მისწრაფის მოგების მაქსიმიზაციისკენ, საკითხის გადაწყვეტისას, თუ რამდენი შიგა კაპიტალი და ტექნოლოგია გამოიყენოს, ხელმძღვანელობს შემდეგი მარტივი წესით: ფირმა წარადგენს მოთხოვნას წარმოების თვითეულ ფაქტორზე მანამ, ვიდრე წარმოების ამ ფაქტორთა ზღვრული პროდუქტი არ გაუტოლდება მათზე არსებულ რეალურ ფასებს.

ტექნოლოგიების ზღვრული პროდუქტი

$$MPH = (1 - b) A k_{in}^b H^{-b},$$

ხოლო შიგა კაპიტალის ზღვრული პროდუქტი

$$MPk_{in} = \beta A (k_{in})^{\beta-1} H^{\beta-1}$$

ვითვალისწინებით იმას, რომ β მუდმივია, რომელიც იცვლება ინტერვალში ნულიდან ერთამდე, ამ სამი ტოლობიდან შეიძლება განვსაზღვროთ წარმოების ფაქტორთა ზღვრული პროდუქტის ცვლილებათა მიზეზები. შიგა კაპიტალის რაოდენობის ზრდა განაპირობებს MPH -ის ზრდას

და MPk_{in} -ს შემცირებას. ანალოგიურად, ტექნოლოგიათა რაოდენობის ზრდა ზრდის MPk_{in} -ს და ამცირებს MPH – ს. ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც ზრდის A პარამეტრს, პროპორციულად ადიდებს წარმოების ორიგე ფაქტორის ზღვრულ პროდუქტს.

კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქცია შეიძლება ჩავწეროთ, როგორც:

$$MPH = \frac{(1-\beta)Y}{H} ,$$

$$MPk_{in} = \frac{\beta Y}{k_{in}}$$

MPH პროპორციულია გამოსაშვები პროდუქციის მოცულობისა ერთ ტექნოლოგიაზე გაანგარიშებით, ხოლო MPk_{in} კი პროპორციულია გამოსაშვები პროდუქციის მოცულობისა

კაპიტალის ერთეულზე. $\frac{Y}{H}$ - არის ტექნოლოგიის საშუალო

$\frac{Y}{k_{in}}$ კაპიტალის საშუალო მწარმოებლურობა, ხოლო $\frac{Y}{k_{in}}$ კაპიტალის საშუალო მწარმოებლურობა, ხელა შეგვიძლია განვიხილოთ, რომ თუ წარმოების ფაქტორები დებულობს თავის ზღვრულ პროდუქტებს, მაშინ β პარამეტრი სინამდვილეში გვიჩვენებს, ეროვნული შემოსავლის რა ნაწილი მოდის ტექნოლოგიის წილად და რა ნაწილი - შიგა კაპიტალის წილად. ტექნოლოგიაზე საერთო

ახლა შეგვიძლია განვიხილოთ, რომ თუ წარმოების ფაქტორები დებულობს თავის ზღვრულ პროდუქტებს, მაშინ β პარამეტრი სინამდვილეში გვიჩვენებს, ეროვნული შემოსავლის რა ნაწილი მოდის ტექნოლოგიის წილად და რა ნაწილი - შიგა კაპიტალის წილად. ტექნოლოგიაზე საერთო

დანახარჯები ტოლია $MPH \times H$, ანუ უბრალოდ $(1-\beta)Y$. შესაბამისად $1-\beta$ არის წარმოებულ პროცექტში შრომის ხვედრითი წონა. ანალოგიურად, კაპიტალზე საერთო შემოსავლის თანხა ტოლია $MPk_{in} \times k_{in}$ ანუ, უბრალოდ βY და β წარმოებულ პროცექტში კაპიტალის ხვედრითი წონაა. ტექნოლოგიაზე შემოსავლის კაპიტალის შემოსავალთან თანაფარდობა $\frac{1-\beta}{\beta}$ მუდმივია, რაც აღმოაჩინა დუგლასმა.

დავუშვათ, ქვეყნის გკონომიკაში იწარმოება ერთი საქონელი, რომელსაც ყიდულობს მომხმარებელი ერთი ერთეულის ფასად. საგადასახადო ბალანსის სალდო და ერთობლივი სახელმწიფო ფასები 0-ის ტოლია. წარმოება გკონომიკაში გათვალისწინებულია მოხმარებისა და შიგა კაპიტალის გაზრდაზე, იგულისხმება, რომ ამორტიზაციის ნორმა 0-ის ტოლია.

ამ ამოცანის მართვის სისტემის განტოლება იქნება:

$$\dot{k}_{in} = \frac{dk_{in}}{dt} = y(t) - c(t) \quad , \quad (4)$$

სადაც, $c(t) = \frac{C(t)}{L(t)}$ - მოხმარების რაოდენობა ერთ მუშახელზე.

გამოსახულება $y(t) - c(t)$ წარმოადგენს წარმოებული პროცექტის ნაწილს ერთ მუშახელზე გაანგარიშებით, რომელიც რჩება მას შემდეგ, როგორც კი დაკმაყოფილდება მოხმარებლების მოთხოვნა.

ახლა განვიხილოთ მოხმარება $c(t)$. მისი დასაშვები ტრაექტორია შესაძლებელია იყოს ნებისმიერი უწყვეტი ტრაექტორის ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:

$$0 < \underline{c} < c(t) < y(t), \quad (5)$$

სადაც $\underline{c} = \inf_{t \geq 0} c(t)$ - არის დასაშვები მოხმარების ქვედა ზღვარი;

ეკონომიკური სისტემის მართვის ორგანოს ამოცანა მართოს მოხმარება ისე, რომ გრძელვადიან პერიოდში მიიღოს მაქსიმალური კეთილდღეობა.

კეთილდღეობის გასაანგარიშებლად გამოიყენება დისკონტირებული სარგებლობის ფორმულა¹:

$$\max \int_0^{+\infty} u[c(t)] e^{-pt} dt$$

$u(c)$ - რეპრეზანტიული მოხმარების სარგებლიანობის ფუნქცია

P - მოხმარების სარგებლიანობის დისკონტირების პარამეტრი, დროთაშორისი სარგებლიანობის არჩევადობა.

მოცემულ პერიოდებში ეკონომიკისთვის დაუსრულებული მართვის პორიზონტით და დისკონტირების დადებითი ნორმით ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის ამოცანა წარმოდგენილია ლოგარითმული ფუნქციით:

$$\max \int_0^{+\infty} u[c(t)] e^{-pt} dt \quad (6)$$

იმ პირობით რომ:

¹ Колемаев В., Математическая экономика.М.,1998, с.390.

$$\dot{k}_{in}(t) = \frac{dk_{in}}{dt} = y(t) - c(t) = A(k_{in})^{\beta+n(1-\beta)} (k_{out})^{n\alpha(1-\beta)} - c(t) \quad (7)$$

$$k_{in}(0) \geq 0 \quad (8)$$

ეს ოპტიმალური მართვის ამოცანაა, სადაც ერთადერთი ფაზური ცვლადია შრომის შეიარაღება შიგა კაპიტალით, ერთადერთი სამართი პარამეტრი არის მოხმარება $C(t)$, მიზნობრივი ფუნქციონალი კი – კეთილდღეობის ინტეგრალი.

და მედოს-ლუიცის განხილულ მოდელში არ არის მოყვანილი დამოკიდებულება, რომელიც სხივს დასმულ ამოცანას, რასაც ქვემოთ გთავაზობთ.

ამოცანის ამოხსნა მოითხოვს მოიძებნოს ოპტიმალური ტრაექტორიები $\dot{c}(t)$ და $\dot{k}_{in}(t)$, რომლებისთვისაც კეთილდღეობა მაქსიმალურია. მართლაც, ადგილი აქვს შემდეგ პირობებს:

$$\dot{k}_{in}(t) = \frac{dk_{in}}{dt} = y(t) - c(t) = A(k_{in})^{\beta+n(1-\beta)} (k_{out})^{n\alpha(1-\beta)} - c(t)$$

$$\frac{\dot{c}}{c} = A(\beta + n(1-\beta))(k_{in})^{\beta+n(1-\beta)-1} (k_{out})^{n\alpha(1-\beta)} - p, \quad (9)$$

სადაც, $\dot{c} = \frac{dc}{dt}$ - სარგებლობის ზრდა დროის ერთ ერთეულში;

$\frac{c}{c}$ - შედარებითი ნაზრდი მოხმარების ოპტიმალური ტრაექტორია სარგებლიანობის ლოგარიფმული ფუნქციის შემთხვევისთვის:

$$\frac{\dot{c}}{c} = MPk_{in} - p \quad (9')$$

MPk_{in} - როგორც უკვე ითქვა შიგა კაპიტალის ზღვრული პროდუქტი, არის წარმოებული პროდუქციის დამატებითი რაოდენობა, რომელიც შიგა კაპიტალის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგად მიიღება:

$$MPk_{in} = A(\beta + n(1-\beta))(k_{in})^{\beta+n(1-\beta)-1}(k_{out})^{n\alpha(1-\beta)}$$

ენდოგენური ზრდის პირობა:

$$\beta + n(1-\beta) = 1 ,$$

მაშინ, $n=1$, ამ შემთხვევაში მივიღებთ:

$$\frac{\dot{c}}{c} = A(k_{out})^{\alpha(1-\beta)} - p \quad (10)$$

$$\dot{k}_{in} = A(k_{out})^{\alpha(1-\beta)} k_{in} - c \quad (11)$$

რაც შეიძლება ჩაიწეროს სისტემის სახით

$$\begin{cases} A(k_{out})^{\alpha(1-\beta)} k_{in} - c = \dot{k}_{in} \\ \left(A(k_{out})^{\alpha(1-\beta)} - p \right) c = \dot{c} \end{cases}$$

$A(k_{out})^{\alpha(1-\beta)}$ - შიგა კაპიტალის ზღვრული პროდუქტია. აშკარად ჩანს, რომ მოხმარების ზრდის ტემპი არის დადებითი იმ შემთხვევაში, როცა შიგა კაპიტალის ზღვრული პროდუქტი მეტია, ვიდრე მოხმარების სარგებლიანობის დისკონტირების პარამეტრი, დროთაშორისი სარგებლიანობის არჩევადობა, ანუ როცა:

$$A(k_{out})^{\alpha(1-\beta)} > p$$

ამავე დროს, ამ ამოცანაში შიგა კაპიტალის გრძელვა-დიანი ზრდის და მატების ტრაექტორია არ არის მყარი. ეს მტკიცებულება გამომდინარეობს გაწრფივებული სისტემის მატრიციდან:

$$\begin{pmatrix} \dot{k}_{in} \\ \dot{c} \end{pmatrix} = \begin{pmatrix} A(k_{out})^{\alpha(1-\beta)} & -1 \\ 0 & A(k_{out})^{\alpha(1-\beta)} - p \end{pmatrix} \begin{pmatrix} k_{in} - \dot{k}_{in} \\ c - \dot{c} \end{pmatrix} \quad (12)$$

მოხმარების ზრდის დადებითი ტემპი არის ის შემთხვევა, როცა კმაყოფილდება ეს პირობა $A(k_{out})^{\alpha(1-\beta)} > p$ რაც იმ ფაქტის გარანტირებაა, რომ მატრიცა და მისი განმსაზღვრელი დადებითია, რაც გულისხმობს ამ სისტემის არასტაბილურობას.

შიგა ეკონომიკის სტაციონალური პირობის დროს

$k_{in} = 0$, ეკონომიკური ზრდის ტრაექტორია ემთხვევა

მოხმარების ზრდის ტრაექტორიას. აქედან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური ზრდა არ არის დამოკიდებული შიგა კაპიტალის მარაგებზე და განისაზღვრება უცხოური კაპიტალის პროდუქტობით და ზოგადი ფაქტორების მწარმოებლურობით. უცხოური კაპიტალის ნამატის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში წარმოდგენილია ფარდობითი სტატიკის მაგალითის სახით:

$$\frac{\partial \left(\frac{\dot{y}}{y} \right)}{\partial k_{out}} = \left(\frac{\dot{y}}{y} \right)'_{k_{out}} = \left((\ln y)'_t \right)'_{k_{out}} = \left((\ln y)'_{k_{out}} \right)'_t = \left(\frac{y'_{k_{out}}}{y} \right)'_t = \alpha(\beta-1) \frac{\dot{k}_{out}}{(k_{out})^2} \quad (13)$$

မန်တွေအပါ

$$\dot{y} = \frac{\partial y}{\partial t} = \left(A \left(k_{in} \right)^{\beta+n(1-\beta)} \left(k_{out} \right)^{\alpha n(1-\beta)} \right)'_t = A \left((\beta + n(1-\beta)) \left(k_{in} \right)^{\beta+n(1-\beta)-1} \dot{k}_{in} \left(k_{out} \right)^{\alpha n(1-\beta)} \right) + \\ + A \alpha n(1-\beta) \left(k_{out} \right)^{\alpha n(1-\beta)-1} \dot{k}_{out} \left(k_{in} \right)^{\beta+n(1-\beta)}$$

რადგან $\beta + n(1 - \beta) = 1$ ბაშიც $n=1$ რადგან $\beta \neq 1$ და

$$\dot{y} = \frac{\partial y}{\partial t} = A(k_{out})^{\alpha(1-\beta)-1} \left(\dot{k}_{in} k_{out} + \alpha(1-\beta) \dot{k}_{out} k_{in} \right)$$

۸۶۹

$$\frac{\dot{y}}{y} = \frac{A(k_{out})^{\alpha(1-\beta)} \left(k_{in} k_{out} + \alpha(1-\beta) \dot{k}_{out} k_{in} \right)}{A(k_{in})^{\beta+n(1-\beta)} (k_{out})^{\alpha n(1-\beta)}} = \frac{\dot{k}_{in}}{k_{in}} + \alpha(1-\beta) \frac{\dot{k}_{out}}{k_{out}} = (\ln k_{in})' + \alpha(1-\beta) (\ln k_{out})'$$

ঘোষণা:

$$\frac{\partial \frac{\dot{y}}{y}}{\partial k_{out}} = \left(\frac{\dot{k}_{in}}{k_{in}} + \alpha(1-\beta) \frac{\dot{k}_{out}}{k_{out}} \right)'_{k_{out}} = \alpha(\beta-1) \frac{\dot{k}_{out}}{(k_{out})^2}$$

და მივიღებთ გოლობას:

$$\frac{\partial \dot{y}}{\partial k_{out}} = \alpha(\beta - 1) \frac{\dot{k}_{out}}{(k_{out})^2}$$

ჩატარებული ანალიზის შედეგი არის ის, რომ
კონომიკური ზრდა დადებითია, ანუ $\left(\frac{\dot{y}}{y}\right)'_{k_{out}} > 0$ იმ შემთხ-

ვევაში, როცა:

1. $\beta > 1$ და უცხოური ინვესტიციები იზრდება;
2. $\beta < 1$ და უცხოური ინვესტიციები კლებულობს, მაგრამ ნულის ტოლი არ ხდება – $\dot{k}_{out} < 0$.

პირველ შემთხვევას ჩვენ ვერ განვიხილავთ რადგანაც თავდაპირველი პირობისდა მიხედვით $-0 < \beta < 1$, ასე, რომ ძალაში რჩება მხოლოდ მეორე შედეგი.

The Impact of Foreign Direct Investments on Economic Growth

S. Jvarsheishvili

When considering foreign direct investments and their impact on economic growth, the study and analyzing of economic-mathematical methods becomes of special importance. In the presented article the author provides the analysis of “De Mello -Luiz” model.



სიღარიბის დაძლევისათვის საქართველოში

ლაშა ტბბატაძე

იუ. ჯავახიშვილის სახ.

თხუ დოქტორანტი

საქართველოში დამოუკიდებლობის ადგგენიდან დღემდე სოციალური გარდაქმნები და დემოკრატიული ფასეულობების ფორმირება არ მიმდინარეობს უმტკივნეულოდ. დამოუკიდებლობის პირველი წლები უკიდურესად მძიმე იყო: ადგილი ჰქონდა ეკონომიკური კავშირების მოშლას და ბაზრების დაკარგვას, წარმოიშვა ლარიბებს შორის უდარიბესი ფენები. ჩამოყალიბდა შემოსავლების განაწილების ძალზე მაღალი ხარისხის უთანასწორობა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა წარმოშვა სოციალური რისკის საფრთხეები. სოციალური რისკი განიხილება როგორც საფრთხე, რომელიც წარმოიშობა და გამოვლინდება საზოგადოების სოციალური ცხოვრების სფეროში და რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ცალკეული სოციალური ჯგუფის ან მთელი საზოგადოების არსებობასა და განვითარებაზე. სოციალურ რისკებს შორის ყველაზე მწვავე პრობლემაა სიღარიბე, რაც დღემდე ერთ-ერთ უმთავრეს და მტკივნეულ პრობლემად რჩება ჩვენს ქვეყანაში. თავის მხრივ, სიღარიბე გლობალური პრობლემაა, სიღარიბის დაძლევის და მისი მასშტაბის მნიშვნელოვანი შემცირების საკითხი მხოლოდ საქართველოს არ აწესებს.

¹ მსოფლიო ბანის ანგარიშები, ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, 2010წ., თბ., გვ. 79.

დღეს მსოფლიოში 2.4 მლრდ ადამიანი სიდარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.¹

სიდარიბე, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები პრობლემა, საქართველოში გაცილებით ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს. უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც აღმოსავლეთი ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებმა, მბრძანებლურ-ადმინისტრაციულად მართვადი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყეს, პოლიტიკოსებისათვის სიდარიბე ცენტრალურ პრობლემას არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, ნავარაუდევი იყო, რომ ახალი ეკონომიკური რეფორმების შედეგად ქვეყნები სწრაფად მიაღწევდნენ ეკონომიკურ ზრდას და მოქნილი სამუშაო ძალის და განათლების მაღალი დონით შესაძლებელი იქნებოდა სიღარიბის მასშტაბების შემცირება. სამწუხაროდ, ვარაუდი არ გამართლდა და წარმოების დონის შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქნია ქვეყნების ეკონომიკაზე, რაც საბოლოოდ სიღარიბის დონის ზრდით გამოიხატა.

ეს პროცესი განსაკუთრებით დაეტყო დსთ-ს ქვეყნებს. ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები ვიწრო, კერძო ინტერესებიდან გამომდინარე იქნა წარმართული (კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა) და არსებითად იგნორირებულ იქნა საზოგადოებრივი ინტერესები, რამაც ფაქტობრივად ნებატიურად გადაწყვიტა ეკონომიკური რეფორმების ბედი და მასობრივ სიღარიბეს დაუდო სათავე. 1992 წლიდან საქართველოში ადგილი ქონდა „შოკური თერაპიის“ პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის კლასიკურ სქემად ქცეული „ბალცეროვიჩის გეგმის“ განხორციელების მცდელობას, რომლის დიდი ნაწილი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ შესრულდა. მათ შორის განსაკუთრებით შოკური თერაპიის არსის განმსაზღვრელი ისეთი მნიშვნელოვანი დონისძიებები,

როგორიცაა საბიუჯეტო დოტაციების და სუფსიდიების გაუქმება და ბრუნვაში არსებული ფულის მასის მკაცრი შეზღუდვა (კონტროლი). სამართლიანობა მოითხოვს ადინიშნოს, რომ ამ და სხვა პუნქტების ნაწილი ვერც განხორციელდებოდა, რადგან იმ დროს საქართველოს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა არ გააჩნდა. ასეთ ვითარებაში „შოკური თერაპიის“ მეთოდის ძირითადად მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორციელებული არასრულფასოვანი მოდიფიკაცია კრახისთვის იყო განწირული. შემდგომ პერიოდში, მთავრობამ შემოიღო დროებითი ვალუტა – კუპონი, რომელმაც, სათანადო მონეტარული პოლიტიკისა და რეალური ეკონომიკის გარეშე ლოგიკური დასასრული ჰპოვა ჰიპერინფლაციის სახით – 1 აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი კუპონთან მიმართებით შეადგენდა 2.5 მლნ კუპონს. სწრაფი ეკონომიკური რეფორმების გატარებისას დაგროვილი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნები, რომელთა არჩევანი „შოკური“ რეფორმები იყო, ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში პირველები შევიდნენ.

ამ დებულების სისწორეს, ნაწილობრივ, საქართველოს გამოცდილებაც ადასტურებს. 1995 წელს, „შოკური თერაპიის“ სქემის ზოგიერთი მუხლის ამოქმედების შედეგად ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნა ზრდით შეიცვალა, რაც თავის მხრივ, ეროვნული ვალუტის და მონეტარული პოლიტიკის არსებობითაც იქნა განპირობებული: მშპ-ს ზრდა 1995 წელს 3%-მდე იყო, ხოლო 1997-2000 წლებში ის წელიწადში საშუალოდ 9-10%-ს შეადგენდა. საქართველოს ეკონომიკის განვითარების შემდგომი წლებიც დაახლოებით მსგავსი სტატისტიკითაა წარმოდგენილი, თუ არ ჩავთვლით 2000-2001 წლის ეკონომიკურ კრიზისს.¹

¹ მსოფლიო ბანკის ანგარიშები, ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, 2010წ., თბ., გვ. 119.

რაც შეეხება სიდარიბისა და სოციალური უთანასწორობის გამომწვევ მიზეზებს, მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკურით არ ამოიწურება, ანუ სიდარიბის მაპროვოცირებელ ფაქტორებად შესაძლებელია მივიჩნიოთ:

- ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის კლება (დემოგრაფიული კვდომა);

- მოსახლეობის დაბერების ტემპების დაჩქარება;

- მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება;

- უმუშევრობის ზრდა;

- ხარისხიანი განათლების ნაკლები ხელმისაწვდომობა;

- ეროვნული და ზნეობრივი ფასეულობების გაუარესების ტენდენცია (სულიერ-ზნეობრივი კრიზისი).

1989-2004წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1 მლნ 88 ათასი კაცით შემცირდა (4321.5 ათასი) და დღემდე აღნიშნულმა მაჩვენებელმა ჯერ კიდევ გერ მიაღწია საწყის ნიშნულს (5341.8 ათასი). მოსახლეობა ბოლო 18-20 წლის განმავლობაში დემოგრაფიულად დაბერებულია. XX საუკუნის 90-იან წლებში, ოუ საშუალო ასაკი 31-33.1 წელს შეადგენდა, ბოლო პერიოდის ანალოგიურმა მაჩვენებელმა 39.3 წელი შეადგინა და პროგნოზული გაანგარიშებებით, ორი ათეული წლის შემდეგ საშუალო ასაკი 45,4 წლამდე გაიზრდება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, რეგისტრირებულ დაავადებათა რაოდენობა 2000-2009 წლებში 412,8 ათასიდან - 807,5 ათასამდე გაიზარდა. შემაშფოთებელია სტატისტიკა 0-14 წლამდე ასაკის მოსახლეობაში, სადაც სხვადასხვა დაავადების შემთხვევები მატულობს. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე სიდარიბე და უმუშევრობა ქვეყნისათვის უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად იქცა და იგი დაახლოე-

ბით სულ მცირე 4-ჯერ გაიზარდა. ოფიციალური სტატისტიკით, უმუშევრობის დონე ქვეყანაში დღეისათვის 16,5%-ს შეადგენს, თუმცა, მისი რეალური მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. დღეს მოქმედი აღრიცხვის მეთოდიკით თვითდასაქმებულად ითვლებიან პირები, რომლებიც საკლევი კვირის განმავლობაში, თუნდაც 1 საათით უსასყიდლოდ მუშაობდნენ საოჯახო მეურნეობაში, კერძოდ: თევზაობდნენ, აგროვებდნენ აქნერას, სოკოს, ხარშავდნენ მურაბას, კერავდნენ, ქსოვდნენ და ა.შ.

უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად საქართველოში პრობლემატურია. მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციისა და უთანასწორობის ზრდა. შემოსავლებისა და მოხმარების უთანასწორობის მაჩვენებლით (ჯინის კოფიციენტი), მსოფლიოს 143 ქვეყანას შორის საქართველო დღეისათვის 33-ე ადგილზეა, ანუ მსოფლიოში მხოლოდ 32 ქვეყანას აქვს საქართველოზე უარესი მაჩვენებელი და ეს ქვეყნები ძირითადად აფრიკისა და სამხრეთი ამერიკის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნებია.¹ თუმცა, გარკვეული ეპონომიკური გამოცოცხლება აღინიშნება 2004 წლიდან, როდესაც დაიწყო მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარება. სახელმწიფო პენსია 55 ლარამდე, ხოლო ხანდაზმულთა პენსია 80 ლარამდე გაიზარდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009-2010 წლებში სტარტი აიღო რეგიონული განვითარების პროგრამამ, რამაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა უნდა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ძალისხმევისა, სოციალური პრობლემები ჯერ კიდევ რთულად მოსაგარებელია.

¹ მსოფლიო ბანკის ანგარიშები, ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, 2010წ., თბ., გვ. 119.

დღეს საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ატარებს უფრო მეტად ადგილობრივ ხასიათს და იგი განპირობებული არ არის გარეგანი ფაქტორებით (თუ აგვისტოს ომს არ ჩავთვლით), რადგან საქართველოს ეკონომიკა ისე მჭიდროდ არ არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან, როგორც ესპანეთი, საფრანგეთი, ირლანდია, ინგლისი და ა.შ. ამიტომ, მხოლოდ იმის მტკიცება, რომ საქართველოს სერიოზული დარტყმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მიაუენა, არ იქნება სწორი. უნდა გამოიყოს ხარვეზები, რაც რეფორმების პარალელურად აღინიშნა:

- საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადები კონცენტრირებული იყო პრივატიზაციასა და უძრავი ქონების შექნაში, რამაც აშკარა დისბალანსი გამოიწვია – ფინანსური რესურსების ნაკადის ტემპი ქვეყნაში საგრძნობლად აღემატებოდა ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის ტემპს;
- სამშენებლო ბიზნესში „სამშენებლო პირამიდები“ გაჩნდა.

ბანკები თავიანთ საკრედიტო რესურსებს ძირითადად დასავლურ ფინანსურ ბაზრებზე შედარებით იაფი რესურსების ხარჯზე ავსებდნენ, ხოლო ეს კრედიტები უმთავრესად მშენებლობისა და იმ სამომხმარებლო და საყოფაცხოვრებო საქონლის შექნის მიზნით გაიცემოდა, რომელიც მთლიანად იმპორტირებულია საქართველოში. ამრიგად, იმპორტირებული საკრედიტო რესურსების ხარჯზე ფინანსდებოდა „ფინანსური პირამიდებით“ დასწეულებული სამშენებლო ბიზნესი და სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო საქონლის იმპორტი, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე ვერანაირად ვერ აისახა დადგებითად, მხოლოდ იმპორტის წახალისება გამოიწვია.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის აგრესიამ დააჩქარა ეკონომიკური კოლაფსი, რაც გამოიხატა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემცირებაში.¹ კერძოდ, 2007 წელს, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები 2 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, 2008 წელს მისი რაოდენობა დაახლოებით 1.6 მლრდ დოლარამდე შემცირდა, ხოლო 2009 წელს კი – 658 მლნ დოლარი შეადგინა.

მოსახლეობის სოციალური პირობების გაუარესების შეჩერებისათვის საჭიროა კარდინალური ცვლილებები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების ხელშეწყობისა და უმუშევრობის მიზნით დასაქმების უფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას. ამ მიზნით, აუცილებელია დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ახალი კონცეფცია, რომლის ბაზაზე უნდა მომზადდეს „დასაქმების სახელმწიფო რეგულირების შესახებ“ კანონპროექტი;

- ასევე, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო უწყება;
- პროფესიული კადრების მომზადების სისტემაში უნდა ასახოს შრომის ბაზრის მოთხოვნები;
- უნდა განვითარდეს ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემა;
- უნდა შემუშავდეს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული „შრომის კოდექსის“ ახალი ვარიანტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც დამქირავებლის, ასევე დაქირავებულის ინტერესები (საარსებო მინიმუმი, მინიმალური ხელფასი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შვებულების ხან-

¹ ვ. პაპავა. ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბ., 2010წ.

გრძლივობა, სოციალურ-შრომითი ნორმატივები), დაღგენილი შრომის საერთაშორისო კონვენციებითა და „ევროპის სოციალური ქარტიით“.

უნდა მომზადდეს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა სოციალური დაზღვევის მოდელზე თანდათანობით გადასვლისთვის, სავალდებულო (სახელმწიფო) და ნებაყოფლობითი (კერძო) დაზღვევის პრინციპების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. დაზღვევის სისტემაზე გადასვლისთვის საფუძვლების მოსამზადებლად;

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ აუცილებელია სოციალური დახმარების სფეროში სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებების ძალისხმევის კოორდინაცია, რაც გაზრდის დახმარების ეფექტიანობას;


ორგანიზაციულ ცვლილებებს წინ უნდა უსწრებდეს სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონალური ანალიზი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ხდებოდეს კონკრეტულ უწყებათა ტრანსფორმაცია ან გაუქმება.

The Way for Overcoming Poverty in Georgia

L. Tabatadze

The purpose of the article is to analyse and evaluate the social and economical situation of the country, to highlight and generalize the types of social risks and dangers.

It aims to emphasize the social and political priorities of the country and to develop the strategy which will be effective to settle the social problems that exist in the country.



მარინე ღულაშვილი
გვონიძის აკადემიური დოქტორი

საქართველოს XI-XII ს.ს. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ამ პერიოდს უკავშირდება ის ფუნდამენტური რეფორმები, რამაც ე.წ. ქართული რენესანსი განაპირობა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო წყობილება და სოციალური სტრუქტურა ამგარი იყო: სახელმწიფოს სათავეში იდგა მონარქი, ქვეყანა დაყოფილი იყო მსხვილ და შედარებით წვრილ სამთავროებად, რომელთა სათავეში იდგნენ ერისთავები და ერისთავთერისთავები. მათ ექვემდებრებოდნენ მხარეთა ადმონისტრაციული თანამდებობის პირები. დედაქალაქის სამეფო კართან არსებობდა მთავრობის ცენტრალური აპარატი – დარბაზი, რომელსაც ოთხი მინისტრი წარმოადგენდა: სამხედრო, ფინანსთა, სასახლისა და შინაგან საქმეთა. დარბაზს სათავეში ედგა მწიგნობართულეცესი, იგი განკარგავდა სახელმწიფო კანცელარიას თავისი მდივნებითა და საქმეთა მმართველებით. ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურა ემყარებოდა წოდებრივსა და ფეოდალურ ურთიერთობებს. საზოგადოება დაყოფილი იყო ოთხ წოდებად:

- 1.აზნაურები – უმაღლესი წოდება;
- 2.გაჭრები, რომლებიც იყოფოდნენ ორ კატეგორიად: დიდ გაჭრებად და წვრილ გაჭრებად;

3. ხელოსნები, მსახურები, რომლებიც ასრულებდნენ წვრილ სამოხელეო სამუშაოს სამეფო, საეკლესიო და ფეოდალთა სამფლობელოში;

4. გლეხები – თავისი უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით რამდენიმე კატეგორიად იყოფოდნენ. კუთვნილების მიხედვით არსებობდნენ სამეფო, საეკლესიო და კერძო მფლობელობის ყმები. მათ შორის საეკლესიო ყმებს გააჩნდათ როგორც უფლებრივი, ასევე ქონებრივი პრივილეგიები. გარდა ამისა, არსებობდნენ თავისუფალი მიწის მუშა-გლეხები.

საქართველოში წოდებები არ წარმოადგენდა კასტებს. დამსახურების შემთხვევაში ერთი წოდებიდან მეორე, უფრო მაღალ წოდებაში აღზევება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამავე დროს, კანონმდებლობით, თუკი რომელიმე კონკრეტული წოდების წარმომადგენელი სამი თაობის მანძილზე ვერ შეძლებდა თავისი წოდების შესაბამისი ვალდებულებების შესრულებას, წოდებრივ უფლებას კარგავდა.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტს სახელმწიფო მხოლოდ საეკლესიო ორგანიზაციებისთვის ცნობდა. რაც შეეხება სამხედრო ბეგარას, მისგან არავინ თავისუფლდებოდა, გარდა არასრულწლოვნებისა, დავრდომილებისა და ხეიბრებისა.

XI საუკუნეში საქართველოს ეპისკოპოსი “დიდი თურქობის” დამანგრევებლი ზეგავლენა განიცადა. სამეურნეო ცხოვრებას დიდ ტერიტორიულ დააწვა თურქ-სელჩუკთა მიერ დაწესებული გადასახადები, რასაც თან დაერთო გახშირებული სტიქიური უბედურებები: მიწისძვრები და წყალდიდობები. საუკუნის უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები უკავშირდება მეფე დავით IV – აღმაშენებლის სახელს (საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა 1089 წელს), რომლის მიერ გატარებული რეფორმები ძირითადად ითვალისწინებდა: სახელმწიფოებრივი

მთლიანობის აღდგენა-გამყარებას და პოლიტიკისა და ეკონომიკის მართვის მაქსიმალურად უფასებიანი, ცენტრალიზებული სისტემის შექმნას.

დავით აღმაშენებელმა უპირველესად საუკუნეობით დამკვიდრებული ერისთავობის ინსტიტუტის საპირისპიროდ, ადამიანის პიროვნული ღირსებები გვაროვნულზე მაღლა დააყენა და მაღლი თანამდებობების პირთა ნიჭის, უნარის და დამსახურების მიხედვით არჩევის პრინციპი დამკვიდრა. საზოგადოებრივ ურთიერთობებში თანდათან ახალი სოციალური ჯგუფები – ძირითადად საშუალო და წვრილი აზნაურობა, ვაჭრები და ხელოსნები დაწინაურდნენ.

როგორც ცნობილია, აღნიშნული ეპოქის კულტურული ითვლება 1121 წლის დიდგორის ბრძოლა და ამის შემდგომ თბილისის გათავისუფლება. საქართველომ შეძლო საკუთარი ტერიტორიების დაბრუნება და მისი გაფართოება. ხელისუფლებას თურქთა წინააღმდეგ ბრძოლას ჯვაროსნული ლაშქრობებიც უადგილებდა ისევე, როგორც საქართველოს ბრძოლა თურქს ულთანთა წინააღმდეგ უადგილებდა საქმეს ჯვაროსნებს. საქართველოს მიერ თურქეთისთვის სარკის შეწყვეტამ, უცხოქვენის გავლენისაგან გათავისუფლებამ და საკუთარ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენამ ძლიერი ბიძგი მისცა ეკონომიკურ განვითარებას.

ქვეყნის დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა და კვლავ დაიბრუნა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრის ფუნქციები. იგი წარმოადგენდა საქალაქო რესპუბლიკას – კომუნას, სადაც მოქალაქეებს მინიჭებული პქონდათ თავისუფლება. ბანუ-ჯაფარის 200-წლიანი საგვარეულო მმართველობის შემდეგ დედაქალაქის მმართველობა გადავიდა ქალაქის მცხოვრებთა ხელში. ცენტრალური ხელისუფლების ძირითად საყრდენად ქალაქები და წვრილი აზნაურობა იქცა, რომელთაოვისაც ეს ცვლილებები სრულიად მისაღები აღ-

მოჩნდა. გარდა თბილისისა, მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარაცხო გზები გადიოდა რუსთავში, სამშეილდესა და დმანისში, რამაც ამ ქალაქების დაწინაურება და სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებიად გადაქცევა განაპირობა.

სისტემური პოლიტიკური ცელილებები სრულიად იყო მისადაგებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან. დაიწყო ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, რაც ყველაზე უკეთ ქალაქებისა და საქალაქო მეურნეობის სწრაფი დაწინაურებით გამოიხატა. საშინაო და საგარეო ბაზრის გაფართოებამ გაზარდა ფულზე მოთხოვნა და საჭირო გახდა მასზე კონტროლის აუცილებლობა. ჩამოყალიბდა ცალკე საფინანსო უწყება, ანუ, ცენტრალიზებული ხაზინა – საჭურჭლე, როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია, სადაც ინახებოდა ფული, ძვირფასი ლითონები და განძეულობა. აღნიშნული საფინანსო უწყება უშუალოდ მეფის ხელქვეითს – მეჭურჭლეთუხუცესს დაექვემდებარა. იგი განაგებდა საფინანსო და სავაჭრო საქმეს და ამგვარად, ვაჭრებიც და ქალაქის ადმინისტრაციაც მას ექვემდებარებოდა. მასვე ექვემდებარებოდნენ საჭურჭლის, ანუ ცენტრალური ხაზინის, ასევე ქალაქების საბაჟო და სავაჭრო გადასახადების ამკრები მოხელეები. გარდა ამისა, მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა ძველი სამეფო ქალაქებიც. ასეთ მაღალ თანამდებობაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფეოდალები ინიშნებოდნენ, რაც ხელს უწყობდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს განმტკიცებას. ცენტრალიზებული საფინანსო უწყების – საჭურჭლის გარდა როგორც თბილისში, ასევე სხვა ქალაქებში არსებობდა სახელმწიფო ხაზინა, ე.წ. საგანძურნი.

ადსანიშნავია, რომ თუკი გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში (X ს.) ეკლესია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროგრესს უწყობდა ხელს, აღმაშენებლის ეპოქის დასაწყისში ეკლესიის ზნეობრივი ხრწნა ფართო რადიუსის მანკიერებად იყო ქცეუ-

ლი. რადიკალურმა საეკლესიო რეფორმამ კი სახელმწიფოს საშუალება მისცა ეკლესიაზე სისტემური კონტროლი განეხორციელებინა. კერძოდ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მწიგნობართუხუცეს - ჭყონდიდელის, როგორც სახელმწიფო მმართველობის ხელმძღვანელის - კანცლერის თანამდებობის დაწესებას. დამკვიდრდა წესი, რომ მწიგნობართუხუცესი უნდა ყოფილიყო ბერი, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი - დასავლეთ საქართველოს უძლიერესი მღვდელმთავარი, რითაც მტკიცდებოდა დასავლეთ საქართველოს კავშირი ერთიან სახელმწიფო ორგანოებთან. გარდა ამისა, კანცლერის მეშვეობით ეკლესია მეფეს ექვემდებარებოდა, ამასთანავე, იგი ყველაზე ნაკლებად იყო დაინტერესებული პირადი მეურნეობის გაფართოებით, რადგან მას არც მეგკვიდრეები ჰყავდა და არც პირადი საადგილ-მამულო ქონება გააჩნდა. ცენტრალიზებული სამეფო პოლიტიკის გატარების მძლავრი იარაღი გახდა სამი პირისგან შემდგარი უზენაესი სასამართლო - “სააჯო კარი”, რომელიც ასევე მწიგნობართუხუცესს ექვემდებარებოდა და განიხილავდა იმ პირთა საჩივრებს, რომლებმაც დაბალ სამსჯავრო დაწესებულებებში ვერ იპოვეს სამართალი.

XIს. ბოლოს და XII საუკუნეში საქართველოს ეპონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი იყო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. კავკასიის სამხრეთ რეგიონში გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო მაგისტრალი, რეგიონისა და მცირე აზიის ქვეყნების ყველა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა თბილისზე გადიოდა და აქვე იყრიდა თავს. გარდა დიდი სავაჭრო მაგისტრალებისა, აქტიური სავაჭრო ურთიერთობები არსებობდა ქვეყნის რეგიონებს და დაბა-ქალაქებს შორის. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გზებისა და ხიდების აშენება-მოწესრიგებას. გზები შემდეგი ტექნოლოგიით იგებოდა: შიგა გზებზე 25 მმ. სისქის დაფხვნილი აგური იყრებოდა დაახლოებით 5 მეტრის

სიგანებე. აქეთ-იქით, ნახევარი მეტრზე იყრებოდა წერილი კენჭები, გზის გასწვრივ კი კეთდებოდა მცირე ზომის თხრილები. ხიდებთან კეთდებოდა სათანადო შემაღლება. ძირითად მაგისტრალებზე გზები 50X50 სმ. კვადრატული ფორმის და 8 სმ. სისქის შავად გამომწვარი ქართული აგურით იყო მოკირწყლული. ნალექიან ამინდებში გზის ბუნებრივი გრუნტის ტენიანობის შესამცირებლად იყენებდნენ ხის ნაცარს, რომელსაც ნესტის შეწოვის თვისება გააჩნია. გზებზე არსებობდა ფუნდუკები, სადაც მგზავრს საშუალება ეძლეოდა ცხენები გამოეცვალა და მოესვენა. ამგვარი ფუნდუკები, განსაკუთრებით კი მთავარ სავაჭრო მაგისტრალებზე, მგზავრთა უბრალო თავშესაფარი კი არ იყო, არამედ თლილი ქვით ნაგები დიდი და კეთილმოწყობილი სასტუმროები, რაც მგზავრებს სასურველ კომფორტს უქმნიდა. ამგვარ სასტუმროებს გააჩნდათ ასევე თავლები და სამჭედლოები ცხენებისა და ეტლებისათვის.

რაც შეეხება ხიდების სამშენებლო ტექნიკას, იყენებდნენ კამაროვანი ფორმის თაღის პრაქტიკულად ყველაზე რაციონალურ ფორმას. ამგვარი კამაროვანი ხიდები ძირითადად იგბოდა თეთრი კირქვით, რომლის სიმტკიცესაც უმთავრესად მაღალი ხარისხის კირის დუღაბი განაპირობებდა. აღნიშნული კონსტრუქციის ხიდები განსაკუთრებით მრავლად იყო აჭარაში, შავშეთსა და ტაო-კლარჯეთში. შედარებისთვის – ამავე ეპოქის ევროპაში რომაელების მიერ გაყვანილი გზები უგვე განადგურებული იყო, ატალახებულსა და ოდრო-ხოდრო გზებზე (ფაქტობრივად კი ბილიკებზე) ორი ურემი ვერ უქცევდა გვერდს. ხიდები კი უმთავრესად ხისგან იგებოდა და მაღლებოდა.

საბერძნეთიდან საქართველოს მიმართულებით სახმელეთო გზა ბასიანსა და ტაოზე გადიოდა, თუმცა თურქების თარეშის გამო ეს გზა არ იყო უსაფრთხო, ამიტომ ძირითადად საზღვაო გზით სარგებლობდნენ ფორის მიმა-

როგორებით. სომხეთიდან საქართველოში გზა სამშვილდებე (ახლანდელი თეთრიწყაროს რაიონი) გადიოდა. ამ პერიოდში საქართველომ დაიბრუნა დიდი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი ტრანზიტორი ქვეყნის ფუნქცია, რამაც გარდა ფინანსური მოგებისა, საშუალება მისცა, რომ გლობალური პროცესების კურსში ყოფილიყო. დიდი აბრეშუმის გზა საქართველოსთვის მეტნაკლებად უსაფრთხოების გარანტიაც იყო იმ თვალსაზრისით, რომ ამ სიმბიოზის სტაბილურობა დიდი სახელმწიფოების ინტერესებში შედიოდა და მათი ეკონომიკური მოგების გარანტია იყო.

აღნიშნულ ეპოქაში საქართველო არა მხოლოდ დიდი სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალებით იყო დასერილი, არამედ ადგილობრივი მნიშვნელობის შიგა გზებითაც, რაც საქართველოს ცალკეულ რეგიონებთან მჭიდრო ერთიერთკავშირს უზრუნველყოფდა. პრობლემური იყო მესხეთ-ჯავახეთთან დაკავშირება, რაც საბოლოოდ თამარ მეფის ეპოქაში გადაიჭრა, როდესაც დედაქალაქიდან უმოკლესი საქარავნო გზა თრიალეთზე გაიყვანეს და გზის ორივე მხარეს შესაბამისი შენობა-ნაგებობები და სასტუმროები ააგეს. მესხეთი დასავლეთ საქართველოს ე.წ. რკინისჯვრის ქვაფენილიანი გზით დაუკავშირდა. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან მესხეთი გარდა სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობისა, საქართველოს მარცვლეულის ბედელს წარმოადგენდა. თრიალეთზე გადიოდა გზა ტაოდან კახეთისკენ. ჩრდილოეთ კავკასიიდან უმოკლესი გზა გავიდა აფხაზეთზე ქუთაისის მიმართულებით, რომელიც მანამდე, VIII საუკუნეშიც არსებობდა, თუმცა უაღრესად გრძელი და მოუწესრიგებელი. დასავლეთი საქართველოდან აღმოსავლეთისკენ მოკლე გზა გადმოდიოდა ლიხის ქედზე.

მოკლილი გზები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა დიდად განაპირობებდა ვაჭრობის განვითარებას. საქართველოში სავაჭრო ქარავანს მეკობრეთაგან შეიარაღებუ-

ლი რაზმი იცავდა. ქარავნებს უძლვებოდნენ და საბაჟო მოხულეებთან მოლაპარაკებებს მართავდნენ ქარავანთუხუცესები. ქარავანთუხუცესებად ინიშნებოდნენ დიდვაჭრები, რომლებიც ქალაქში მრავლად იყვნენ და განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ. დიდვაჭრები ექვემდებარებოდნენ ვაჭართუხუცესს, რომელიც მართავდა სავაჭრო ორგანიზაციას და იყო შეამავალი რგოლი სამეფო ხელისუფლებასა და ვაჭრებს შორის. დიდვაჭრის სიცოცხლე კანონმდებლობით თორმეტიათას თეთრად იყო შეფასებული, ჩვეულებრივი ვაჭრის – ექსიათასად, ანუ იმდენად, რამდენადაც ჩვეულებრივი აზნაურისა. შედარებისათვის – გლეხის სიცოცხლე თოხას თეთრად ფასობდა.

აღნიშნულ ეპოქაში სავაჭრო კაპიტალი თავის ორბიტაში ითრევდა ფეოდალურ არისტოკრატიას. მრავალი მათგანი მჭიდრო კავშირში იყო ქალაქებთან და მათ დაპატრონებასაც ახერხებდა. მაგალითად, ფეოდალი შანშე მხარგრძელი 15 ქალაქის მფლობელი იყო. ქალაქში მცხოვრებთა უმრავლესობა მსხვილი მოძრავი ქონების მფლობელი იყო და ქონებრივი ცენტოთ აღზევებულთა წრეს წარმოადგენდა. მათი და უძრავი ქონების მესაკუთრეთა ინტერესები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ამ ფაქტორს კი ცენტრალიზებული სახელმწიფო სეპარატისტ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტიანად იყენებდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ქალაქები და ვაჭართა კლასი გულუხვად აფინანსებდა სამეფო ხელისუფლებას.

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა პქონდა ირანთან, ბიზანტიასთან, სომხეთთან, იტალიის ქალაქებთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, რუსეთთან, ინდოეთთან, ჩინეთთან. ამ ქვეყნებიდან საქართველოში ძირითადად იმპორტირდებოდა მრავალი სახეობის ძვირფასი ქსოვილი, სანელებლები, შაქარი, ძვირფასი თვლები, ცხენის აღკაზმულობა, იარაღ-საჭურველი, ბეწვეული, ნელ-

საცხებელი, საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვა. დავით აღმაშენებელმა, უცხოეთის სტრატეგიული ბაზრების დაუფლების მიზნით, კონტროლი დაამყარა ანისის, განჯის, კახის, შემახიას და დარუბანდის სავაჭრო გზებზე. სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების შესაბამისად საქართველოს ბაზარზე აღგილობრივ მონეტებთან ერთად უცხო ქვეყნების მონეტებიც იყო ბრუნვაში, კერძოდ, პერპერა, ბოტინატი და დრაკანი-კონსტანტინატი, დრაპმა, დანგი და სხვა, რამაც პრიმიტიული ფორმის სავაჭრო-საკრედიტო დაწესებულებების წარმოშობა განაპირობა.

XII ს. საქართველოში მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით და მეურნეობის ინტენსიფიკაციის მიზნით ხელისუფლებამ პრიორიტეტულად მიიჩნია აგრარული მეურნეობისა და აგროტექნიკულოგიების განვითარება. ამ სფეროშიც, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდებოდა, როგორიცაა ჰიდროტექნიკური, კერძოდ, საირიგაციო სისტემის გაყვანა-მოწესრიგება. სრულყოფილი და მასშტაბური (119 კმ.) სარწყავი არხი გაიყვანეს კახეთში, ალაზნის ველზე, რომლის მეშვეობით 53 000 ჰექტარი მიწის გასარწყავება გახდა შესაძლებელი. 20 კმ. სიგრძის სარწყავი არხი არსებობდა სამგორში, ასევე ტირიფონის ველზე და რუის-ურბისის მიდამოებში. დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად განსხვავებულ სარწყავ სისტემას – მუხრანის ე.წ. რუსხმულს. ეს იყო მრავალ კილომეტრზე გაჭიმული, 6 მ. სიმაღლის ხელოვნურად შეზღინულ მიწაზე გატარებული არხი. აიგო 7 კმ. სიგრძის სხალტბა-შიომდგიმის წყალსადენი, რომელიც შიომდგიმის სავანეს დღედამეში 243 000 ლიტრ წყალს აწვდიდა.¹ ეს საშუალებას იძლეოდა მიეღწიათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი დონისთვის, მიეღოთ პოლიმორფული მარცვლეული და პარკოსანი კულტურები, ეწარმოებინათ სხვადასხვა ხარისხის დვინო და ა. შ.

¹ივ. ჯავახიშვილი, თხ. ტომი II. თბ., 1983, გვ. 418.

სოფელს მემამულე მართავდა მამასახლისის და დაბალი რანგის მოხელეების – გზირების მეშვეობით. მამასახლისი კრევდა გადასახადებს და წყვეტდა, თუ სად უნდა წასულიყო გლეხი სამუშაოდ. სოფლად უმთავრესად შერტულ მეურნეობას მისდევდნენ, პერძოდ, მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას, მებაღეობა–მებოსტნეობას და, რა თქმა უნდა, მევენახეობას. ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიუხედავად მარანი ყველას ჰქონდა. თუკი ვენახის გაშენების პირობები არ არსებობდა, შემოდგომაზე დვინოს ყიდულობდნენ ან ცვლიდნენ საქონელ-სა და ხორბალზე, ან ყურძენს ყიდულობდნენ და წურავდნენ.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დარგი იყო მებრეშემეობა, რომელზეც დიდი მოთხოვნა არსებობდა ადგილობრივსა და საგარეო ბაზარზე. განვითარებული იყო ასევე სელის წარმოება. მისგან გამოხდილ ზეთს გააჩნდა არა მხოლოდ მაღალი კებითი ღირებულება, არამედ იგი იყო უმაღლესი ხარისხის საწვავი მასალა და ბაზარზე ძვირად ფასობდა. მისი ყიდვა საზოგადოების დაბალ ფენას არ შეეძლო. მაღალ ღონეზე იყო განვითარებული მეფუტკრეობა. მოშენებული ჰყავდათ განსაკუთრებული, ენდემური ჯიშის ქართული ფუტკარი და აწარმოებდნენ დიდი რაოდენობის თაფლს და ცვილს, რაზეც ადგილობრივსა და საგარეო ბაზარზე დიდი მოთხოვნა იყო. მეურნეობის უძველესი, ტრადიციული და პრიორიტეტული დარგი იყო მევენახეობა-მეგვინეობა. ქართული დვინო დიდი რაოდენობით ექსპორტირდებოდა ხომეთში, მიდიასა და სპარსეთში. ასევე ექსპორტირდებოდა ცხენები, საბრძოლო იარაღი (ხანჯალი, ხმალი, კარპაჭი), ბამბა, მატყლი და ტყავი, კაკალი და თხილი, რომელიც მხოლოდ ერთი ქალაქიდან ოთხი ათასი დატვირთული აქლემით გადიოდა. ეკონომიკის ტრადიციულად წარმატებული დარგი იყო მეთუნეობა. გარდა კერამიკის ჭურჭლისა, ხორ-

ციელდებოდა სამშენებლო კერამიკული მასალის – აგურის, კრამიტის, მოსაპირკეთებელი ფილების ექსპორტი. საქართველოში წარმოებული სამშენებლო მასალა განსაკუთრებული სიმტკიცითა და ხარისხით გამოიჩინდა.

დავით აღმაშენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ვაჭრობის განვითარებას, მისი გააქტიურებისთვის იგი შედავათებს უწესებდა არაბ და სპარს ვაჭრებს, გარდა ამისა, სომხები ჩამოასახლა გორში, რათა ამ რეგიონში განვითარებინა ვაჭრობა. თბილისი იქცა იმდროინდებილი მსოფლიოს ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრად, ამისა შედეგად აღმოსავლეთში მოღვაწე ევროპელი ვაჭრებისგან ევროპაზე მეტ სარგებელს საქართველო ნახულობდა. აღმაშენებელმა არჩევანი ერთადერთი მიმართულებით გააკეთა: როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ინტერესები საქართველოს ინტერესებს დაუქვემდებარა და მართებულადაც, რადგან საქართველოს მიმართ ასევე ყველას საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა. საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის მუდმივად სადაცო საკითხი – დასავლეთი, თუ აღმოსავლეთი, მტრობა, თუ პარტნიორობა, ყველაზე უფასებიანად, ანუ საქართველოს საკეთილდღეოდ მხოლოდ დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა. მან გამოიყენა როგორც კონფლიქტი სელჩუკებსა და ჯგაროსნებს შორის, ასევე მათი სავაჭრო ინტერესებიც. ევროპელ ქრისტიანთა მხარდასაჭერად ჯვაროსნულ ლაშქრობებში აგზავნიდა მეომრებს, ებრძოდა მუსულმანებს და ამავე დროს, თბილისელი მუსულმანებისთვის ყველაზე დაბალ გადასახადს აწესებდა. აქედან გამომდინარე, აღმაშენებლის საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობა მტრებისთვისაც კი მეტად ხელსაყრელი ხდებოდა.

დავით აღმაშენებლის რეფორმებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფულის რეფორმას. შეიცვალა ფულის გარეგნული მხარე. მონეტაზე გამოისახა ცხენოსანი მეფე არაბული წარწერით – „მეფეთ-მეფე დავით გიორგის ძე მესის მახ-

კილი”. ამავე პრინციპით მოიჭრა შემდგომში გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა გიორგის სპილენძის მონეტებიც. ვალუტა ვერცხლის ნაცვლად სპილენძით იჭრებოდა, ოდონდ ვერცხლის კურსით, ანუ სპილენძის ფული გამოცხადდა „თეთრად” – ვერცხლის ფულად. ამ აქციის სავარაუდო მიზეზად მიიჩნევა ადმოსავლეთის ქვეყნების ვერცხლის საბადოების გამოფიტვა და ადმოსავლური ვერცხლის მონეტების დასავლეთისა და წრდილოეთის ქვეყნებში მასობრივი გაზიდვა.

ფულზე მოთხოვნის ზრდას, გააქტიურებული ვაჭრობის გარდა სახელმწიფო ხარჯების ზრდაც განაპირობებდა, კერძოდ, დაქირავებული ჯარის შენახვა და სამხედრო ოპერაციების ხარჯები, სახელმწიფოს განადგურებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. აღმაშენებელი სავალუტო ლითონის გამოცვლით შეეცადა ფული დაემაგრებინა სახელმწიფოს ფარგლებში, ანუ ხელი შეშალა მისი გადინებისთვის. თუკი საქართველოში მოჭრილ დაბალი ღირსების ლითონის (სპილენძის) ფულს ვერცხლის კურსი ჰქონდა მინიჭებული, სხვა ქვეყანაში გასვლისას მას ეცვლებოდა კურსი და იძენდა დაბალი ღირსების ლითონის კურსს, რაც მისი გადინების მოტივაციას ამცირებდა. გარდა ამისა, სპილენძის მონეტის ტრანსპორტირება როგორი იყო, ვინაიდან, იმ პერიოდში ვერცხლსა და სპილენძს შორის შეფარდება იყო – 1 : 60. აქედან გამომდინარე, პირობითად 1 კგ. ვერცხლის შესაბამისი ღირებულების სპილენძის მონეტა იწონიდა 60 კგ.-ს, რისი ტრანსპორტირებაც გაცილებით როგორი იქნებოდა. ამგვარად, ამკრძალავი ადმინისტრაციული ღონისძიებების ნაცვლად ეფექტიანად იქნა გამოყენებული ეკონომიკური ღონისძიება.

აღმაშენებლის ეპოქას უკავშირდება სამხედრო რეფორმის გატარება, რამაც დიდად განაპირობა მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ციხე-ქალაქებს იცავდა საჯარო გარნიზონები, რეგულარული არმიის ჩამოყალიბების მიზნით კი ჩამოსახლე-

ბულ იქნა ყიფჩადთა დაახლოებით 40 000 ოჯახი (სავარაუდოდ 225 000 სული), ყიფჩად მეომრებს სახელმწიფო არ ქირაობდა, არამედ მათი თითოეული ოჯახი ვალდებული იყო ერთი მეომარი გამოეყვანა. რეგულარული არმიის მეომრების რაოდენობა 60 000-ს აღწევდა¹. შეიქმნა კარგად გაწვრთნილი, შეარაღებული და დისციპლინირებული პირველხარისხოვანი არმია, რომლის მეომრებსაც ეკრძალებოდათ ბრძოლაში მოპოვებული ალაფის მითვისება, როგორც ეს მანამდე ხდებოდა, მათ ენიშნებოდათ ჯამაგირი. სამხედრო ბეგარისგან არ თავისუფლდებოდა არავინ, გარდა არასრულწლოვანების, მოხუცებისა და ხეიბრებისა. ყოველი წოდების წარმომადგენელს ჰქონდა სამხედრო-მატერიალური ვალდებულება და ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი წოდებას კარგავდა.

XII ს-ის მეორე ნახევრიდან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების და ვაჭრობის განვითარების გზაზე დიდ დაბრუკოლებად იქცა ქურდობა და მექობრეობა. სავაჭრო-საქარავნო გზებზე გადაადგილება არ იყო უსაფრთხო. 1170 წლით დათარიდებული სიგელი ცხადყოფს, რომ არსებობდა საგანგებო, ე.წ. ორგანიზაცია ქურდებისა და ყაჩადების გამოსავლენად და დასასჯელად. 1179 წ. გიორგი მესამემ უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით საგანგებოდ შეკრიბა დარბაზი, სადაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქარავნო გზაჯვარედინებზე აღმართულიყო სახრჩობელები და ხალხის თვალწინ მომხდარიყო შეპყრობილი მექობრე-ყაჩადების დასჯა. ჩამოხრჩობილთან ერთად ძელზე მოპარულ საქონელსაც ჰკიდებდნენ, რათა ხალხისთვის ეს მკაცრი ზნეობრივი გაკვეთილი ყოფილი ყოფილიყო. საგულისხმო ფაქტია, რომ სახელმწიფო სამქებრო ორგანოები დაზარალებულის საჩივარს კი არ ელოდნენ, არამედ თავად ეძებდნენ კანონის დამრღვევს.

¹ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტომი II. თბ., 1983, გვ. 215.


Main Characteristics of Social-Economic Development of Georgia in XI-XII centuries

M. Gudushauri

The history of social and economic development of Georgia in XI and XII centuries is especially important. Some of the fundamental reforms were carried out during this period. These reforms brought political and economic power to Georgia. Systematic political changes were made in accordance with the economic policy of the state. After implementation of these reforms the country's economic advance began. The development of cities and towns and their economy was especially fast.

At the end of XI century and in the XII century the main priority Georgia's economic policy was improvement of infrastructure. There was a large commercial line in the South of the Caucasus which connected the East and the West parts. All the trading roads of Asia Minor went through Tbilisi. Good infrastructure played an important role in the development of trade.

Davit the Builder paid special attention to the development of trade. Currency reform played an important role as well.



**ნუდარ ბაზრატიონი
გურამ თავართქილაძის სახწავლო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი**

საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება ობიექტურად განაპირობებს კორპორაციული საკუთრების და ურთიერთობათა ზრდა-განვითარების პროცესს. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ის საკუთრების გაბატონებულ და მზარდ სექტორს წარმოადგენს, რასაც განაპირობებს კაპიტალის კონკენტრაციის და მობილურობის დიდი შესაძლებლობები და ფირმის, კორპორაციის მმართველობის ფორმის სრულყოფილება. ეს უკანასკნელი თავის კონცენტრირებულ გამოხატულებას აქციონერული საზოგადოების (საწარმოს) მართვის დემოკრატიულ ფორმასა და მის მაღლ ეფექტუანობაში პოულობს. განსხვავებით საკუთრების სხვა ფორმებისათვის დამახასიათებელი მმართველობისაგან, კორპორაციული საკუთრების მმართველობა ყველაზე მეტად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მენეჯერებმა შეათანხმონ მის მფლობელებთ - აქციონერებთ ყველა მნიშვნელოვანი (განსაკუთრებით სტრატეგიული) გადაწყვეტილება, თვიანთ საქმიანობაში მაქსიმალურად გაითვალისწინონ და იხელმძღვანელონ მესაკუთრეთა ინტერესებით. საქმიანობაში ინტერესთა ასეთი პარმონიულობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემყარება კორპორაციის ხელმძღვანელობის მისწრაფებას უზრუნველყოს მესაკუთრეთა (აქციონერების) ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმიზაცია კორპორაციის საქმიანობის სრულყოფისა და განვითარების საფუძველზე.

მენეჯმენტის საბოლოო მიზნებზე, რაც საბოლოო ანგარიშით, ფოქსირდება მესაკუთრეთა ინტერესების მაქსიმალური

გათვალისწინების საფუძველზე მათი კეთილდღეობის ზრდაზე ზრუნვასა და კორპორაციის განვითარების უზრუნველყოფაში, მიუთითებს ამ საკითხით დაინტერესებული ზოგიერთი მეცნიერი¹. მაგრამ, აქ გასარკვევია ის, თუ რა შეიძლება იყოს ის ეკონომიკური კრიტერიუმი, რომელ შიც კონკრეტიზდება აქციონერებზე ზრუნვასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილებების სისწორის ხარისხი? ამ საკითხს აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

მართველობითი ფუნქციის სირთულიდან გამომდინარე, მენეჯერის ფუნქციები და ამოცანები მეტად მრავალსახოვანია, ამასთან, სხვადასხვა ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორთა გაფლენით ის დროში მნიშვნელოვნად იცვლება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მენეჯერების საქმიანობის მარეგლამენტირებელი ძირითადი ამოცანების და წესების ჩამოყალიბება, რომელიც მათ მისცემდა ფირმის ოპერატიული და ეფექტური მართვის საშუალებას, ყოველ მოცემულ მომენტში კონკრეტულ საკითხზე აქციონერების შეხედულებების თუ სურვილების დადგენა-შესწავლის გარეშე (რაც პრაქტიკულად შეუძლებელიცაა). სწორედ ამისთვისაა საჭირო ასეთი ერთიანი კრიტერიუმი, რომელზეც გადაწყვეტილებების მიღებისას ორიენტირებული იქნებიან მენეჯერები.

მიგვაჩნია, რომ ასეთი შეიძლება იყოს ორი მაჩვენებელი: აქციათა საბაზო დირექტულებისა და დივიდენდების ზრდის მაქსიმიზაციის მაჩვენებლები. ჩვენი მოსაზრება ემყარება ინვესტორის მიერ აქციების შეძენის მოტივაციას: უზრუნველყოს ინვესტირებული კაპიტალის ანუ ქონების მაქსიმალური ზრდა და ინვესტირებული კაპიტალიდან მიიღონ რაც შეიძლება დიდი შემოსავალი, დივიდენდი. ცხადია, ამ ფაქტორებს აქციონერთა მხრივ ალტერნატივა არ ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეობაში გამორიცხული იქნებოდა რისკის ფაქტორი, მაგრამ ის რეალურად არსებობს. მაღალი სარისკო პროექტის ალტერნატივაა -დაბალი სარისკო. მაღალი რისკი, დაბალისაგან განსხვავებით, ასოცირდება უფრო დიდ ზარალთან, თუმცა, ის უფრო დიდ შემოსავალს გვპირდება. აქედან გამომდინარე, არჩევანის გაკეთებისას აქციონერთა

¹ა. გაბელაია, ფინანსები, თბ., 2011, გვ.20.

პოზიციები შესაძლებელია გაიყოს: კაპიტალის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება საშუალებას აძლევს აქციონერებს კორექტიფები შეიტანონ თავიანთი აქციების პორტფელის რისკის ხარისხში საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ კორპორაციის დონეზე როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მენეჯერმა, რომ უნდა იხელმძღვანელოს მან? მიგვაჩნია, რომ ასეთ კრიტერიუმს წარმოადგენს რისკი იმისა, თუ როგორ იმოქმედებს მოცემული გადაწყვეტილება კორპორაციი აქციების საბაზრო დირექტულებაზე. პასუხობს ის საბაზრო კონიუნქტურის არსებულ პირობებში ან თვალსაწიერ მომავალში აქციათა საბაზრო დირექტულების მაქსიმიზაციის მოთხოვნას თუ არა? ცხადია, სწორი გადაწყვეტილების მიღება მენეჯერისგან მოითხოვს ეკონომიკური პროცესების ცოდნას, ანალიზს და პროგნოზირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ კონკრეტულად გვაინტერესებს მენეჯერის ძალისმევის კრიტერიუმის საკითხი, რის გამოც მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვისაგან თავს ვიკავებთ.

რაც შექება გადაწყვეტილებას კრიტერიუმის მეორე, დივიდენდის მაქსიმიზაციის უზრუნველყოფის საკითხს: ავტორების მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯერების ძირითადი ამოცანა კორპორაციის მოგების მაქსიმიზაციით შემოიფარგლება, რამდენადაც ის დივიდენდების ზრდის საფუძველიცაა. ცხადია, ეს კრიტერიუმი ხშირად იგივე გადაწყვეტილების მიღებას გვპარნახობს, რაც აქციონერთა სიმდიდრის მაქსიმიზაციის შემთხვევაში, ვინაიდან მისი ზრდა აქციათა საბაზრო დირექტულების ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნული კეთილდღეობის ზრდის მაქსიმიზაციის ეს ორი კრიტერიუმი შინაარსობრივად იდენტური არ არის. აქციათა საბაზრო დირექტულების ზრდას ბაზარზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის და კორპორაციის ეკონომიკური სტრატეგიის ცვლილება ადვილი შესაძლებელია არ მოჰყეს დივიდენდების ზრდა ან მოჰყეს მაგრამ ის შორს იყოს მაქსიმუმისაგან (მაქსიმიზაციისაგან). ამ უკანასკნელის შემთხვევაში აღბათობის, ანუ რისკის ფაქტორი აქციათა საბაზრო დირექტულების ზრდასთან შედარებით გაცილებით დიდია. სწორად მიგვაჩნია ცნობილი ავტორის პეტილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოგვ-


ბის მაქსიმიზაციის პროცესი, ხშირად მენეჯერებს უბიძგებს მა- დალრისკიანი პროექტების რეალიზაციისაკენ, რაც ყოველთვის არ შეესაბამება აქციონერების ინტერესებს¹. ამასთან, გაცილებით როულია ალტერნატიული პროექტებიდან შესაძლო რისკების გათვალისწინებით იმის გარჩევა, თუ რომელი მათგანი პასუხობს მოგების (როგორც დივიდენდების წყაროს) მაქსიმიზაციის შესა- ძლებლობას. აქედან გამომდინარე, კორპორაციის აქციონერების კეთილდღეობის ზრდის შესაფასებლად საკმარისი არ არის სწორი გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯერმა იხელმძღვანელოს ზე- მოთ აღნიშნული ორი კრიტერიუმის მაჩვენებლიდან მხოლოდ ერთი რომელიმეთი. საჭიროა ორივეს გათვალისწინება - მათი გაზომვა, შეპირისპირება, არჩევანის გაკეთება. მხოლოდ ამ გზი- თაა შესაძლებელი დასაბუთებული, სწორი მმართველობითი გადა- წყვეტილების მიღება, რომელიც ერთდროულად პასუხობს როგორც საერთოდ კორპორაციის, როგორც სამურნეო სუბიექტის, ასევე, მისი მფლობელების - აქციონერების ინტერესებს უზრუნველყო- ფილ იქნეს როგორც სააქციო საზოგადოების, ასევე მისი მფლო- ბელების კეთილდღეობის მაქსიმალური ზრდა.

Corporate Governance Decision Criteria

N. Bagrationi

The establishment of market relations objectively determines the necessity of improvement of corporate property management. The paper discusses correct managerial decision making criteria in corporation management. The criteria, which meets both the interests of corporation and its owners and shareholders is orientation to increasing and maximizing the welfare of corporation managers and shareholders. The author considers that for evaluation of the above-mentioned criteria in corporation management, two parameters should be applied to. These are: increasing the market value of shares and the criteria for maximizing the dividends. The paper provides both the common and the different features of these criteria. It's properly concluded that it's necessary to use both of them for making right managerial decisions.

¹ П.Этрилл. Финансовый менеджмент (для неспециалистов) 3-ое издание. Питер, 2006. стр. 54.



კასილ ხილანდიშვილი
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი, დოქტორანტი

კულტურა როგორი ჰქონის, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენდა და ახდენს ეკონომიკაზე. იგი ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც თავისი ფასეულობებით და ნორმებით გვევლინება ადამიანის ეკონომიკური ქცევისა და შრომითი საქმიანობის რეგულატორად. კულტურა ასრულებს ეკონომიკური განვითარების „საზოგადოებრივი მეხსიერების“ როლსაც, ასახავს რა წინა თაობათა მიერ დაგროვილ ეკონომიკურ გამოცდილებას, რომელიც გამოიყენება თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში.¹ კულტურა ერთნაირად ზემოქმედებს მატერიალური სიკეთის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებზე, როთაც არსებულ მოცემულობათა გათვალისწინებით წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების ან მის შემაფერხებელ ფაქტორს. ამიტომ, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის შესწავლისას, დაუშვებელია სხვა ფაქტორებთან ერთად კულტურული ფაქტორების იგნორირება.²

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება, შეიძლება ითქვას, გვერდს უვლის კულტურის ფაქტორს. უკანასკნელ წლებში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვექნების გამოცდილებამ დაგვარუნენა, რომ საქმარისი არ არის კერძო სექტორის დაფუძნება, ბაზრების ლიბერალიზაცია და ფულადი სტაბილიზაცია. საჭიროა

¹ Экономическая культура как фактор развития экономики. <http://www.iteconomic.com/economicskaya-kultura-kak-faktor-razvitiya-ekonomiki.aspx>

² Надель С. Социальные факторы экономического роста//Мировая экономика и международные отношения, 2005, №5, с. 26.

კულტურის, როგორც ეკონომიკის ფუნქციონირების წინაპირობის, არსებობაც, რადგან ეჭვგარეშეა, რომ ეთნოსების, კონფესიებისა და მოსახლეობის ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული და ჩვეულებები, როგორც კულტურის ორგანულად შემადგენელი ელემენტები, სერიოზულ გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ მიღწევებზე.

ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, სახელმწიფო მართვის სფეროს სპეციალისტის - ედვარდ ბენ-ფილდის მიერ 1958 წელს კვლევის შედეგად მიღებული ის დასკვნა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების დაბალი ტემპები, გარკვეულწილად, მოცემულ ქვეყანაში ჩამოყალიბებული და არ-სებული კულტურული სისტემით შეიძლება აიხსნას.¹

ასევე საყურადღებოა ამერიკელი პოლიტოლოგის - რობერტ პარმენის პიპოთეზა - რაც უფრო „ალტრუისტულია“ საზოგადოება, მით მაღალია მასში მოქმედი პოლიტიკური და სახელმწიფო სტრუქტურების ხარისხი.²

ისტორიკოსმა და ეკონომიკოსმა დევიდ ლანდესმა დაასაბუთა, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის წარმატებებსა და მისი მოსახლეობის ისეთ თვისებებს შორის, როგორიცაა: მომჭირნეობა, პატიოსნება და შემწენარებლობა, ხოლო ისეთი თვისებები კი, როგორიცაა: ქსენოფობია, რელიგიური შეუწყნარებლობა, კორუფცია მოსახლეობის ფართო მასების სიღარიბესა და ეკონომიკის განვითარების დაბალ ტემპებს განაპირობებს. დევიდ ლანდესი ეთანხმება მაქს ვებერის მოსაზრებას ეკონომიკურ წარმატებაში რელიგიის მნიშვნელობის შესახებ. იგი წერს, რომ თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ისტორიას, მივალთ დასკვნამდე, რომ ეკონომიკური განვითარების დონეებში ქვეყნების თითქმის ყველა განსხვავება არსებითად კულტურით აიხსნება.¹

¹ Edward C. Banfield (with Laura Fasano), *The Moral Basis of a Backward Society* Glencoe, IL: The Free Press, 1958.

² Robert D. Putman with Robert Leonardi and Raffalella Y. Nanetti., *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy.*, 1993, Princeton, Nev Jersey.

³ David S. Landes. *The Wealth and Poverty of Nations: Why Some Are So Rich and Some So Poor*. New York, 1998.

იტალიურმა ეკონომისტმა გვიდო ტაბელინიმ გაანალიზა განათლების დონე და პოლიტიკური ინსტიტუტების ხარისხი ევროპის 69 ქვეყანაში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მშპ-ს მოცულობა და ეკონომიკური ზრდის ტემპები მაღალია იმ რეგიონებში, სადაც ადგილი აქვს ურთიერთნდობას, ადამიანის ინდივიდუალურ ინიციატივაში რწმენას და კანონისადმი მორჩილებას. მისი აზრით, „არსებულ კულტურულ თავისებურებებთან უშეალოდ არის დაკავშირებული არა მხოლოდ ევროპის რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხასიათი და ბუნება, არამედ ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარებაც...”¹

სწავლული ეკონომისტები ლუიჯი გუიზო, პაულა საპიერზა და ლუიჯი ზინგალესი ამტკიცებენ, რომ კულტურა პირდაპირ ზემოქმედებს ეკონომიკაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში სწორედ ეკონომიკური სისტემა აყალიბებს საზოგადოების კულტურას. თუმცა, კულტურული ფასეულობები ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ყოველთვის არ განიცდის ცვლილებას. ნელი ცვლილებები კულტურულ განვითარებაში აისხნება მემკვიდრეობითი ინფორმაციის თაობიდან თაობაში გადაცემის მიდრევილებასა და სწრაფვაში, ასევე იმით, რომ ტრადიციები მდიდრდება და ახალი შინაარსით განაგრძობს არსებობას.

ტრადიციული კულტურული ფასეულობები მიჩნეული უნდა იქნეს როგორც ეკონომიკის მყარი განვითარების საფუძველი.² კულტურა განსაზღვრავს ადამიანის შეხედულებებს ცხოვრებაზე, მის დამოკიდებულებას გარემოსა და მიმდინარე მოვლენებთან, და უმთავრესი, ის ჩართულია ადამიანური ქცევის მოტივაციაში, განსაზღვრავს რა მთელ მის მოქმედებას, მათ შორის ეკონომიკურ ქცევას. სხვანაირად, მოტივაციის მექანიზმის საშუალებით კულტურული ფასეულობები და ნორმები არეგულირებს ადამიანთა ეკონომიკურ ქმედებებს. ამგვარად, ეკონომიკურ ქცევებში არსებობს კულტურული დიმენსია.³

¹ <http://ideas.repec.org/p/ces/ceswps/1492.html>

² Ивлев: Влияние культуры на экономику бесспорно., www.er-oren.ru/index.php?...

³ Culture and Economic Development: Cultural Concerns, გვ. 3130, [sais.jhu.edu/faculty/fukuyama/articles/ib505010.pdf](http://jhu.edu/faculty/fukuyama/articles/ib505010.pdf)

არსებობს კარდინალურად საპირისპირო შეხედულებებიც, როთაც იგნორირებულია კულტურის დომინანტური ფაქტორი ეკონომიკურ ურთიერთობებში. მაგალითად, პიტერ ჯ. ბიეტას აზრით, ნაკლებად მნიშვნელოვანია ის, თუ რა ტიპის საზოგადოება (ეს იქნება ქრისტიანული, მუსულმანური, იუდაისტური, თუ გნებავთ, ათეისტური) მონაწილეობს ეკონომიკურ პროცესებში. მისთვის გადამწყვეტია პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუტების არსებობა. იქ, სადაც არ არსებობს იმგვარი ინსტიტუტები და პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კერძო საკუთრების გარანტიებს, ხელშეკრულებათა დადების თავისუფლებას, სახელმწიფო რეგულირების შეხდუდულობას, ფინანსურ დისციპლინას და გაჭრობის თავისუფლებას, შეუძლებელია ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე მსჯელობა. ბიეტა მიიჩნევს, რომ რა უპირატესობასაც არ უნდა ფლობდეს ესა თუ ის კულტურა, არ მოხდება მისი რეალიზება, თუ ამ სივრცეში არ იარსებებს ზემოთ აღნიშნული ფაქტორები.¹ კულტურული ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპებზე ასევე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის განსხვავებულობაც, რისი ნათელი მაგალითიც არის ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა, მათი ეკონომიკური განვითარების მასშტაბებს შორის არსებული სხვადასხვაობა ამ ორი ქვეყნის საერთო კულტურული ერთობის მიუხედავად.²

მაშასადამე, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გასაღებია არა მოსახლეობის კულტურული ტრადიციები, არამედ ეკონომიკური თავისუფლება. კულტურა, შესაძლოა, ახდენს გარკვეულ ზეგავლენას ეკონომიკურ სიტუაციებზე, მაგრამ უმთავრესი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური მაჩვენებლების განსხვავებულობას, არის თამაშის ის წესები, რაც განსაზღვრავს ადამიანებს შორის ერთმანეთზე, და მათსა და ბუნებრივ რესურსებს შორის ურთიერთქმედებას.³

¹ www.inliberty.ru/library/study/322

² Jim Granato, Ronald Inglehart, David Leblang, The Effect of Cultural Values on Economic Development: Theory, Hypotheses, and Some Empirical Tests. გვ.608,

www.uh.edu/.../TheEffectOfCulturalValuesOnEconomicDevelopment.pdf

³ Концепция „культура имеет значение”: содержание, основы, вопросы. www.inliberty.ru/library/study/322

მიუხედავად ზემოთმოყვანილი საქმაოდ საფუძვლიანი მტკიცებულებისა იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის განვითარების პროცესში კულტურა არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა მისი ამ ფორმით უპირობოდ მიღება, რადგან დიდი ხანია ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყნის და ხალხის ეკონომიკური განვითარების დონეში განსხვავება აიხსნება არა მხოლოდ ეკონომიკურ-პოლიტიკური ფაქტორებით, თუნდაც ეს იყოს „წარმოების ფაქტორები”, არამედ დიდწილად სწორედ კულტურული ფაქტორებითაც. მაგალითად, ზემოთ ხახსენებ მეცნიერ-ეკონომისტებს - დ. ზინგალეს. პ. საპიერზას და ლ. გუიზოს შემოაქვთ „სამოქალაქო კაპიტალის” ცნება, რაც წარმოადგენს მოქალაქეობრიობის მაჩვენებელს და ამავე დროს „სოციალური კაპიტალის” კონცეფციის ერთ-ერთ ვარიანტს, რომლის არსია ის, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევა შესაძლებელია საკუთარი რესურსების უშურველად გაღებით. „სოციალური კაპიტალის” ფორმას, „მოქალაქეობრიობასთან” ერთად, წარმოადგენს ისეთი კულტურული ფაქტორი, როგორიცაა „ნდობა”, რომელიც „მოქალაქეობრიობასთან” ერთად უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე, რასაც მოწმობს შემდეგი სტატისტიკური მონაცემებიც: აფრიკის ქვეყნებში (მცირვლდენის გამოკლებით) ნდობის ხარისხი რომ იყოს ისეთივე მაღალი, როგორიცაა შვედეთში, მაშინ ზოგიერთი შეფასებით შშპ-ის მოცულობა შავ კონტინენტზე იქნებოდა 546%-ით, ხოლო რუსეთსა და მექსიკაში 60%-ით უფრო მეტი, ვიღრე ახლა არის.¹ რასაკვირველია, ამ მაჩვენებლების აბსოლუტურ ჭეშმარიტად მიღება არ შეიძლება, თუმცა მათი ხელაღებით უგულვებელყოფაც არასწორია. ამაზე ისიც მიანიშნებს, რომ თვით ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, პროფ. ჯეფრი საქსი, რომელიც საერთოდ სკეპტიკურადაა განწყობილი ეკონომიკაში კულტურული ფაქტორების მიმართ, საჭიროდ მიიჩნევს ეკონომიკაზე ამა თუ იმ ზომით მისი გავლენის აღიარებას.² მისი აზრით, „მაშინაც კი, როცა ხე-

¹ Гражданские ценности. Можно ли измерить влияние культуры на экономическое развитие. www.forbes.ru/.../47475-grazhdanskie-tsennosti

² Nathan Glazer, David Landes, Seymour Martin Lipset, Orlando Patterson, Michael Porter, Jeffrey Sachs, and Richard Shweder., Culture Matters: how values shape human progress., New York,2000, გვ. 37.

ლისუფლება სერიოზულად ცდილობს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ მოდერნიზებას, განვითარების დაბრკოლებად შესაძლებელია იქცეს არადეკვატური კულტურული გარემო. მაგალითად, კულტურულ ან რელიგიურ ნორმებს შეუძლია ხელი შეუძლოს ქალებს დირსეული როლი შეასრულონ აღნიშნულ პროცესში, რის შედეგადაც მოსახლეობის ნახევარი მოკლებულია ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებს...”¹

კულტურული ასპექტით, ქვეყნები, რასაკვირველია, განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვაგვარ კულტურულ ნორმებს ძალუბს დიდი ან მცირე ხარისხით ხელი შეუწყოს ამა თუ იმ ინსტიტუციონალური გარემოს აღქმას. ეკონომიკური ოვალსაზრისით, კულტურა არის ადამიანთა ქცევების თვითრეგულირების ინსტრუმენტი, ე.ი. მას შეუძლია შეამციროს ან გაზარდოს ხარჯები განსაზღვრული თამაშის წესების უზრუნველყოფაზე. თუკი ქცევის წესები, რომლებიც ხელს უწოდს ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას, კონკრეტული კულტურული სივრცის ფარგლებში აღიქმება არალეგიტიმურად, მეთვალყურეობის მძლავრი სისტემის არარსებობის შემთხვევაში, ისინი უბრალოდ არც კი იქნება დაცული. ხარჯები ამგვარ მეთვალყურაობაზე შესაძლოა იყოს იმდენად დიდი, რომ მოცემული სოციალური მოწყობის მხარდაჭერა აღმოჩნდეს შეუძლებელი და პირიქით, კულტურული ლეგიტიმაციის პირობებში იზრდება კულტურის ელემენტების ზემოქმედება ადამიანთა ქცევებზე, რომლებიც ხარჯების მინიმიზაციის დროს პოზიტიურ გავლენას ახდენენ ეკონომიკურ განვითარებაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყნები მოსახლეობის უფრო მაღალი კულტურული დონით, ფლობენ გაცილებით უფრო განვითარებულ ეკონომიკას. მსგავს შემთხვევაში, როგორც წესი, მოიაზრება ამა თუ იმ ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი. მაგრამ, ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია კულტურის, როგორც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და ქცევითი კულტურისა და ასევე, საზოგადოებრივი მორალის მდგომარეობა იმ პირობებში,

¹ Jeffrey D.Sachs., The End of Poverty: Economic Possibilities for Our Time. New York, 2005, გვ.218.

როდესაც კულტურა გავლენას ახდენს ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკონომიკის განვითარების დონეზე ზნეობრივი და ციფილიზაციის ხელშემწყობი თრიქნტირების შეთავაზებით მთელი საზოგადოებისათვის.¹

თანამედროვე საზოგადოების განვითარებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა ეკონომიკურ და კულტურულ კავშირურთიერთობებს შესძინა გლობალური ხასიათი.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ზოგადად არც კულტურული და არც რელიგიური ფაქტორი არ არის ეკონომიკური ქცევების ერთადერთი განმსაზღვრელი და არ გააჩნია ექსკლუზიური გავლენა ცალკეული ქვეყნისა თუ რომელიმე რეგიონის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.² მიუხედავად ამისა, კულტურა ზემოქმედებს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია გავლენის მოხდენა ხალხთა ქცევებზე დანაზოგებთან, აღზრდასთან, შრომის ეთიკასთან და ა.შ. მიმართებით.

როგორც ზოგადად კულტურას, ასევე კონკრეტულად კულტურის თითოეულ ფორმას გააჩნია თავისი, საკუთარი უნიკალური პოზიტიური და ნეგატიური კომპონენტები, მაგრამ პოზიტიურ კომპონენტებს ავტომატურად არ ძალუმო უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლების შექმნა სხვა ისეთი აუცილებელი პირობების გარეშე, როგორიცაა: ეკონომიკური პოლიტიკა, ეფექტიანი ინსტიტუციები, ხელსაყრელი მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ა.შ. სხვა სიტყვებით, მხოლოდ ხელსაყრელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში ხდება კულტურა ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ჩინეთის - კონფუციანულობის სამშობლოს - საოცარი ეკონომიკური მიღწევები ეკონომიკური რეფორმების უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში.³

¹ Зэкономика и общественная среда: Взаимосвязь и взаимовлияние.

www.imepi-eurasia.ru/baner/bogomolov.doc

² See Alvin Y. So and Stephen W.K. Chiu: East Asia and the World Economy, Sage Publications, 1995, გვ.8.

³ Jiang Shixue, Cultural Factors and Economic Performance in East Asia and Latin America, გვ. 31.

ეკონომიკასა და კულტურას შორის არსებული ურთიერთქმედება იძლევა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნების ხასიათსა და სოციალურ-კულტურულ მექანიზმებს (ე.ი. ადამიანთა ცხოველმოქმედებისა და ქვევების ფასეულობით-ნორმატიულ რეგულაციებს) შორის კავშირის კვლევის შესაძლებლობას. საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და სხვა ცვლილებები გულისხმობს ადამიანების მიერ ახალი ცოდნის, იდეების, ნორმების, ფასეულობების, ქვევის ნიმუშებისა და მოდელების შეთვისებას. მსგავსი პროცესი ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანთა ქვევებისა და საქმიანობის სოციალურ-კულტურული რეგულირების მექანიზმების აქტივიზაციის დროს, რომელიც იძლევა პროგრესული გამოცდილებისა და ინფორმაციის გადაცემისა და გავრცელების შესაძლებლობებს. ამგვარი რეგულირება ამარტივებს და აქტარებს ახალ ფასეულობათა და ნორმათა შეთვისებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მათ კომფორტულ არსებობას დინამიკურად ცვალებად ეკონომიკურ პირობებში.¹

თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კულტურა ხდება ეკონომიკური პროგრესის ერთ-ერთი სტრატეგიული ფაქტორთაგანი. ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის საჭიროა არა მხოლოდ მეცნიერება, ტექნოლოგიები, არამედ ჰემარიტი კულტურის არსებობაც.

დღეს ეკონომიკასა და კულტურას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას ახასიათებს გარდატეხის მომენტი. მათი დაახლოება იმყოფება საწყის სტადიაზე, თუმცა, ამ წარმატებაზე დიდადა დამოკიდებული კაცობრიობის გადარჩენა. ეკონომიკა უნდა იყოს არა მხოლოდ ეფექტიანი, არამედ ეკოლოგიური და ჰუმანურიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი და ბუნება განწირულია დეგრადაციის, რღვევისა და დაღუპვისათვის.²

ეკონომიკისა და კულტურის კავშირურთიერთობა შინაარსს იქნება მოდერნიზაციის კონტექსტით. კულტურულ ფასეულობათა

¹ Взаимодействие экономики и культуры – Социология.

¹ В.В. Миронов., Философия: учебник для ВУЗов., Взаимосвязь культуры и экономики.

მიმართ გულგრილი დამოკიდებულება სერიოზულ ბარიერს ქმნის მოდერნიზაციის გზაზე.¹ ამიტომ, სოციალური საბაზო ეკონომიკისათვის აუცილებელია განსაზღვრული კულტურული ბაზისი,² სადაც კულტურა განიხილება ორგორც რეალურობის ახსნა-განმარტებისა და შეფასების სისტემა.³

ეკონომიკური წარმატება ხანგრძლივი განვითარების პროცესის შედეგია, რომელიც ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეთა ინტეგრაციით მიიღწევა. ამ პროცესში მხედველობაში მიიღება კულტურული ფაქტორებისა და კულტურული ცვლილებების პრობლემა, რომელთა გათვალისწინება ხელს უწეობს მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების პროცესების არსებით დაჩქარებას.

Culture – the Most Important Factor of Economic Progress


V. Khizanishvili

Culture, as a difficult human phenomenon, has greatest influence on economy and is one of the most important factors for development of economy. Countries with population of higher cultural development have much more highly developed economy. Interrelation of culture and economy defines the nature of economic reforms carried out in a country and social and economic mechanisms. Economic success is the result of a long development, which is achieved by integration of economic and cultural environments. During this process the aspect of cultural factors and cultural changes are also taken into consideration. Taking into account of these aspects promotes acceleration of economic development in the world.

¹ Встреча культуры и экономики., expert.ru/expert/.../vstrecha_kultury_i_ekonomiki/

² Die soziale Marktwirtschaft als Leitbild für Entwicklungsländer?, www.hss.de.../Die_soziale_Marktwirtschaft_als_Leitbild_01.pdf

³ Wimmer, A.: Kultur: Zur Reformulierung eines sozialanthropologischen Grundbegriffs, in: KÖlner Zeitschrift für Soziologie und Sozialpsychologie H.3,S.413, KÖln, 1996.



**ნინო ჭარჟაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თხუ ახორციელებული პროფესორი**

კონფლიქტები, როგორც ადამიანთა სოციალური კავშირების ურთიერთობებისა და ურთიერთქმედების, მათი მოქმედებებისა და ქცევების არსებითი მხარე, უხსოვარი დროიდან იზიდავდა ადამიანთა ცნობისმოყვარეობას. ამის დასტურია სხვადასხვა ხალხის მითოსი, ფოლკლორი და ძველი კულტურის ძეგლები, ანტიკური და შუა საუკუნეების მოაზროვნეთა მსჯელობები, სოციალურ და პუმანიტარულ მეცნიერებათა მიღწევები. კონფლიქტების თეორიამ ამჟამად დამატებითი კონკრეტულობა შეიძინა. კონფლიქტოლოგიის პრობლემატიკის კონტურები უფრო ნათელი გახდა.

კონფლიქტი წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ საშუალებას, რომლის არცოდნით ან უგულებელყოფით მენეჯერი ყოველთვის ამცირებს მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობას.

კონფლიქტების კვლევის თეორიული ასპექტების შემუშავებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ორგანიზაციის სტრუქტურულ-ფუნქციონალურმა მოდელმა, რომლის მიხედვით ნებისმიერი სოციალური სისტემა შედარებით მყარ, სტაბილურ და კარგად ინტეგრირებულ სტრუქტურას წარმოადგენს. ამ სისტემის ყოველ ელემენტს განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია და ამით მის სიმყარეში გარკვეული წვლილი შეაქვს. სოციალური სტრუქტურის ფუნქციონირება ეფუძნება საზოგადოების წევრთა ფასეულებათა თანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელ სტაბილურობასა და ინტეგრაციას.

სოციალური ქმედების ნორმატიული კომპონენტი ვრცელდება ოთხ დონეზე: ორგანიზმი, პიროვნება, სოციალური სისტემა, კულტურა. კონფლიქტის შესაძლებლობა ჩადებულია თავად სოციალიზაციის პროცესში, რომლის მსვლელობისას ადამიანი ეზიარება არა მარტო სოციალური სისტემის ფუნქციონირების ხერხებს, არამედ შესაბამისი კულტურის ნორმებსა და ფასეულობებს. სოციალიზაციის დროს ჩამოყალიბებული შეუსაბამობა და დაბაძლობა შეიძლება ასევე გადაიზარდოს კონფლიქტში.

სოციალურ სისტემაში იგულისხმება ოთხი ფუნქციონალური მოთხოვნის ერთგვარი კოლექტიურობა: გარეგანი ობიექტებისადმი ადაპტაცია, მიზნის მიღწევა, ქვესისტემების ინტეგრაცია, ნორმატიულ-დირექტულებითი ნიმუშის სტრუქტურული ფორმების განახლება. ამასთან, მიზნევა, რომ ადაპტაციას უზრუნველყოფს ეკონომიკური ურთიერთობები, მიზნის მიღწევას – პოლიტიკური პირობები, ინტეგრაციას – სამართლებრივი ნორმები და ჩვეულებები, სტრუქტურის განახლებას – სოციალური ინსტიტუტები, რწმენა და მორალი.

ძალზე არსებითია სოციალური სისტემის შიგა წინააღმდეგ-გობრიობის აღიარება და, მაშასადამე, კონფლიქტების წარმოქმნის რეალურობა. კონფლიქტების მართვის პროცესი, რომელიც კონფლიქტოლოგიას და მენეჯმენტს ემყარება, კომპლექსური ხასიათისაა და პუმანიტარული განათლების გაღრმავების დინებას მიჰყება. მისი შესწავლა უმჯგოვად აფართოებს ადამიანისა და საზოგადოების შესახებ ცოდნის წრეს და ხელს უწყობს როგორც სოციალური ურთიერთობების პრობლემების გაგებას, ასევე მათი გადაწყვეტის ეფექტინი ხერხების გამოყენებას.

ორგანიზაციებში კონფლიქტი ხშირად აღმოჩნდება არა მარტო გარდაუგალი, არამედ მისაღები „გამოსავალი“ პროცესი შექმნილი სიტუაციიდან. ის ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ადამიანთა შორის ერთობლივ საქმიანობაში დარღვეული ურთიერთობის აღდგენის საშუალება, ასევე კერძო და საერთო ინტერესებში, ქცევის ნორმებში შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობაც.

საქმის ამგვარი ვითარებისას საჭიროა კონფლიქტების ობიექტური და სუბიექტური ბუნების შემცნების, მათი უშეალო მიზეზებისა და მოტივების შესწავლა, ორიგნტირება იმაში, თუ რა ფორმით მიმდინარეობს კონფლიქტები და როგორი გზებითაა შესაძლებელი მათი გადაჭრა. კონფლიქტურ პირობებში თანამშრომელთა ქცევის შესწავლა და კონფლიქტების მართვის უნარი ნებისმიერი ღონის მენეჯერისთვის ისეთივე საგალდებულოა, როგორც კოორდინირება, უფლებამოსილების დელეგირება, მოტივაცია, კონტროლი და სხვა.

დღევანდები დინამიკური გარემო დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს ნებისმიერ ორგანიზაციას. ამ პროცესებს მუდმივად თან ახლავს კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტასა და ცვლილებებთან დაკავშირებული კონფლიქტები. სოციალური და პუმანიტარული ცოდნის სფეროდან მოპოვებული მონაცემები აადვილებს საშეალებათა არჩევანს იმისათვის, რომ უფრო მეტად იქნეს გამოყენებული კონფლიქტების დადგენითი პოტენციალი და იმავდროულად მათი ნეგატიური შედეგები მინიმუმადე დაყვანილი.

მენეჯმენტთან მიმართებით მისი ძირითადი დანიშნულებაა აიძულოს ხელმძღვანელი რეალურად შეხედოს კონფლიქტურ სიტუაციებს, დაკმაყოფილდეს არა მხოლოდ ინტეიციითა და ჯანსაღი აზრით, არამედ თანამშრომლებთან მუშაობის პროცეში დაიცვას კონფლიქტების მართვის განსაზღვრული, მეცნიერულად დადგენილი წესები და ხერხები. მეცნიერული მიღგომა გულისხმობს სისტემურად ორგანიზებულ, პრინციპულად სტრუქტურირებულ, მეთოდოლოგიურად ზუსტ ცოდნას საგნის (მოცემულ შემთხვევაში კონფლიქტების მართვის) შესახებ, ორიენტაციას რეალური სამყაროს კანონზომიერებებისა და ობიექტური ჭეშმარიტების შესამეცნებლად. ნებისმიერი მეცნიერება კონსტრუქციულია, გათვალისწინებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების, ახალი პროექტების შემუშავებისა და დანერგვის შესაძლებლობაზე. სოციალური პროცესების მეცნიერული ხელმძღვანელობა, მათ შორის კონფლიქტების რეგულირება, როგორც წესი, ხორციელდება ანალიტიკური გაანგარიშების, სოციალური კავშირებისა და ურთიერთქმედების მონაწილეებზე გეგმაზომიერი და მრავალმხრივი

გავლენის, მეცნიერულად შემოწმებული რეკომენდაციების პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე.

ალდოსა და გამჭრიახობაზე დაფუძნებული ჯანსაღი აზრი და ინტუიცია შეზღუდულია თავის შესაძლებლობებში. თუმცა, ეს მახასიათებლები შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს კონფლიქტური სიტუაციების გაცნობიერების, თავიდან აცილებისა და მოგვარების პროცესში. ამის მეშვეობით მენეჯერებმა შესაძლოა უზრუნველყონ გარემოებებთან პრაგმატული მისადაგება და თუ კონფლიქტი მაინც გარდაუვალია, მაშინ იპოვონ მისგან თავის დაღწევის საუკეთესო გამოსავალი.

რასაკვირველია, კონფლიქტის სხვადასხვა ტიპისა და გადამეტებული სოციალური დაძაბულობის გამოვლინებების შესწავლა საჭიროა არა ცნობისმოყვარეობისა და ცხოვრების პერიპეტიიების შესახებ ცოდნის გამდიდრების მიზნით, არამედ იმისათვის, რომ მოხდეს კონფლიქტების პროფილაქტიკისა და რეგულირების მეთოდების, ხერხებისა და წესების შესწავლა. საჭიროა ნებისმიერმა ხელმძღვანელმა კონკრეტული წარმოდგენა შეიქმნას შერიგების პროცედურებზე, რაც შესაძლებელს ხდის შრომითი, ქონებრივი დავების, სხვა სოციალური კონფლიქტის მონაწილეთა მიყვანას შეთანხმებამდე. მნიშვნელოვანია მზადყოფნა კონფლიქტური ქცევის შესაბამისი სტილის დახასიათება-შეფასებისათვის, ადამიანთა შორის ურთიერთობის მაღალი კულტურის შექმნა-შენარჩუნებისათვის, ურთიერთობაგების, თანამშრომლობის, ფუნქციონალური და სოციალური პარტნიორობისათვის.

მთავარია კონფლიქტების ამოცნობისა და მათი შედეგების წინასწარმეტყველების პარალელურად ვისწავლოთ მათი მართვა. იმავდროულად, უპირობოდ, გამოსაყოფა კონფლიქტურ სიტუაციებში ხელმძღვანელის როლი, მისი ინტელექტუალური და ემოციონალური თვისებები, რაც საჭიროა კონფლიქტების პროფილაქტიკისა და გადაწყვეტისათვის.

ნებისმიერ კონფლიქტურ დაპირისპირებაში ჩადებულია პოზიტიური პოტენციალი. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ კონფლიქტი ხელს უწყობს ინდივიდების სპეციალიზაციას და სოციალური ჯგუფების წარმოქმნას, შიგაჯგუფური და ჯგუფთა-

შორისი ურთიერთობების შედარებით სტაბილური სტრუქტურის შენარჩუნებას, ძალთა ბალანსის შექმნასა და დაცვას, ამა თუ იმ სოციალური პრობლემებისა და ნაკლოვანებების „სიგნალიზაციას“.

ცნობილი ამერიკელი (გერმანული წარმომავლობით) მკვლევარი კოზერი, როგორც ფუნქციონალიზმის პოზიციის მიმდევარი, თავის ნაშრომებში აქცენტს აკეთებდა თანამშრომლობაზე. იგი ხაზგასმით გამოყოფდა კონფლიქტების მნიშვნელობას სოციალური სისტემის, ამა თუ იმ ორგანიზაციის მდგრადობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში¹. ზოგიერთ დასავლეთევროპელ მეცნიერს თავისი მკვეთრად გამოხატული კრიტიკული დამოკიდებულება აქვს სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზისადმი, ისინი სკპატიკურად აღიქვამენ საზოგადოებრივი მოწყობის „წონას-წორულ-ინტეგრაციურ“ მოდელს. მათ შორის გამოირჩევა გერმანელი სოციოლოგი რალფ დარენდორფი, რომელმაც შემოგვთავაზა საზოგადოების კონფლიქტური მოდელის კონცეფცია.

გერმანელი სოციოლოგი მეცნიერი დარენდორფი დაბეჭითებით გვარწმუნებს, რომ საზოგადოება ნებისმიერ მომენტში შეიძლება ცვლილებების მოწმე გახდეს, ნებისმიერ წერტილში შეიძლება გაუდენოთილი იყოს შეუთანხმებლობით და კონფლიქტით. სოციალური სისტემის ყოველი ელემენტი ამა თუ იმ ხარისხით იწვევს ცვლილებებს და დეზორგანიზაციას.

ყოველი საზოგადოება დაფუძნებულია პატონობაზე, იმაზე, რომ ერთნი აიძულებენ და იმორჩილებენ სხვებს. წინააღმდევებობა, კონფლიქტები წარმოიქმნება იმის გამო, რომ ადამიანებს განასხვავებს არა მხოლოდ სოციალური უთანასწორობა, ანუ რესურსების ფლობისა და განაწილების არაერთგვაროვანი ხელმისაწვდომობა, არამედ ბრძოლა ძალაუფლებისათვის, პრესტიჟი და აგრძორიტეტი, არათანაბარი მდგომარეობა ორგანიზაციის მართვის ურთიერთობებში.¹

კონფლიქტი საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ის ყველგან არსებობს, როგორც ნებისმიერი იერარქიულად ორგანიზებული სისტემის გარდაუვალი შედეგი. ადამიანებს გააჩნიათ კონფლიქტების რეგულირების, „სოციალური რეგულირების“

თავიდან აცილების შესაძლებლობები. ამისთვის მნიშვნელოვანია: ჯერ ერთი, კონფლიქტის მხარეებს შორის განსხვავებებისა და წინააღმდეგობების აღიარება; მეორე, მხარეთა ორგანიზაციის დონე – რაც უფრო მაღალია ორგანიზებულობის დონე, მით უფრო ადგილია თანხმობისა და შეთანხმებების მიღწევა; მესამე, განსაზღვრული წესების ორმხრივი აღიარება, რომელთა დაცვა შესაძლებელს ხდის კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობების შენარჩუნებასა და მხარდაჭერას.

XXI საუკუნის ზღურბლზე მსოფლიო ერგატული (გულისხმობს სამი კომპონენტის – ინდივიდის, სოციუმისა და ტექნიკის ერთიანობას) გახდა, კაცობრიობამ შეიძინა გრანდიოზული ენერგეტიკული და ინფორმაციული რესურსები. თუმცა, გაზრდილი შესაძლებლობების დროსაც კი ადამიანს არ ძალუქს საკუთარი თავის ფლობა. ამის შედეგად გარდაუვალია სხვადასხვა მასშტაბის, მნიშვნელობისა და თვისებების კონფლიქტი, რაც ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს პროგრესის სტიმულს და მუხრუჭს, სიკეთეს და ბოროტებას.

სანგრძლივი დროის მანძილზე კონფლიქტი განიხილებოდა როგორც ჰუმანიტარული პრობლემა, რომელიც არ ექვემდებარებოდა ზუსტ გამოკვლევას. მაგრამ გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ გააფართოვა რაოდენობითი მეოთხების გამოყენების არეალი. კაცობრიობა გამოვიდა საზოგადოებრივი პროგრესის სპირალის კიდევ ერთი ხეთიდან და ამჟამად, თითქმის ყველა კონფლიქტი ასე თუ ისე დაკავშირებულია ტექნიკასთან. სოციალური კონფლიქტები, რომლებშიც წამყვანი როლი ეკისრება ადამიანურ ფაქტორს, მიმდინარეობს როგორც სოციალურ, ასევე ტექნიკურ სფეროებშიც.

ინტერესთა საყოველთაო პარმონია მითია და ადამიანები შეცდომაში შეცვაგს. საზოგადოება, ხელისუფლების ორგანოები და ცალკეული პირები უფრო ეფექტიან შედეგებს მიაღწევენ თავიანთ საქმიანობაში, თუ არ დახუჭავენ თვალს კონფლიქტურ სიტუაციებზე და დაიცავენ კონფლიქტების რეგულირების წესებს.

¹ Взгляды Л. Козера на парадигму конфликта – Социология socio.rin.ru/cgi-bin/article.pl?id=1308

უკანასკნელ ათწლეულებში კონფლიქტოლოგიის თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობა გაიზარდა. გარკვეულწლილად ეს დაკავშირებულია საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან და, კერძოდ, ეკონომიკური პარტნიორების ურთიერთკავშირის გართულებასთან, მეწარმეთა და, საერთოდ, მეურნე სუბიექტების ინტერესების შეჯახებასთან, მწარმოებლებსა და საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებს შორის სხვადასხვა ხასიათის წინააღმდეგობათა გამწვავებასთან; სიკეთების განაწილებასა და მოხმარებაში, მოქალაქეთა სოციალური გარანტიების, უფლებებისა და მოვალეობების დაცვაში დაუბალანსებლობასთან.

შემეცნებითი საწყისის არსებობა პრინციპულად განასხვავებს საზოგადოებას მთლიანად მატერიალური სამყაროსგან. საზოგადოებაში ყველაფერი, კონფლიქტების ჩათვლით, ხდება არა მკაცრი, ობიექტურად განპირობებული წინასწარგანზრახულობით, არამედ ადამიანთა მიერ თავიანთი ქმედებების გააზრებით.

გონება და თვითშეგნება განაპირობებს იმას, რომ ადამიანი თავისუფალია საქმიანობის მიმართულებების არჩევაში. იგი ცდილობს ანგარიში გაუწიოს ქცევის დაწერილ და დაუწერებლ კანონებს, რომელთაც ითვისებს სოციალიზაციის, კულტურის მიღწევების გაზიარების პროცესში.

ჩვენ სინამდვილეში არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ცალკეული ადამიანების ჩამოყალიბება ან ორგანიზაციის საქმიანობა შიგა დაძაბულობის, წინააღმდეგობების, უძრაობისა და ჩამორჩენილობის დაძლევის, ინტერესების შეჯახებებისა და ბრძოლის გარეშე. მათი მიზეზები შეიძლება იყოს შემდეგი: ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის არახელსაყრელი გარემოებები; შრომითი მოტივაციის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის ანაზღაურებასთან, მუშაობის შინაარსება და პრესტიჟულობასთან; კოლექტივში ცალკეულ პირებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობები; სტრუქტურული წინააღმდეგობები; კომუნიკაციური კავშირების გაწყვეტასთან, ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებით მუშაკთა უქმაყოფილებასთან დაკავშირებული მიზეზები;

თანამშრომელთა ტექნიკურამენტის, ხასიათისა და ქცევის მანერების, მათი ასაკისა და ცხოვრებისეული გამოცდილების, ზნეობრივი წარმოდგენების, განათლების დონის, კვალიფიკაციისა და საერთო კულტურის განსხვავებულობით გამოწვეული ქმოციური გამოსვლები.

ორგანიზაციის არსებობა და ფუნქციონირება კონფლიქტის გარეშე იღუზია, უტოპია და, უფრო მეტიც, არც სიკეთეა. კონფლიქტები ისევე, როგორც ნებისმიერი სოციალური წინააღმდეგ-გობა, რეალური საზოგადოებრივი კავშირების ფორმაა, რომელიც გამოხატავს პიროვნებათა ურთიერთქმედებას, სოციალური ჯგუფებისა და გაერთიანებების ურთიერთობებს მათი მოთხოვნების, მოტივებისა და როლების განსხვავებულობისა და შეუთავსებლობის პირობებში. ამ გაგებით ის არა მხოლოდ დასაშვები, არამედ სასურველიცაა და შეიძლება სასარგებლოც იყოს, როგორც საზოგადოებრივი აქტივობის ფაქტორი. ერთი სიტყვით, ადამიანთა საქმიანობას ყოველთვის თან ახლავს კონფლიქტი.

მხარეთა უკუქმედებას ადგილი აქვს არა მხოლოდ პიროვნებათაშორის და ჯგუფთაშორის კონფლიქტებში, არამედ ადამიანის ავტოკომუნიკაციის, თვითორგანიზაციისა და თვითდაპროგრამების პროცესში. თვითრეგულაცია ფსიქოლოგიურად უზრუნველყოფილია შინაგანი დიალოგით, რომელიც წარმოიქმნება აზროვნებაში, ადამიანის აღქმაში, როგორც მის საკუთარ განცდებსა და ქცევებზე სხვადასხვაგარი შეხედულებების შედეგი. არსებოთად, ადგილი აქვს იგივე კამათს, აზრთა სხვადასხვაობას, ურთიერთდაპირისპირებას და წინააღმდეგობას, რაც დამახასიათებელია ნებისმიერი სოციალურად განპირობებული კონფლიქტისათვის.

აქტიური ურთიერთდაპირისპირება და უკუქმედება განასხვავებს კონფლიქტს კონფრონტაციის სხვა ფორმებისგან, როგორიცაა თანხმობის არარსებობა ამა თუ იმ საკითხებე, სხვადასხვა ერთობისა და ინდივიდების ინტერესთა წინააღმდეგობა და განსხვავებულობა, კოლიზიები მორალურ და სამართლებრივ ნორმებს შორის, შეჯიბრებითი მეტოქეობა ან მკაცრი კონკურენცია. კონფლიქტური უკუქმედება, თუკი იგი შემოქმედებითი ფორმისაა და

არა დამანგრეველი, კონსტრუქციული, პროდუქტიული საწყისის შემცველია. ასეთი კონფლიქტი ხელს უწყობს პროგრესულ ცვლილებებს, დინამიზმს ანიჭებს ამა თუ იმ სოციალური სისტემის განვითარებას, საბოლოო ანგარიშით, გონივრული კომპრომისის საფუძველზე ის მიღის თანამშრომლობამდე.


კონფლიქტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა სოციალური კავშირების აქტივიზაცია, ადამიანთა ურთიერთქმედებისა და მათი ურთიერთობებისათვის მქები დინამიკურობისა და მობილობის მინიჭება. ეს აისახება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპებზე როგორც საზოგადოებაში, ასევე ცალკეული ორგანიზაციის ფარგლებში და განსაზღვრავს საქმიანი განწყობის ამა თუ იმ ხარისხს.

Conflict as the Process Containing Constructive and Productive Backgrounds

N. Paresashvili

The article deals with the idea that conflicts as well as any social contradictions are the form of actual public contacts which expresses personal interactions, relations of social groups and entities in terms of differences and incompatibility of their requirements, motivations and roles. From this point of view they are not only admissible but desirable and in some cases even useful as well as a factor of public activeness.

Successful management of conflicts is important for ensuring sustainability and stability of any organization. Counteraction of conflict, in case it has creative and not destructive character, involves productive origin. Such conflict promotes progressive changes, makes development of definite social systems dynamic and leads to cooperation based on reasonable compromise.



ნინო აბესაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თხუ ახორციელებული პროფესორი,
ექონომიკის აკადემიური დოქტორი.

ბიზნესსტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის
სტატისტიკის ეროვნული სამსახური საწარმოთა გამოკვლევას
ყოველგვარტალურად ახორციელებს. თუმცა, ეს კვლევები
პროგრამულად ისეთი სრულყოფილი ფორმისა და იმ მასშტაბისა
არ არის, როგორიც ეს იყო 2008 წელს ევროკავშირის პროგრამა
TACIS-ის დაფინანსებით განხორციელებული კვლევისას. ასეთი
ფართომასშტაბიანი კვლევების ჩატარება დიდად ფინანსურ სახ-
სრებს მოითხოვს და მისი სისტემატურად ჩატარება, თუნდაც ამ
ეტაპზე, მხოლოდ დონორი ორგანიზაციების დახმარებით არის
შესაძლებელი. აქედან გამომდინარე ოფიციალური სტატისტიკა
ჯერ-ჯერობით სრულად ვერ ახორციელებს მცირე და მიკრო-
ბიზნესის კვლევებს, რაც შედეგების პოპულარიზაციის საფუძ-
ველზე ბიზნესმენს ჩამოუყალიბებდა საქმიანობის სწორი ტაქ-
ტიკისა და სტრატეგიის შემუშავების, თავისი ბიზნესის განვი-
თარების ხელისშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორთა გამოგ-
ლენის და სხვა უნარს. ამიტომ, სტატისტიკის ეროვნული სამსახ-
ურის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ბი-
ზნესსტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესება
წარმოადგენს. ფაქტია, რომ დღეს საქართველოში მცირე და საშუ-
ლო ბიზნესის საწარმოები რეალურად მოკლებულია მარკეტინგუ-
ლი კვლევების ჩატარებასა და მიღებული შედეგების საფუძველზე

სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რაც დიდი ბიზნესისათვის შედარებით ადვილად მისაღწევია. დღეს ბიზნესსტარისტიკის გამოკვლევები ხორციელდება შერჩევითი მეთოდით. მსხვილი საწარმოები გამოიკითხება სრული მოცვით, ხოლო საშუალო და მცირე ზომის საწარმოები – შერჩევით.

ზომის მიხედვით საწარმოების კლასიფიკაცია მოიცავს: მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს.

მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულობა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა -1.5 მლნ ლარს.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულობა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულობა საშუალოწლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე.

ბიზნესსტარისტიკის გამოკვლევისას გამოსაკვლევ საწარმოთა შერჩევა ხორციელდება „საქსტატში“ მოქმედ საწარმოთა ბაზიდან.

აღნიშნული ბაზა თავდაპირველად ფორმირებულ იქნა 2005 წელს იმდროინდელი საგადასახადო სამსახურის რაიონულ დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად, მისი სრული აქტუალიზაცია კი განხორციელდა 2009 წელს. ის მოიცავს ყველა მსხვილ საწარმოს და მეტ-ნაკლებად ყველა საშუალო ზომის საწარმოს, მაგრამ მცირე საწარმოების რეალური რაოდენობისგან გარკვეულწილად განსხვავდება, რაც მის ხარვეზებზე მიგვანიშნებს (იხ.ცხრილი 1).

საქართველოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა ზომის
მიხედვით (2010 წლის 1 ივნისის მდგრადი მდგრადი მდგრადი)

ცხრილი 1

| | რაოდენობა | % |
|---------|-----------|-------|
| სულ | 39078 | 100,0 |
| მსხვილი | 1902 | 4,9 |
| საშუალო | 3698 | 9,5 |
| მცირე | 33478 | 85,6 |

ამასთან, ბაზა (39078 საწარმო) არ მოიცავს NACE-ის კლასიფიკაციის მიხედვით ყველა საქმიანობის სექტორს¹. იგი მოიცავს მხოლოდ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმოებს: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; კოოპერატივი; კომანდიტური საზოგადოება; ინდივიდუალური მეწარმე.

ზომის მიხედვით საწარმოთა დაჯგუფება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 2).

ბიზნესექტორის ბრუნვის, პროდუქციის გამოშვებისა და დასაქმების მაჩვენებლები საწარმოთა ზომის მიხედვით

(2010 წლის II კვარტლის გამოკვლევის შედეგები)

ცხრილი 2

| | ბრუნვა | | პროდუქციის გამოშვება | | დასაქმებულთა რაოდენობა | |
|-----------------|-----------|-------|----------------------|--------|------------------------|--------|
| | მლრდ ლარი | % | მლრდ ლარი | % | ათასი | % |
| სულ | 5,74 | | 2,97 | 100,00 | 371,4 | 100,00 |
| მსხვილი ბიზნესი | 4,78 | 83,28 | 242 | 81,48 | 217,9 | 58,67 |
| საშუალო ბიზნესი | 0,49 | 8,54 | 0,28 | 9,43 | 73,1 | 19,68 |
| მცირე ბიზნესი | 0,47 | 8,19 | 0,27 | 9,09 | 80,4 | 21,65 |

¹ ცხრილი შედგენილია „საქსტატის” მონაცემების საფუძვლზე. www.geostat.ge

² მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში. სტატისტიკური კუბლიკაცია. თბ., 2009.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბიზნესს ქეტორის მთლიანი ბრუნვის 83.28 % მსხვილ ბიზნესზე მოდის, ხოლო საშუალო და მცირე ზომის საწარმოებზე შესაბამისად - 8.54% და 8.19%.

რა თქმა უნდა, გარკვეულწილად შეიცვლება ბრუნვის მოცულობის სტრუქტურა საწაროთა ზომების მიხედვით, თუ შეიცვლება საშუალო და მცირე ზომის საწარმოთა რაოდენობა გენერაციულ (მთლიან) ერთობლიობაში!

აღსანიშნავია, რომ „საქსტატში” არსებული გენერალური ერთობლიობა მოიცავს საშუალო და მცირე საწარმოთა უფრო ნაკლებ რაოდენობას, ვიდრე ეს რეალობაში შეიძლება არსებობდეს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამან მაინცდამაინც დიდი სხვაობა არ უნდა მოგვკეს პროცენტული წილების გაანგარიშებისას.

მრავალ ქვეყანაში ბიზნესსაწარმოთა სტატისტიკის გამოკვლევები და აქედან გამომდინარე შერჩევის სამუშაოები ეფუძნება ადმინისტრაციულ წეროებს, რასაც საქართველოში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზები წარმოადგენს. თუმცა, მისი გამოყენება სტატისტიკის მიზნებისათვის ჯერ-ჯერობით გარკვეულწილად გამოუსადეგარია, რადგან გადასახადის გადამხდელთა ბაზაში ჩართულია ისეთი სუბიექტები, რომლებიც სტატისტიკის გამოკვლევის ობიექტს არ წარმოადგენ (მაგალითად, ფიზიკური პირები, სუბიექტები, რომლებიც მხოლოდ ქონების გადასახადს იხდიან, სუბიექტები, რომლებმაც გადაიხადეს გარდამუშავი გადასახადები ერთჯერადი ოპერაციისათვის).

ეს კი ხელოვნურად იწვევს ბაზის გაზრდას. ამასთან, ბაზაში ზოგჯერ არ არის დაფიქსირებული საწარმოთა მისამართი, ხშირ შემთხვევაში სწორად არ არის მითითებული ტელეფონის ნომერი², რაც აუცილებელია ინტერვიურების განხორციელებისათვის. არას-რეულად ან ხშირ შემთხვევაში საერთოდ არაა მითითებული ეკონომიკური საქმიანობის სახეობა. აღნიშნულ ბაზაში არ არის გამორიცხული აგრეთვე სხვადასხვა ტექნიკური შეკვეთისაც, რაც

1.N. Abesadze-Bewertung der Businessbedingungen in Georgien. ქართული „ასაკონი გაონი-ზობები”, 2011 №2, ვა.12.

2. 6. აბესაძე მცირე და საშუალო ბიზნესის ინფორმაციული ბაზის სრულყოფის საკითხები საქართველოში. გორის უნივერსიტეტი. საქართველოსო კონფერენცია; გორი, 2011.

აფერხებს მის გამოყენებას სტატისტიკური მიზნებისათვის. გარდა ამისა, გარკვეული განსხვავებებია „საქსტატისა” და შემოსავლების სამსახურის მეთოდოლოგიაში, რომელიც ეხება მოქმედი საწარმოთა ტიპის განსაზღვრას.

„საქსტატისოთვის” საწარმო მოქმედად ითვლება, თუ იგი ფუნქციონირებდა საანგარიშო პერიოდში, ე. ი. მიიღო გარკვეული შემოსავალი და/ან გაწია გარკვეული ხარჯები. შეიძლება საწარმო არ ფუნქციონირებდა საანგარიშო პერიოდში, მაგრამ გადაიხადა ქონების გადასახადი. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული საწარმო შემოსავლების სამსახურისთვის მოქმედად ითვლება, „საქსტატისოთვის” კი არა.

სამწუხაოდ, ვერ ხერხდება მონაცემთა ბაზების შედარება საწარმოთა ზომების მიხედვით, ვინაიდან ამისთვის აუცილებელია ცალკეულ საწარმოზე ბრუნვისა და დასაქმებულთა რაოდგობის მაჩვენებლის შესახებ ინფორმაციის ფლობა, რაც არ მიიღება შემოსავლების სამსახურიდან გარკვეული მიზეზების გამო. ამასთან, „საქსტატში” არსებული მოქმედ სუბიექტთა ბაზაში არსებული საშუალო და განსაკუთრებით მცირე ზომის საწარმოთა რაოდგობა განსხვავდება რეალური რაოდენობისაგან.

აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად აუცილებელია ეკონომიკური აღწერის ჩატარება, რაც ქვეყანაში საერთოდ არ ჩატარებულა, აუცილებელია მისი ჩატარება პერიოდულობით (მაგ.: 5 წელიწადში ერთხელ), ხოლო აღწერათა შორის პერიოდებში მოხდება ბაზის აქტუალიზაცია როგორც ბიზნეს რეგისტრის ხაზით, ასევე საწარმოთა კვარტალური და წლიური პერიოდულობის გამოკვლევებით. ამასთან, უნდა განხორციელდეს რეგისტრირებულ საწარმოთა ეტაპობრივი აქტუალიზაცია, სხვადასხვა დარგის მიხედვით.

შემოსავლების სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბაზებზე „საქსტატის” სრული ხელმისაწვდომობა და ამ უწყებების შეთანხმებული თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს „საქსტატის” მხრიდან ეკონომიკური სუბიექტების რეგისტრაციას, სტატისტიკურ აღრიცხვიანობას და აქვდან გამომდინარე, სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხს.

6067 აბესაძე

ბიზნესსტატისტიკის ერთ-ერთ ამოცანას არა მარტო მიმდინარე სტატიტიკის წარმოება, არამედ საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშება წარმოადგენს. ამიტომ, არსებული ბიზნესსტატიკის ინფორმაციული ბაზის პირობებში შევეცადოთ საწარმოთა ბრუნვის მავვენებლების პროგნოზირებას დროითი მწერივების მოსწორების ანალიზური შეთოდების საფუძველზე. ამისათვის წარმოვადგინოთ საწარმოთა ბრუნვის დინამიკა 1999-2010 წლების მიხედვით (ცხრილი 3).


ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით (1999-2009 წ.წ.,

(მლნ ლარი)


ცხრილი 3

| წელი | სულ | მათ შორის | | |
|------|----------|-----------|---------|---------|
| | | მსხვილი | საშუალო | მცირე |
| 1999 | 3,111.3 | ... | ... | 1,044.1 |
| 2000 | 3,781.4 | ... | ... | 1,265.5 |
| 2001 | 3,975.2 | ... | ... | 1,232.7 |
| 2002 | 4,595.6 | 3,475.5 | 535.7 | 584.4 |
| 2003 | 5,523.0 | 4,198.8 | 572.7 | 751.5 |
| 2004 | 7,248.4 | 5,618.7 | 770.1 | 859.6 |
| 2005 | 10,076.3 | 7,756.9 | 1,163.6 | 1,155.8 |
| 2006 | 13,090.3 | 10,643.0 | 1,368.0 | 1,079.3 |
| 2007 | 17,544.4 | 15,002.5 | 1,609.1 | 932.8 |
| 2008 | 19,650.7 | 17,228.8 | 1,454.3 | 967.6 |
| 2009 | 20,302.2 | 17,136.9 | 1,701.2 | 1,464.1 |

აღნიშნული მაჩვენებლის დინამიკაზე უფრო თვალსაჩინო წარმოდგენის შექმნის მიზნით, პირველ რიგში, ავაგოთ ამ მაჩვენებლის გრაფიკი და პისტოგრამა (იხ. ნახ. 1.2).



ნახ. 1. საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებლის დინამიკა 1999-2009 წლებში (მლნ ლარებში)



ნახ. 2. საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებლის პისტოგრამა და სატატისტიკური მახასიათებლები

საპროგნოზო გაანგარიშებების დაწყებამდე უნდა შევნიშნოთ, რომ მოცემული მაჩვენებლის პროგნზისთვის საჭირო მოდელების აგების მიზნით, ქვემოთ გამოყენებული იქნება ცნობილი კომპიუტერული პროგრამული პაკეტი Eviews¹.

1 Vincent Su. Economic Fluctuations and Forecasting. HarperCollins College Publishers. 1996.

2 C. W. J. Granger. Forecasting in Business and Economics. Academic Press, Inc. 1980.


ამ მაჩვენებლის პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მოდელი, დავიწყოთ წრფივი ტრენდული მოდელით.

ამ მოდელს აქვს სახე:

$$V = 53.96666667 + 1991.586364*t$$

როგორც შესაბამისმა გაანგარიშებებმა აჩვენა, ამ მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია (0.93-ს ტოლი), ასევე საკმაოდ მაღალია მოდელის დახრის კოეფიციენტიც, ე. ის კოეფიციენტი საკმაოდ დიდი სიზუსტითაა განსაზღვრული, რასაც ვერ ვიტყვით მის თავისუფალ წევრზე, საკმაოდ მაღალია -სტატისტიკის მნიშვნელობაც, ამასთან, მოდელს ახასიათებს დარბინ-უოტს სინის სტატისტიკის დაბალი მნიშვნელობა, რაც მიუთითებს, რომ მისი სახე სულაც არაა საუკეთესო.

მაჩვენებლის წრფივი ტრენდული მოდელის ცდომილება წარმოვადგინოთ ნახ.3-ით.




ნახ. 3. მაჩვენებლის წრფივი ტრენდული მოდელის ცდომილების გრაფიკული წარმოდგენა

რაც შეეხება ამ მაჩვენებლის კვადრატულტრენდულ მოდელს, მას ექნება სახე:

$$V = 2572.051374 + 480.7355395*t + 137.3500749*t^2$$

გაანგარიშებებით ირკვევა, რომ ამ მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი მის წრფივ ვარიანტზე უფრო მაღალია (0.976-ის ტოლი), ასევე საკმაოდ მაღალია მოდელის პირველი და მესამე კოეფიციენტთა ტ -სტატისტიკურიც, თუმცა მეორე კოეფიციენტის ტ -სტატისტიკაზე(სტიუდენტის კრიტერიუმზე) ამის თქმა უკვე არ შეიძლება. ამასთან, მოდელის - სტატისტიკის(ფიშერის კრიტერიუმი) მნიშვნელობა წრფივი მოდელის ანალოგიურ მაჩვენებელზე მეტია, ხოლო სტანდარტული ცდომილება კი ნაკლები, რაც მთლიანობაში ამ მოდელის უფრო მაღალ სიზუსტეზე მიუთითებს.

აღნიშნული მოდელიდან გამომდინარე, პროგნოზული შეფასებების შესა




ნახ. 4. მაჩვენებლის კვადრატული ტრენდული მოდელის ცდომილების გრაფიკული წარმოდგენა.

ახლა ავაგოთ მოცემული მაჩვენებლის ნახევრად ლოგარითმული ტრენდული მოდელი. მას ექნება სახე:

$$\text{LOG}(V) = 7.953505642 + 0.2028865705*t.$$

ამ მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი წინა (კვადრატული) მოდელის რიგისაა, ხოლო კოეფიციენტთა t -სტატისტიკები მნიშვნელოვნად უფრო მაღალი. მნიშვნელოვნადაა ამაღლებული მოდელის F-სტატისტიკის მნიშვნელობაც, და მხოლოდ დარბინულების სტატისტიკის სიდიდეა უფრო დაბალი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ მოდელის სიზუსტე წინა მოდელის სიზუსტის რიგისაა.

მაჩვენებლის ნახევრად ლოგარითმული ტრენდული მოდელის ცდომილება ნაჩვენებია ნახ.5-ზე.



ნახ. 5. მაჩვენებლის ნახევრად ლოგარითმული ტრენდული მოდელის ცდომილების გრაფიკული წარმოდგენა


დაბოლოს, ავაგოთ ამ მაჩვენებლის ე.წ. ARIMA-ს (ინტეგრირებული ავტორეგრესიისა და მცოცავი საშუალოს) ტიპის მოდელი. მას ექნება სახე:

$$V = 12019.77419 + [AR(1)=0.9069015913, MA(1)=3316283132, INITMA=2000],$$

სადაც $AR(1)$ წარმოადგენს პირველი რიგის ავტორეგრესიულ წევრს, ხოლო (1) პირველი რიგის მცოცავი საშუალოს სიდიდეს (როგორც ცნობილია, $MA(1)=u_{t-1}$, სადაც u_{t-1} მოცემული განტოლების ცდომილებაა (ნაშთი წევრია წინა პერიოდისათვის)).

ამასთან, განტოლების მარჯვენა მხარეში მითითებულია დროის მომენტი, რომლიდანაც იწყება წიაღ სვლა წარსულში (ingl. ACKCAST-წარსულის აღდგენას, რეტროპოლაციას ნიშნავს).

ამ განტოლების პარამეტრთა სტატისტიკური მახასიათებლები ზემოთ მოყვანილი მოდელებიდან ყველაზე ზუსტია. კერძო: მისი დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.99-ს ტოლია, F-სტატისტიკის მნიშვნელობა უდრის 586-ს, მხოლოდ დარბინ-უოტსონის სტატისტიკის მნიშვნელობაა სხვა მოდელებზე ნაკლები და შესაბამისად, t-სტატისტიკის მნიშვნელობებიც არაა მაღალი. (გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ასეთი ტიპის მოდელები საქმაოდ სწრაფად ჰკარგავენ პროგნოზირების სიზუსტეს, ამიტომ მათი გამოყენება გრძელვადიან პერიოდში პროგნოზირებისთვის არაა მიზანშეწონილი.)



ნახ. 6. მაჩვენებლის ARIMA-ს ტიპის მოდელის ცდომილების გრაფიკული წარმოდგენა


წრფივი ტრენდული, კვადრატული ტრენდული მოდელის, ნახევრად ლოგარითმული ტრენდული მოდელის, ARIMA-ს ტიპის მოდელის ბაზაზე და ბოლო სამი მოდელის ბაზაზე გაკეთებული პროგნოზული შეფასებები წარმოვადგინოთ ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 4).

საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებლის პროგნოზული შეფასებები ბი 2011-2015 წლებისათვის სხვადასხვა მოდელის ბაზაზე

(ცხრილი 4.

| წლები | პროგნოზულ შეფასებები წრფივი ტრენდული მოდელის ბაზაზე | პროგნოზულ შეფასებები კვადრატული ტრენდული მოდელის ბაზაზე | პროგნოზულ შეფასებები ნახევრად ლიაგარომული ტრენდული მოდელის ბაზაზე | პროგნოზულ შეფასებები ARIMA-ს ტიპის მოდელის ბაზაზე | ბოლო საში მოდელის ბაზაზე მდებარე შეწინილი პროგნოზული შეფასებები |
|-------|--|--|---|--|---|
| 2011 | 23953.0 | 28119.2 | 32472.35 | 231733 | 27892.7 |
| 2012 | 25944.6 | 32083.77 | 39776.5 | 22134.9 | 31259.2 |
| 2013 | 27936.2 | 36222.96 | 48723.5 | 21193.2 | 35293.4 |
| 2014 | 29927.8 | 40686.85 | 59683.1 | 203392 | 40114.9 |
| 2015 | 31919.3 | 45425.43 | 73107.8 | 19564.7 | 45870.6 |

ამ მაჩვენებლის დინამიკის გრაფიკს, შესაბამისი პროგნოზული შეფასებებით, ექნება სახე (იხ. ნახ.7).



ნახ. 7. მაჩვენებლის დინამიკა და პროგნოზული შეფასებები წრფივი, კვადრატული, ნახევრად ლიაგარომული და ARIMA-ს ტიპის მოდელების ბაზაზე

როგორც ვხედავთ, მოცემულ მოდელებს შორის ყველაზე ოპტიმისტურ პროგნოზულ შეფასებებს იძლევა ნახევრად ლია-


არითმული ტრენდული მოდელი, ყველაზე პესიმისტურ შეფასებებს კი - ARIMA-ს ტიპის მოდელი (რომელიც, მისი სტატისტიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ყველაზე ზუსტი ჩანს!).

ამასთან, საბოლოოდ ობიექტურთან მაქსიმალურად მიახლოებული პროგნოზული შეფასებების მიღების მიზნით, ვი პოვოთ პროგნოზული შეფასებები, რომლებიც წარმოადგენს ბოლო სამი (ყველაზე უფრო ზუსტი!) მოდელიდან მიღებული პროგნოზული შეფასებების შეწონილ საშუალოს, აღნიშნული მოდელების დეტერმინაციის კოეფიციენტების (მათი სიზუსტის ძირითადი მახასიათებლის) მიმართ.

ამ შეფასებას, რომელსაც WVF-ით აღვნიშნავთ, ექნება სახე:

$$WVF = \frac{0.976 * V2F + 0.975 * V3F + 0.993 * V4F}{0.976 + 0.975 + 0.993},$$

რომლის შესაბამისი პროგნოზული შეფასებები ნაჩვენებია ნახ. 8-ზე.



ნახ. 8. მაჩვენებლის A დინამიკა და ბოლო სამი მოდელის ბაზაზე მიღებული შეწონილი პროგნოზული შეფასებები

ადვილი შესამჩნევია, რომ ეს უკანასკნელი პროგნოზული შეფასება, თითქმის ზუსტად იმეორებს კვარდატული ტრენდული მოდელის ბაზაზე მიღებულ შეფასებებს. ამიტომაც შეგვიძლია

ჩავთვალოთ, რომ 2015 წლის საწარმოთა ბრუნვის საპროგნოზო მაჩენებელი 45425.43 მლნ ლარის ტოლი იქნება.

ცხადია, „საქსტატიის“ მხრიდან ეკონომიკური სუბიექტების რეგისტრაციის, სტატისტიკური აღრიცხვიანობისა და აქტივის გამომდინარე, სტატისტიკური ინფორმაციის ხარისის გაუმჯობესება, ადეკვატური სტატისტიკური მახასიათებლებისა და ამის საფუძველზე საიმედო საპროგნოზო გაანგარიშებების მყარი საფუძველი გახდება.

Improving Database of Business-statistics and Forecasting of Figures

N. Abesadze

The article discusses the question of improving information base for the small and medium business in Georgia.

The point is that these businesses don't have abilities to conduct marketing researches and make proper managerial decisions based on the results of these researches. This is easier for bigger businesses to do.

Therefore, the necessity of conducting periodical economic census and actualization of the base during the intervals are proved in the article. It also provides the classification of enterprises according to their sizes and sets out a question of periodical actualization of the registered enterprises according to different sectors. The article also discusses the problem of forecasting turnover figures of enterprises using the modern methods of time series models. Namely, the following models are used: linear trendy, square trendy, half-logarithm trendy and ARIMA type model. In addition, the weighted average of the results using the above-mentioned models is calculated, taking into account determination coefficient of these models.

**რელევანტური და კლიმატიური
ხარჯების მაჩვენებელთა გამოყენება
გადაწყვეტილებების მიღებისას**

**მიზანი და მიზანი
გეონომიკის აკადემიური დოქტორი,
თუმცირებული პროფესორი**

საერთოდ, გადაწყვეტილების მიღება რამდენიმე ალტარნატივიდან არჩევანის გაკეთებას ნიშნავს. ნებისმიერი გადაწყვეტილება წარმოების დონის, ასორტიმენტის, შესყიდვების, გაყიდვების, წარმოების შემზღვეველი ფაქტორების, სასურველი ფინანსური შედეგის მიღების, კონკრეტული შეკვეთის მიღების, ბიზნესის ნაწილის დახურვის და ა.შ. შესახებ, გარკვეულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

პირველ რიგში აღვნიშავთ, რომ ცნებები „ხარჯი“ და „დახარჯი“ ერთი და იგივეა. ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) განმარტებით, ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება ანგარიშებითი პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძვლებზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთავის კაპიტალის განაწილებასთან.¹

მოტანილ განმარტებაში იგულისხმება, როგორც ჩვეულებრივ სამეცნიერო საქმიანობაზე გაწეული ხარჯები, ასევე ზარალიც. და მიჩნეულია, რომ ჩვეულებრივ სამეცნიერო საქმიანობაზე გაწეული ხარჯებიც წარმოადგენს საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას (შემცირებას), რასაც არ ვეთანხმებით.

¹ ბასს, სტრუქტურული საფუძვლები, მუხლი 70. თარგმანი ინგლისურიდან, თბ., 2010.

მიგვაჩნია, რომ ჩვეულებრივი სამერნეო საქმიანობის დანახარჯების გაიგივება ზარალის ცნებასთან, გაუმართლებელია, რამეთუ, ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის განხორციელება ადეკვატური დანახარჯების გაწვის გარეშე შეუძლებელია და ამდენად, საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გასვლად ან შემცირებად არ უნდა ჩაითვალოს.

დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: პროდუქციის დამზადებაზე ნედლეულის ხარჯვა, მართალია, იწვევს საწყობში ნედლეულის მარაგის შემცირებას, მაგრამ იმავდროულად იზრდება მზა პროდუქტად გარდაქმნილი აქტივი, რომელსაც რეალიზაციის შემდეგ შემოსავალი და მოგება მოაქვს. ამასთან, საწარმოს აქტივის (ქონების) საერთო სიდიდე არ იცვლება. მაშასადამე, ნედლეულის ხარჯი აუცილებელი იყო მომავალი ეკონომიკური სარგებლის ფორმირებისათვის. ასევე, შრომითი ხარჯებიც მზა პროდუქტში გადადის და მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის მიერ გაწეულ შრომაზე საწარმოს წარმოექმნება ვალდებულება გასაცემ ხელფასზე, იმავე სიდიდით იზრდება მზა პროდუქციის მოცულობა. აგრეთვე, რესურსების შეძენაზე დახარჯული ფულადი ქონებაც არ წარმოადგენს, საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. დავუშვათ, შესყიდულია 45000 ლარის დანადგარები. ამ ოპერაციაზე, მართალია, საწარმოდან ფულადი თანხა გავა, მაგრამ სანაცვლოდ შემოღის იმავე ღირებულების მატერიალური აქტივი და ა.შ. არსებობს ასეთი „პარადოქსი“: ხარჯების გაწვის გარეშე, არანაირი შემოსავლები არ მიიღება. მოგების მიღება ერთნაირი აუცილებლობით მოითხოვს შემოსავლებსა და შესაბამის ხარჯებს.

რაც შევხება ზარალს, იგი არის საწარმოს საქმიანობის ამათუ იმ მხარის, უარყოფითი ფინანსური შედეგი, რომელიც რასაკვირველია, საწარმოს ეკონომიკურ სარგებელს ამცირებს და გაუამართლებელია, ზარალის ცნება, ხარჯების ცნებასთან გავაიგივოთ.

მაშასდამე, ხარჯები არის ჩველებრივ სამეურნეო საქმი-ანობაში მოხმარებული მატერიალური და არამატერიალური რესურსები, სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

ზარალი კი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება ან გასვლა საწარმოდან, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

გადაწყვეტილებების მიღების დროს ისეთი არჩევანის გაკეთება ხდება, რომელიც აქციონერებს (მფლობელებს) მაქსიმალურ მოგებას მოუტანს. გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ითხ ძირითად საფეხურს მოიცავს: გადაწყვეტილების მიღების საჭიროების აღიარებას, შესაძლო ალტერნატივების გამოვლენას, ალტერნატივების შეფასებას და მოქმედების მიმართულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ალტერნატივების შეფასებაა.

ალტერნატივების შეფასებისას მრავალი სხვადასხვა ინფორმაცია გამოიყენება, მაგრამ, ჩვენ ამჯერად, დანახარჯების ინფორმაციას განვიხილავთ.

გადაწყვეტილებების მიღებაზე დამოკიდებულების მიხედვით გამოყოფენ რელევანტურ, არარელევანტურ და ალტერნატიულ დანახარჯებს.¹

რელევანტურია ხარჯი, რომელიც გადაწყვეტილების შეცვლაზე დამოკიდებულების მიხედვით იცვლება. იგი რომელიმე პროექტის (კურსის) მიღებისას წარმოიშობა, ანუ, იგი არ არსებობს ერთ შემთხვევაში, მაგრამ წარმოიშობა მეორე შემთხვევაში. ამიტომ, არჩევანის გაკეთების დროს იგი გათვალისწინებული უნდა იქნეს.

რელევანტური დანახარჯები არის მომავლის ხარჯი და ფულადი სახსრების ნაკადებია. რამდენიმე ალტერნატივიდან ის პროექტია მისაღები, რომლის რელევანტური ხარჯებიც ნაკლებია.

¹ ფინანსური მართვა და კონტროლი. ACCA, წიგნი 2.4, თარგმანისა, თბ., 2004, გვ. 451.

არარელევანტურია ხარჯი, რომელიც არ შეიცვლება, რომელი გადაწვეტილებაც არ უნდა იქნეს მიღებული. ამიტომ, გადაწყვეტილების მიღების დროს იგი შეიძლება გათვალისწინებული არ იქნას. დაგუშვათ, განიხილება ორი პროექტი (იხ. ცხრილი).

რელევანტური ხარჯების გამოყოფა

| დანახურები | პროცენტული მფლორმაცია (ლარი) | | რელევანტური ხარჯები (ლარი) | |
|------------------|---------------------------------|------------|-------------------------------|------------|
| | I პროექტი | II პროექტი | I პროექტი | II პროექტი |
| • მასალის ხარჯი | 30 600 | 43 800 | 30 600 | 43 800 |
| • შრომითი ხარჯი | 11 500 | 11 500 | - | - |
| • ცვეთის ხარჯი | 7 400 | 8 300 | 7 400 | 8 300 |
| • რეკლამის ხარჯი | 5 200 | 5 200 | - | - |
| ----- | ----- | ----- | ----- | ----- |
| ჯამი | 54 700 | 68 800 | 38 000 | 52 100 |

ცხრილიდან ჩანს, რომ უფრო ნაკლები პროგნოზული ხარჯები აქვთ პირველ პროექტს. იმავეს აჩვენებს შეფასება რელეგანტური დანახარჯებით. ნაკლები რელევანტური ხარჯები სწორედ პირველ პროექტს გააჩნია. დანახარჯების ჯამებს შორის სხვაობაც ორივე შემთხვევაში 14100 ლარია. მაშასადამე, გადაწყვეტილების მიღების დროს შეიძლება მხოლოდ რელაგანტური ხარჯები იქნეს გათვალისწინებული. ამიტომ, რელევანტურ ხარჯებს, გასათვალისწინებელ ხარჯებსაც უწოდებენ. ხოლო, შრომითი ხარჯი, იმავე მაგალითზე, არ შეიცვლება რომელი პროექტიც არ უნდა იყოს მიღებული. იგი ყოველთვის თანაბარი სიდიდით იარსებებს, ამიტომ არარელევანტურია, გადაწყვეტილების მიღებაზე არ რეაგირებს და ამდენად, არჩევანის გაკეთების დროს შეიძლება გათვალისწინებული არ იქნეს. არარელევანტურ ხარჯებს, არგასათვალისწინებელ ხარჯებსაც უწოდებენ.

არარელევანტური ხარჯები შეუქცევადი ხარჯებია, წარსულის დანახახარჯებია და გარდაუგალი ხარჯია. არარელევანტურ ხარჯებს მიეკუთვნება აგრეთვე არაფულადი ხარჯები (მაგალითად, ცვეთის ხარჯი და პირობითი ხარჯები), საერთო მუდმივი ზედნადები ხარჯები და აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება.

ალტერნატიული დანახარჯები არის ხელიდან გაშვებული სარგებელი, სხვა საუკეთესო ალტერნატივაზე უარის თქმის გამო.

ალტერნატიული დანახარჯი ხაზს უსვამს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა ალტერნატივასთან არის დაკავშირებული და ერთი გადაწყვეტილების მიღების ალტერნატიული დანახარჯი არის მოგება ან ზღვრული მოგება, რომელზეც უარი ითქვა მორიგი საუკეთესო ალტერნატივის არმიღების გამო.¹

ალტერნატიული დანახარჯების განსაზღვრის დროს ძირითადად ზღვრული მოგების მაჩვენებელი გამოიყენება, რომელიც შემოსავლებსა და ცვლად ხარჯებს შორის სხვაობის ტოლია.ზღვრული მოგების მაჩვენებელი თავისუფალია მატერიალური მარაგების ნაშთებისცვლილების გავლენისაგან და ამიტომ, მოგებიანობის უფრო რეალურ სურათს იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივი მოგების მაჩვენებელი.

თანამედროვე დასავლეთის ეკონომისტები თვლიან, რომ გადაწყვეტილებების მიღების დროს, ალტერნატიული პროექტების შეფასებისას ალტერნატიული დანახარჯებიც იქნეს გათვალისწინებული.

განვიხილოთ, სხვადასხვა სიტუაციური შემთხვევა:

1. დავუშვათ, ერთ-ერთ კონტრაქტს სჭირდება 1000 კგ რაღაც მასალა, რომლის შესყიდვის ფასია 2ლ/კგ. მარაგში ასეთი მასალა არ არსებობს. იგივე სახის მასალა შეიძლება გამოიყენებულ იქნეს მეორე პროექტზე, რომელსაც 500 ლარით მეტი ზღვრული მოგება მოაქვს.

ისმება კითხვა: რა ხარჯები უნდა გაითვალისწინოს მეწარმემ კონტარქტის შეფასების დროს?

პროექტში გასათვალისწინებელი ხარჯებია: მასალის რელეგანტური ხარჯი – 2000 ლარი და ალტერნატიული ხარჯი 500

¹მართველობითი აღრიცხვა ACCA. წიგნი 2, თარგმანი ინგლის., თბ., 2008, გვ: 191.

ლარი. ჩვენი აზრით, ასეთი მიღვომა პროექტს აძვირებს ყოველთვის არსებობს მიღებული გადაწყვეტილების ალტერნატივა, რომელთანაც შედარებით მეტარმეტ რაღაც შემოსავალი შეიძლება დაკარგოს, მაგრამ ეს ბუნებრივად არსებობს და მისი გათვალისწინება გაუმართლებლად მიმახნია.

2. დავუშვათ, საწარმოს აქვს ადრე ნაყიდი 100 კგ რაიმე მასალა, 1,5 ლ/კგ. იგი ადარ გამოიყენება, მაგრამ შეიძლება გაიყიდოს 3ლ/კგ. მენეჯმენტი განიხილავს ერთ-ერთი შეკვეთის ფასს, რომელშიც გამოყენებული იქნება 80 კგ ეს მასალა.

მასალის ალტერნატიული ხარჯი, რომელიც გაითვალისწინება შეკვეთის ფასში, იქნება 240 ლარი, რაც ბუნებრივია, შეკვეთის ფასს აძვირებს.

3. მომპოვებელი საწარმო იყენებს კვალიფიციურ შრომას, რომლის საათობრივი დირებულებაა 5 ლარი და იღებს ზღვრულ მოგებას საათში 2 ლარს. ახლა იხილავთ ახალ პროექტს, რომელიც საჭიროებს 1500 სთ კვალიფიციურ შრომას. არსებობს კვალიფიციური შრომის სიჭარბე. მუშები ამჟამად მოცდებილი არიან, მაგრამ ანაზღაურებას მაინც დებულობენ.

მოცდებულ შემთხვევაში, რელევანტური ხარჯი ნულის ტოლია, რადგან იგივე ხელფასი ისედაც გადაიხდება, რომელიც გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნეს მიღებული.

იმავე მაგალითზე თუ დაგუშვებთ, რომ არ არსებობს სამუშაო ძალის სიჭარბე და ყველა, ვინც დასაქმდება ამ ახალ პროექტში, სხვა სამუშაოდან უნდა იქნეს გადმოყვანილი, მაშინ ამ პროექტისათვის გასათვალისწინებელი შრომითი ხარჯები იქნება:

$$\text{რელევანტური ხარჯი} - 1500 * 5 = 7500 \text{ ლ}$$

$$\text{ალტერნატიული ხარჯი} - 1500 * 2 = 3000 \text{ ლ}$$

$$\text{სულ გასათვალისწინებელი ხარჯი} \quad 10500 \text{ ლ}$$

5. გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებით იგივე მეოთოდი გამოიყენება, რომელსაც მასალების მიმართ იყენებენ. თუკი მანქანა-დანადგარები უნდა შეიცვალოს მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს, მაშინ რელევანტური დანახარჯი იქნება მისი მიმდინარე ჩანაცვლების დირებულება (ანუ შესყიდვის ფასი). თუ მანქანა-დანადგარები არ უნდა შეიცვალოს, მაშინ რელევანტური დანახარჯი იქნება შემდეგი ორი თანხიდან უდიდესი: რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი (თუ გაიყიდებოდა) და წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები, რაც წარმოიქმნება აქტივის გამოყენებიდან (თუ არ გაიყიდებოდა).

დავუშვათ, საწარმოში არის დანადგარი, რომელიც თავდაპირველად 14000 ლარი ღირდა, მომსახურების ვადა აქვს 5 წელი და ცემა ერთიცხება წრფივი მეოთოდით წლიურად 2800 ლარი. ამჟამად, დანადგარის წმინდა საბალანსო დირებულება არის 5600 ლარი. მისი სხვა მიზნებისათვის გამოყენება არ ხდება, მაგრამ შეიძლება გაიყიდოს 4000 ლარად.

დანადგარის პირვანდელი დირებულება, საბალანსო დირებულება და ცემის თანხა არარელევანტურია, რადგან ისინი წარსულის დანახარჯებია და სააღრიცხვო პოლიტიკით განისაზღვრება. მაგრამ ამჟამად მისი გაყიდვა შეიძლება 4000 ლარად, მაშას-ადამე, იგი გასათვალისწინებელი ალტერნატიული ხარჯია.

ცნობილი მეცნიერი სამუშაოსნი, ალტერნატიულ დანახარჯებს დაკისრებულ დანახარჯებს უწოდებს. მას მიაჩნია, რომ არსებობს განსხვავება საბუღალტრო ანგარიშებში ასახულ დანახარჯებსა და რეალურ ეკონომიკურ დანახარჯებს შორის. ალტერნატიული დანახარჯი არის საუკეთესო ხელსაყრელი შესაძლებლობის ფასი. მაგალითად, წვრილი ფირმის მფლობელს შეეძლო ეპოვნა მსგავსი სამუშაო – დაქირავებულიყო და მის წლიურ ხელფასს გადაეჭირდებინა მისი საკუთარი ფირმის წლიური მოგებისათვის, მაგრამ, რადგან სინამდვილეში ასეთი ანაზღაუ-

რება არ არსებობს, წარმოიქმნება დაკისრებული ხარჯები. ოღვესაც ფირმის მფლობელი რაღაც თანხას ხარჯავს მოწყობილობების საყიდლად და მშენებლობისათვის, მაშინ გაიანგარიშება ალტერ-ნაიოული ხარჯები.

საბაზრო ფასსა და ალტერნატიულ დანახვარჯებს შორის წინააღმდეგობა არ არის, წერს სამუელსონი. ბაზარზე კონკურენტ გამჟიდველებს შორის წარმოქმნილი ფასი უტოლდება საუკეთესო ხელმისაწვდომ შესაძლებლობას და, მაშასადამე, ალტერნატიულ დანახვარჯებს, მაგრამ ალტერნატიული დანახვარჯების გაანგარიშება უფრო მიზანშეწონილია არა ბაზარზე მიმოქცევადი ნივთებისათვის, არამედ საბაზრო ბრუნვაში ჩაურთველებისთვის.

ამგვარად, დანახარჯები მოიცავს ზუსტად ფიქსირებულ ფულად ხარჯებზე მიმარტებულ ისეთ ალტერნატიულ დანახარჯებს, რაც წარმოიქმნება იმ ფაქტორების გამო, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ალტერნატიულ მიმართულებებში. თუ, ვისიმე შრომა ან კაპიტალი კომპიუტერების წარმოებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნახშირის მოპოვების ან ხორბლის მოყვანისათვის, ან სხვა კომპიუტერული ფირმის საქმიანობაში, ნამდვილი დანახარჯები განსაზღვრული უნდა იქნეს საუკეთესო შესაძლო ალტერნატიული დანახარჯების ამ ელემენტების გათვალისწინებით.¹

ვეოთანხმებით სამუელსონს,რომ მაკროეკონომიკურ დონეზე რეალური დანახარჯები შეიძლება ასეთი მიღვომებით იქნეს გაანალიზებული წმინდა თეორიული თვალსაზრისით, მაგრამ მიკრო დონეზე, საწარმოებში აღტერნატიული ხარჯების შეტანა პროექტის (ან ნებისმიერი სახის საქმიანობის) პროგნოზულ ან ფაქტორ

¹ ქ.სამუელისნი, გ.ნორდჰაუსი, ეკონომიკისი, სახელმძღვანელო, თარგმ.ინგლის., ობ., 1992, გვ: 117.

ბრივ დირებულებაში გამართლებულად არ მიგვაჩნია, ჯერ ერთი, საზოგადოებას ურიცხვი სახეობის სახმარი ნივთი სჭირდება და შეუძლებელია მხოლოდ ორმელიმე ერთი, ყველაზე მაღალ-მომგებიანი პროდუქტის წარმოება არსებობდეს, რათა მასზე იქნეს ორიენტაცია აღებული და მეორე, პრაქტიკაში იგი პერმანენტულ პიკერინფლაციას გამოიწვევს.

მაგალითად, დაუშვათ რაიმე მასალის შესყიდვის ფასი, საიდანც შეიძლება დამზადდეს ორიდან ერთ-ერთი სახეობის პროდუქტი, არის 4ლ/კგ. პირველი სახეობის პროდუქტს ერთეულზე მოაქვს 5 ლარი ზღვრული მოგება, მეორეს - 3 ლარი. თუ პირველი პროდუქტის დამზადება გადაწყდება, ზღვრული მოგების დანაკარგი არ იარსებებს, ვინაიდან პირველი საუკეთესო ვარიანტია. თუ მეორე სახის პროდუქტის წარმოებას აირჩევს საწარმო, მაშინ პროდუქტის ერთეულზე დაიკარგება 2 ლ ზღვრული მოგება, რომელიც ალტერნატიული ხარჯია და თუკი გათვალისწინებული იქნება მეორე სახეობის პროდუქტის შეფასებაში, ამით, ორივე სახეობის პროდუქტის დანახარჯები და ფასი ფაქტობრივად ერთნაირი გახდება. ასე, რომ თუკი ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი თავის ხარჯებში ალტერნატიულ ხარჯებს შეიტანს, ვფიქრობთ, საბოლოოდ იმას მოიტანს, რომ ერთი კგ ასკილი და ერთი კგ ოქრო ერთი და იგივე ფასის გახდება, რაც გამართლებულად არ მიგვაჩნია.

ამრიგად, მართებულია, გადაწყვეტილების მიღების დროს, არჩევანის გაკეთების მიზნით, გათვალისწინებული იქნეს მხოლოს რელევანტური ხარჯი, ალტერნატიული ხარჯების გარეშე, რაც მიკრო და მაკროდონეზე სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

Using the Indicators of Relevant and Opportunity Costs in Decision Making Process

I. Chiladze

There are two types of costs depending on decision making process: relevant costs and irrelevant costs. Costs are relevant if they change when decisions are made, such costs are decision related costs. Thus, when making decisions it's enough to take into consideration only relevant costs. If there are several alternatives, the project where relevant costs are less is better.

Alternative costs are the benefit (profit or marginal profit) which is lost when the best alternative has not been chosen. That's why economists consider that in decision making, when evaluating projects alternative costs should also be taken into consideration.

We consider that alternative costs shouldn't be included in the value of a chosen project, as it increases its price.

ბიოლოგიური აქტივების შევასების და კლიმატის თავისებურებები

ნახა სრული
ივ. ჯავახიშვილის ხახ.
თხუ ასოცირებული პროფესორი

სოფლის მეურნეობა, როგორც მთელი ეკონომიკის უძნიშნელოვანების დარგი, ხასიათდება რიგი თავისებურებით:

• წარმოების ეკონომიკური პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივ პროცესებთან. შესაბამისად, წარმოების პროცესებს შორის ადგილი აქვს დიდ წევების;

• სამუშაო პერიოდის და წარმოების პროცესის ერთმანეთისგან მკვეთრად დაცილების გამო, საბოლოო პროდუქტი მიიღება სამუშაო პერიოდის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ან სულაც წლის ბოლოს;

• სოფლის მეურნეობა (მემცნარეობა და მეცხოველეობა) როგორც წარმოებაა და ხასიათდება მრავალპროდუქტიანობით (ძირითადი, შეუდლებული და თანმდევი პროდუქტები).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკურობა განპირობებს ბუდალტრული აღრიცხვის თავისებურებებს. ამის გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბუდალტრული აღრიცხვის წესების, ფინანსური ანგარიშების წარდგენისა და მასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნებისათვის, 2001 წლის ოქტომბერის განცალევებულად შემუშავდა ბუდლტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასეს 41 „სოფლის მეურნეობა“. სტანდარტი დარგობრივია და გამოყენებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მუხლების - ბიოლოგიური აქტივების, მასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების და ნაყოფის მიღების მომენტისთვის არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღრიცხვისათვის.

სტანდარტი არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მიწისა (რომელიც რეგულირდება ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“) და არამატერიალური აქტივების (რომელიც რეგულირდება ბასს 38 „არამატერიალური აქტივები“) მიმართ. 41 სტანდარტი ასევე არ ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების პროცესს, რადგან მას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ნაირსახეობად არ მიიჩნევს.

მაგალითად, ყურძნის ღვინოდ გადამუშავება ამ სტანდარტით არ განიხილება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობად, თუმცა, მისი ღოგიერი გაგრძელება.

ბასს-ის 41 „სოფლის მეურნეობა“ მიზანია, განსაზღვროს ნაყოფის მიღების მომენტისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი შეფასება და აღიარება, ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციის პროცესის აღრიცხვის მეთოდი და მასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, რაც სხვა სტანდარტებით არ განიხილება.

ბიოლოგიური აქტივების, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნაყოფის შემდგომი გადამუშავების პროცესის თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს სქემები მაგალითებით:



სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვის თავისებურებებს განაპირობებს არა მხოლოდ წარმოების, არამედ აღრიცხვის ობიექტების ცალკეული სახეობების – ბიოლოგიური აქტივების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის და ბიოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესების სპეციფიკაც. ბასს-ის თანახმად:

ბიოლოგიური აქტივი არის მცენარე ან ცხოველი. მსგავსი მცენარეების ან ცხოველების ერთობლიობა, რაც ქმნის ბიოლოგიური აქტივების ჯგუფს;

სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული პროდუქტი, მხოლოდ ნაყოფის მიღების მომენტისათვის;

ნაყოფის მიღება არის ბიოლოგიური აქტივიდან პროდუქციის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწვება.

ბიოლოგიური ტრანსფორმაცია არის ბიოლოგიური აქტივის ზრდის, დეგენერაციის (დაკნინების), წარმოების და კვლავწარმოების (გამრავლება-რეპროდუქციის) პროცესების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს ამ აქტივის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებას. ბიოლოგიური ტრანსფორმაციის, როგორც პროცესის მართვის მიზანია: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, დამატებითი ბიოლოგიური აქტივების მიღება, ბიოლოგიური აქტივის გაყიდვა.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მრავალდარგოვანია, მაგრამ განსხვავებების მიუხედავად, აქვს შემდეგი საერთო მახასიერებლები¹:


- ცვლილების უნარი, რაც გამოიხატება ცოცხალი ცხოველის ან მცენარის ბიოლოგიური ტრანსფორმაციის უნარში;

- ცვლილების მართვა, რაც გულისხმობს ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას იმ პირობების გაუმჯობესების ან სტაბილიზაციის მეშვეობით, რომელიც აუცილებელია ტრანსფორმაციის პროცესისათვის (კვება, დატენიანება, და ა.შ.). ამგვარი მართვა სოფლის მეურნეობის საქმიანობას განასხვავებს სხვა საქმიანობისგან.

- ცვლილების შეფასება –ბიოლოგიური ტრანსფორმაციით ან ნაყოფის მიღებით გამოწვეული ხარისხობრივი (მაგ.: ცხიმიანობა, სიმწიფე და ა.შ.) ან რაოდენობრივი (ნამატი, წონა და ა.შ.) ცვლილება შეფასებადი და კონტროლირებადია.

ბიოლოგიური ტრანსფორმაციით მიღება შედეგების შემდეგი ტიპები:


¹ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ბასს), ბუღალტრეული აღრიცხვების საერთაშორისო სტანდარტი 41 „სოფლის მეურნეობა“ 2009 წლის 1 იანვარი, გვ. 901.



ზრდა გულისხმობს აქტივის (მცენარის ან ცხოველის) ცვლილებას მისი რაოდენობის მატების ან ხარისხის ამაღლების გზით; დეგენერაცია არის აქტივის ცვლილება მცენარის ან ცხოველის რაოდენობის შემცირების გზით; რეპროდუქცია არის აქტივის ცვლილება ცოცხალი მცენარის ან ცხოველის ნამატის (ნამრავლის მიღების) შედეგად.

ბიოლოგიური აქტივების კლასიფიკაცია.

აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშებაში წადგენის მიზნით ბიოლოგიური აქტივები კლასიფიცირდება:



მოხმარებისთვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივები ისეთი აქტივებია, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მიღებული უნდა იქნეს ნაყოფად ან გაიყიდოს როგორც ბიოლოგიური აქტივი. მაგალითად, მარცვლეული ქულტურები – სიმინდი, ხორბალი, ქერი; სახორცე დანიშნულების შინაური ცხოველები და ფრინველი, ოვეზი და ა.შ.


სანაშენე ბიოლოგიური აქტივია ყველა ის აქტივი, რომელიც განკუთვნილი არაა მოხმარებისათვის. მაგალითად, ცოცხალი პირუტყვი, რომლიდანაც მიღება რძე და ნამრავლი; გაზი; ხეხილი და ა.შ. სანაშენე ბიოლოგიური აქტივი არის არა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, არამედ თვითმენაყოფვე აქტივი.

ზრდასრულია ბიოლოგიური აქტივი, რომელიც ხასიათდება მოსავლის მოწევის უნარით (მოხმარებისთვის განკუთვნილი ბიოლოგიურ აქტივებთან მიმართებით) ან შეუძლია რეგულარულად ნამატის მოცემა (სანაშენე, ოვითმენაყოფე ბიოლოგიურ აქტივებთან მიმართებით).

მოზარდი ჯგუფის გამოყოფა ბიოლოგიური აქტივებიდან გამოწეულია იმით, რომ ცხოველების ერთი ნაწილი გამოიყენება, როგორც ძირითადი საშუალებები, ხოლო მეორე ნაწილი, როგორც საბრუნავი საშუალებები – სასაქონლო -ძატერიალური ფასეულობის შემადგენლობაში. აღრიცხვაში ზუსტად უნდა აისახოს ყველა სახეობის ცხოველის სულადობის მოძრაობა და ცვლილება: ნამრავლის მიღება, ჯიშიანი ცხოველების შეძენა, მოზარდის ზრდასრულ ჯგუფში გადაყვანა და ა. შ.

ბიოლოგიური აქტივების შეფასება.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას გააჩნია უნიკალური ბუნება და მახასიათებლები. გამომდინარე აქვთ ან, სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ბიოლოგიური აქტივები შეფასდება მხოლოდ მაშინ, როდესაც:



ბიოლოგიური აქტივი, თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს, უნდა შეფასდეს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი უნდა შეფასდეს ნაყოფის მიღების მომენტისათვის არ-

¹ ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტები (ბასი), ბუნალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 41 „სოფლის მეურნეობა”, 2009 წლის 1 იანვარი, გვ. 902.

სებული გაყიდვისთვის საჭირო შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

შეფასებული ხარჯები მოიცავს გაყიდვისათვის საჭირო ხარჯებს: სასაქონლო ბირების და მარეგულირებელი საგენტოების მოსაცრებელს; შუამავლის საკომისიოს და გაყიდვის სხვა ხარჯებს. იგი არ მოიცავს ტრანსპორტირების და ბაზარზე აქტივის მიწოდების ხარჯებს, რადგან ის უკვე გათვალისწინებულია რეალური ღირებულების განსაზღვრისას.



რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ურთიერთდამოუკიდებელ და საქმის მცოდნე მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.“ რეალური ღირებულება უფრონება აქტივის მიმდინარე ადგილმდებარებისა და მდგომარეობას. რეალური ღირებულება არის სხვაობა საბაზრო ფასისა და აქტივების ბაზარზე მიწოდების სატრანსპორტო და სხვა ხარჯებს შორის. მაგალითად, ფერბაში მსხვილფქა რქისანი პირუტევის რეალური ღირებულება არის შესაბამის ბაზარზე არსებულ ფასს გამოკლებული ტრანსპორტისა და ბაზარზე მისი მიუვანის სხვა ხარჯები.



რეალური ღირებულების დადგენის გამარტივების მიზნით, ბიოლოგიურ აქტივებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას აჯგუფებენ მნიშვნელოვანი მახასიეთებლების მიხედვით. დაჯგუფებისათვის საწარმომ უნდა შეარჩიოს ისეთი მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია საბაზრო ფასი. მაგალითად, ასაკობრივი ჯგუფი, ხარისხი და ა.შ.

სებულებროვანი კლიმატი და ანალიზი

ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების დადგენის საფუძველია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები:

| ბაზარი აქტიურია თუ: | | |
|---|--|--------------------------------------|
| საქონელი , რომლითაც ბაზარზე ფასების, ერთგვაროვანია | არსებობენ დანიტერესებული მყიდველები და გამჭიდველები | ფასები ცნობილია საზოგადოებისათვის |

აქტიური ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, საწარმომ შეიძლება გამოიყენოს ქვემოთ მითითებული პირობებიდან ერთი ან რამდენიმე, მისი ხელმისაწვდომობის მიხედვით:

| რეალური ღირებულება აქტიური ბაზრის არარსებობისას განისაზღვრება: | | |
|--|--|--|
| უახლესი საბაზრო გარიგების ფასით; | ანალიზიური აქტივების საბაზრო ფასით; | სექტორის სტატისტიკური ბაზა, როგორიცაა : მაგალითად, პირუტყვის ღირებულებება, გამოსახული კილოგრამის ხორცის მიხადვით. |

სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი, წარმოების ზოგიერთ სტადიაზე, სასაქონლო მატერიალურ ფასებულებას – სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაკონის მიღების შემდეგ, შეძლება აღრიცხავდეს ნეტო-სარეალიზაციო ღირებულებით. კერძოდ, როდესაც მარცვლეული კულტურების მოსავალი უკვე აღებულია და მისი რეალიზაციაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო გრანტებით ან წინასწარ დადებული (ფორვარდული) კონტრაქტებით ან ბაზრის ერთგვაროვნებით, რის გამოც უმნიშვნელოა საქონლის რეალიზაციის გარეშე დარჩენის რისკი.

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი ხარჯების გამოკლებით. იგი არის წმინდა თანხა, რომელსაც საწარმო მოელის სასაქონლო მატერიალური ფასებულების გაყიდვის შემდეგ, ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის

პროცესში. რეალური ღირებულება კი არის თანხა, რომელზეც იგივე სასაქონლო- მატერიალური ფასეულობა შეიძლება გაიცვალოს ბაზარზე, დაინტერესებულ და საქმისმოვიდნე მყიდველებსა და გამყიდველებს შორის. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება საწარმოსათვის სპეციფიკური ღირებულებაა, ხოლო რეალური ღირებულება კი – არა. ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება შესაძლებელია არ უდრიდეს გაყიდვის შეფასებული ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას.

ბიოლოგიური აქტივის მოცემული მდგომარეობისათვის საბაზო ფასის არ არსებობის პირობებში, ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრისას საწარმო იყენებს ამ აქტივიდან მოსალოდნელი წმინდა (ნეტო) ფულადი სახსრების დისკონტირებულ ღირებულებას. ღისკონტირებული ღირებულება გამოოვლება იმ ნეტო ფულადი ნაკადიდან, რომლის მიღებასაც ვარაუდობენ ბაზრის მონაწილეები მოცემული აქტივიდან ამ აქტივისთვის უველაზე შესაფერის ბაზარზე.

იმ ბიოლოგიური აქტივისათვის, რომლზეც არ არსებობს ბაზრით განსაზღვრული ფასები ან ღირებულებები და არის ვარაუდი, რომ შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამგვარი ბიოლოგიური აქტივი უნდა შეფასდეს თვითლირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. როდესაც ამგვარი ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება საიმედო გახდება, საწარმომ ბიოლოგიური აქტივი უნდა შეაფასოს გაყიდვისათვის შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

ბიოლოგიური აქტივები ხშირად ფიზიკურად მიმაგრებულია მიწაზე (მაგალითად, ხეები ტყის მასივში, ხეხილის ხეები ბაზებში, ვაზი ზვარში და ა.შ.). მიწაზე მიმაგრებული ბიოლოგიური აქტივისათვის შეიძლება არ არსებობდეს ცალკე ბაზარი, მაგრამ აქტიური ბაზარი შეიძლება არსებობდეს კომბინირებული აქტივისათვის, როგორც ბიოლოგიური აქტივების, დაუმუშავებელი მიწის ან გაუმჯობესებული მიწის ერთიანი პაკეტისათვის. ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის კომბინირებული აქტივის რეალური ღირებულებას შეიძლება გამოაკლდეს დაუმუშავებელი მიწის ან გაუმჯობესებული მიწის რეალური ღირებულება.

როგორც აღვნიშნეთ, ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია თავდაპირებელი აღიარებისას ფასდება გაყიდვის შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალური

დირექტორით. ასეთი შეფასება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითდირექტულების ნაყოფის მიღების მომენტში, რაც შესაბამისობაშია თავდაპირველი თვითდირექტულებით აღრიცხვის მოდელთან.

სტანდარტით ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას და რეალიზაციის შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალური დირექტულების ცვლილებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს იმ პერიოდის წმინდა მოგებასა და ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნა¹.

მაგალითი:

ფერმერულმა მეურნეობამ მოზარდიდან ძირითად მერძეულ ჯოგში გადაიყვანა 10 უშობელი ცოცხალი წონით - 4.620 კგ და გამოზრდის თვითდირექტულებით - 27.720 ლარ. გადაყვანის თარიღისათვის 1 კგ ცოცხალი წონის გაყიდვის შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალური დირექტულება არის 7 ლარი.

მოზარდი და სუქებაზე დაყენებული პირუტყვი წარმოადგენს საბრუნავ საშუალებებს და უნდა აღირიცხოს სასაქონლო -მატერიალური ფასეულობის შემადგენლობაში, ანგარიშზე – 1615 „მოზარდი და გასასუქებული პირუტყვი.“ პროდუქტიული პირუტყვის მოზარდეულში გადაყვანა უნდა აღირიცხოს ანგარიშზე – 2125 „ძირითადი ჯოგის ფორმირება.“ მეურნეობაში განხორციელებული სამეურნეო ოპერაციები აღრიცხვაში აისახება შემდგვი გატარებით:

ძირითად მერძეულ ჯოგში გადასაყვანი 10 სული მოზარდეულის ჩამოწერა გამოზრდის თვითდირექტულებით 27,720 ლარი: დებეტი – 2125 „ძირითადი ჯოგის ფორმირება“ - 27,720 ლარი კრედიტი – 1615 „მოზარდი და გასასუქებული პირუტყვი“ - 27,720 ლარი.

„ძირითად მერძეული ჯოგში“ გადაყვანილი 10 სული მოზარდეული უნდა შეფასდეს 1 კგ ცოცხალი წონის გაყიდვის შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალური დირექტულებით, რაც შეადგენს 32,340 (4620*7) ლარს. მოზარდის გადაყვანა „ძირითად მერძეულ ჯოგში“ გაყიდვის შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალურ დირექტულებით 32,340 ლარი აისახება გატარებით:

¹ ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 41 „სოფლის მეურნეობა,” 2009 წლის 1 იანვარი, გვ. 904.

ՃԵՑԵՑԻ - 2155 „մօրուած մյրմյալո չողօ” - 32,340 լարո.
ՃՐԵԺՈՒՅԻ - 2125 „մօրուածո չողօիս ցորմորյեծա” - 32,340 լարո.

Տեղառնա գայուցու Մյօվասեծյալո եարչյեծոտ Մյմորյեծյալո
Ռյալյար ճորյեծյալյեծասա (32,340 լարո) ճա գամոթրդու տշուածորյ-
յալյեծա (27,720 լարո) Մորու 4,620 (32,340 - 27,720) լարո,
ասեաեծա մոմցուարյ էյրուաուս ֆմոնճա մոցյեծա սախու.

Մոցյեծա „մօրուած մյրմյալո չողօ՛՛ ցաճպյանուու մոխար-
ճու ճորյեծյալյեծա ցալուալյեծան 4,620 լարո ցաբարյեծա:

ՃԵՑԵՑԻ - 2125 „մօրուածո չողօիս ցորմորյեծա” - 4,620 լարո.
ՃՐԵԺՈՒՅԻ - 8130 „արասառաքյրաւու մոցյեծա” - 4,620 լարո.

Ռյալյար ճորյեծյալյեծա մոցյելու սարցյեծլունա ձորոյեծյ-
մո, ծուալուայրո այլուայեծա վարմոյեծասա ճա նայուու մոցյեծանյ
ցայյալո եարչյեծա յնճա ալուարյելու մուս ցավյյու մոմյենքմո. եար-
չյեծա, ըոմյելու նրդու սավարմու մյուածյելունա ճա յոնցրուանյ
մյուու ծուալուայրո այլուայեծա րառյենունաս, յնճա դայմարյու ծո-
ռլուայրո այլուայեծա մոմցուարյ ճորյեծյալյեծաս.

Տեղուա ծուալուայրո այլուայեծա Մյօվասեծա սկյուոյու ճա
ալրուայեծա նրգույրու տացուեծյարյեծա.

Peculiarities of Assessment and Accounting of Biological Assets

N. Sreseli

Because of specifications of agricultural activities, difficult and almost conflict situation occurs regarding applying traditional accounting models, which is primarily because of the fact, that it's impossible to use initial cost and realization principle-based accounting models for accounting the processes associated with biological transformations.

Despite the diversity of agricultural activities, the principles have been developed by the International Accounting Standards 41 “Agriculture”, which regulates the activities of short and long-term production cycle of agricultural enterprises.

Among the characteristics of the enterprises producing agricultural products, it's important to note that while initial recognition, biological assets and agricultural products are estimated by the real cost decreased by estimated selling expenses and the financial results caused by changes in real costs are reflected in the net income and net loss of the reporting period.

**მირითაღი საშუალებების
ექსპლუატაციისა და ცვეთის ხარჯების
აღრიცხვის საკითხები**

**ნაღესდა ქვეტაშიძე
ივანგახიშვილის თხუ ასოცირებული პროფესორი**

მირითაღი საშუალებების ექსპლუატაციისა და ცვეთის ხარჯების აღრიცხვას განსაზღვრავს მირითაღი საშუალებების სააღრიცხვო ერთეულებად აღიარება. საზომ ერთეულად აღიარება ნიშნავს იმის დადგენას, თუ რას მოიცავს მირითაღი საშუალებების ერთეული. ზოგიერთ შემთხვევაში, ძნელია ობიექტის იდენტიფიკაცია მირითაღ საშუალებად, რადგან მას დამოუკიდებლად არ მოაქვს საწარმოსთვის ეკონომიკური სარგებელი. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასხ) 16 – „მირითაღი საშუალებები“ იძლევა რეკომენდაციას, რომ აქტივის იდენტიფიკირებისა და მისი საზომი ერთეულის დასადგენად საჭიროა განსჯა აღიარების კრიტერიუმის გამოსაყენებლად – ამა თუ იმ საწარმოს კონკრეტული ვითარების მიმართ ობიექტის შესაბამისობის შემოწმება აქტივის განმარტებასთან. ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია ინდივიდუალურად უმნიშვნელო ერთეულების გაერთიანება და კრიტერიუმის გამოყენება აგრებირებული ღირებულებისათვის. ანუ უმნიშვნელო ობიექტების შეჯამება და კრიტერიუმების გამოყენება შეჯამებული ობიექტებისათვის.

ამდენად, მირითაღი საშუალებების აღიარებისას უნდა განისაზღვროს ამ ერთეულების შემადგენელი ნაწილები და ერთეულის მთლიან ღირებულებაში მოცულობის შესაბამისად დაიყოს ის მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ნაწილებად. მირითაღი საშუალებების ყოველი ერთეულის ნაწილი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ღირებულება ერთეულის მთლიან ღირებულებასთან მიმართებით, უნდა აღიარდეს ცალკე – მნიშვნელოვან ნაწილად და ცალკე დარჩენილ ნაწილად. დარჩენილი ნაწილი შედგება აღნიშნული ერთეულის იმ ნაწილებისაგან, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის.

აქტივების მირითად საშუალებად აღიარებისას შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობასთან ერთად, გასათვალისწინებელია მათი სასარგებლო მომსახურების ვადაც. პერიოდის, რომელშიც მირითად საშუალებას შეუძლია მოიტანოს ეკონომიკური სარგებელი, ეწოდება სასარგებლო მომსახურების ვადა.

განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ნაწილები ცალკე ერთეულად უნდა აღიარდნენ. სათადარიგო და დამსახურებული დაკავშირებით ბასეს-ი იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

- სათადარიგო და დამსახურებული მირითად საშუალებებად კვალიფიცირდება, თუ საწარმო მათ გამოყენებას აპირებს ერთზე მეტი სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში;
- თუ სათადარიგო ნაწილი და დამსახურებული მოწყობილობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მირითადი საშუალებების რომელიმე კონკრეტულ ერთეულთან ერთად, ის უნდა აღირიცხოს მირითადი საშუალების სახით.

სათადარიგო და დამსახურებული საკითხის განსჯის დროს საწარმოს შეუძლია გამოიყენოს არსებითობის პრინციპი და მისთვის მცირე დირებულების სათადარიგო და დამსახურებული მიაკუთვნოს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმომ მირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს ამ ერთეულების შემადგენელი ნაწილები და ერთეულის მთლიან დირებულებაში მოცულობის შესაბამისად დაიყოს ის მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ნაწილებად. მირითადი საშუალების ყოველი ერთეულის ნაწილს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი დირებულება ერთეულის მთლიან დირებულებასთან მიმართებით, ცვეთა ცალ-ცალკე უნდა დაერიცხოს¹.

მირითადი საშუალებების არსებით ნაწილს შეიძლება სხვა ანალოგიური მირითადი საშუალებების მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები პქონდეს. ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის შესაძლებელია ასეთი მირითადი საშუალებების ერთეულების გაერთიანება.

ასევე, ცალკე უნდა დაერიცხოს ცვეთა ამ ერთეულის დარჩენილ ნაწილს. დარჩენილი ნაწილი შედგება აღნიშნული ერთეულის იმ ნაწილებისაგან, რაც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის.

¹ ბასეს 16. მირითადი საშუალებები. თბ., 2009. გვ.43-50.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება. აქტივის ცვეთადი დირექტულება უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა არ წყდება მაშინაც კი, როდესაც აქტივი ხდება გამოყენებელი ან აქტიური მოხმარებიდან გამოსულია, სანამ აქტივს სრულად არ დაერიცხება ცვეთა. მოკლედ, აქტივს ცვეთა დაერიცხება მაშინაც, როცა ის არ ფუნქციონირებს¹. აქტივის უმოქმედობის პერიოდებს, როგორც წესი, ადგილი აქვს უშეალოდ აქტივის შეძენის შემდეგ და უშეალოდ მისი საწარმოდან სხვა ფორმით გასვლის წინ. ბასს-ს მიაჩნია, რომ მართებულია შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივზე, მისი ფუნქციონირების თუ უმოქმედობის მიუხედავად, ცვეთის ისე დარიცხვა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახოს აქტივის სასარგებლო მომსახურების პოტენციალი, რომელიც გაიხარჯა აქტივის ფლობის პერიოდში.

როგორც ცნობილია, მიწას ცვეთა არ ერიცხება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბასს-ით თუ მიწის დირექტულება მოიცავს მოედნის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგენის დანახარჯებს, მიწის დირექტულების ამ ნაწილს ცვეთა დაერიცხება დანახარჯების გაწვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების პერიოდში. ზოგ შემთხვევაში, მიწას თვითონ შეიძლება გააჩნდეს შეზღუდული მომსახურების ვადა, ამ შემთხვევაში მას დაერიცხება ცვეთა მისგან მისაღები სარგებლიანობის ხასიათის გათვალისწინებით.

აქტივის ცვეთის დარიცხვა წყდება იმ დღიდან, რაც იგი კლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნულად (ან ჩართულია გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსკლელ ჯგუფში) და მას შემდეგ, რაც წყდება ამ აქტივის აღიარება.

მირითდი საშეალებების შეძენის შემდეგ იწყება მისი ექსპლუატაცია (გამოყენება), რაც მოითხოვს მის ტექნიკურ უზრუნველყოფას – აქტივების მუშა მდგომარეობის შენარჩუნებას. ამისათვის საჭიროა აქტივის მოვლა, შენახვა, დაზიანებული ფუნქციის აღდგენა და სხვა მსგავსი სამუშაოების ჩატარება.

ბასს-ი, მირითადი საშეალებების ექსპლუატაციისათვის გაწვეულ დანახარჯებისადმი, იყენებს მირითადი საშეალებების აღიარების პრიციპებს. კერძოდ, მირითადი საშეალებების ექსპლუატაციის დანახარჯებს, რომელიც აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, ჩაირთვება მირითადი საშეალებების ერთეულის საბალან-

¹ ბასს 16. მირითადი საშეალებები. ობ., 2009. დს 31-31.

სო დირებულებაში; ხოლო რომელიც არ აქმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, არ ჩაირთვება ძირითადი საშუალებების ერთეულის საბალანსო დირებულებაში და გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ბასს-ით, ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები არ აქმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ეს დანახარჯები აღიარდება მოგებასა ან ზარალში. ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები, ძირითადად, მოიცავს შრომითი და სხვა რესურსების დანახარჯებს, ასევე მასში შეიძლება შედიოდეს მცირეფასიანი ნაწილების დირებულება. ეს დანახარჯები ხშირად აისახება როგორც ძირითადი საშუალებების „რემნტი და მომსახურება“.

ძირითადი საშუალებების ზოგიერთი ერთეულის მთავარი დეტალები შესაძლოა მოითხოვდეს რეგულარულ შეცვლას. აღიარების პრინციპის შესაბამისად, თუ შემცველები ნაწილები აქმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ის აღიარდება აქტივად და მისი დირებულება ჩაირთვება ძირითადი საშუალებების ერთეულის საბალანსო დირებულებაში, ხოლო შეცვლილი ნაწილების საბალანსო დირებულების აღიარება წყდება. საბალანსო დირებულება ის თანხაა, რომლითაც აქტივი აღიარებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის¹ თანხების გამოკლების შემდგე².

ასეთი მიღეომა გამოიყენება მაშინაც კი, როცა წინა პერიოდებში არ ხდებოდა შეცვლილი ნაწილის ცალკე აქტივად აღიარება და შესამაბისად მასზე ცვეთის დარიცხვა. შეცვლილი ნაწილის საბალანსო დირებულების დასადგენ ინდიკატორად გამოიყენება შეცვლილი ნაწილის თვითღირებულება.

ძირითადი საშუალების ერთეულის უწყვეტი გამოყენების პირობა მოითხოვს პერიოდულ სრულმასშტაბიან შემოწმებებს დევებების გამოსააშკარავებლად, იმის მიუხედავად, ამ ერთეულის ნაწილები შეიცვლება თუ არა. როდესაც ასეთი სრულმასშტაბიანი შემოწმებები ტარდება, ბასს-ით შემოწმების დირებულება აისახება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო დირებულებაში,

¹ გაუფასურების ზარალი არის თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო დირებულება აღემატება მის ანაზღაურებად დირებულებას (ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“, პ.6).

² ანაზღაურებადი დირებულება არის აქტივის დირებულების მაქსიმალური სიღიღე გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული აქტივის რეალურ დირებულებასა და მისი გამოყენების დირებულებას შორის (ბასს 16 პ., ძირითადი საშუალებები“, პ.6; ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“, პ. 6).

როგორც შემცვლელი, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად წყდება წინა შემოწმების დირექტულების საბალანსო დირექტულების (როგორც ფიზიკური ნაწილებისაგან განსხვავებული) აღიარება. ამას ადგილი აქვს იმის მიუხედავად, წინა შემოწმების დირექტულება აისახა თუ არა ერთეულის შეძენის ან შექმნის ოპერაციის დირექტულებაში.

ზოგიერთი აქტივის თავდაპირველი აღიარებისას საწარმოს სპეციალისტებს არ მიაჩნიათ საჭიროდ მისი დაყოფა დამოუკიდებელ ნაწილებად და ცალ-ცალკე ძირითად საშუალებად აღიარება. ამის მიზეზია აქტივის შემადგენლობა, როგორიც მოიცავს მცირე დირექტულების სათადარიგო ნაწილებს და განსჯის საფუძველზე მოცემულ საწარმოში არ აღიარდება ძირითად საშუალებად. ასეთი ნაწილები აღირიცხება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით და მათი შეცვლაზე გაწეული დანახსარჯები გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

საწარმოში ადგილი აქვს არა მხოლოდ ძირითადი საშუალებების აქტივის როგორიმე ნაწილის შეცვლას, არამედ საექსპლუატაციო ხასიათის სამუშაოებსაც. ეს შეიძლება იყოს ზედამხედველობა, გაწყობა, გამართვა, დაზეოვა, გაწმენდა და სხვა მსგავსი სამუშაოები. ამ სამუშაოების ჩატარება ზოგიერთ საწარმოში შეიძლება საჭირო იყოს ყოველდღიურად, ხოლო ზოგიერთში – გარკვეული პერიოდულობით. ამგვარი ექსპლუატაციის ხარჯები არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

Issues of Accounting of Repair Expenses and Depreciation of Fixed Assets

N. Kvashidze

The accounting of repair expenses and depreciation of fixed assets is determined by determination of fixed assets as unit of *measurement* at their initial recognition. IAS 16 - Property, Plant and Equipment recommends that determination of unit of *measurement* must be done individually for each certain case based on judgment. Each unit recognized as fixed assets must be depreciated separately and its repair expenses must be capitalized.

Repair and maintenance expenses of fixed assets that are recognized as inventories must be recognized as current year expenses.

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი